# საერთო გაზეთი

№41 (170) ● 19.10-25.10, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## Tavdasxma banki `qarTus~ inkasaciis manqanaze, romelsac bankis kuTvnili didi Tanxa gadahqonda!

„საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ღია, აგრესიული და კრიმინალური შეტევა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. 2011 **წლის 18 ოქტომბერს, 17.00 საათზე განხორციელდა პირდაპირი თავდასხმა ბანკ „ქართუზე", რომელიც ბიზნესმენ ივანიშვილს ეკუთვნის.** „საქართველოს ბანკის" სათაო ოფისიდან გამოსულ ბანკ „ქართუს" ინკასაციის მანქანას თავს დაესხნენ ძალოვანი უწყების წარმომადგენლები, სპეცდანიშნულებისა და პოლიციის თანამშრომლები, იარაღისა და ძალის გამოყენებით დააკავეს ბანკი „ქართუს" ექვსი თანამშრომელი და წაიყვანეს ბანკის კუთვნილი ინკასაციის მანქანა, რომელსაც გადაჰქონდა „ქართუს" საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობით თანხა. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი აქვს ძალადობრივ აქტს. ქმედება განხორციელებულია საქართველოს კონსტიტუციისა და ყველა საერთაშორისო ნორმის ფეხქვეშ გათელვით", — ნათქვამია განცხადებაში.

**ბიძინა ივანიშვილის გუნდი მოითხოვს დაკავებული პირების სასწრაფოდ გათავისუფლებას და ბანკი „ქართუს" ქონების დაბრუნებას.**

„აღნიშნული წარმოადგენს პოლიტიკური ნიშნით დევნის უპრეცედენტო ფაქტს. მივმართავთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუყონებლივი რეაგირებისთვის", — ნათქვამია განცხადებაში.

„მედიანიუსი"

## `iavnana, iavnano, bokeria gaxsovs, vano?..~





## `bera, genacvale qarTulad mag qarTul sulSi~

bera ivaniSvilis klipma axalgazrdoba gamoaRviZa!

## aqu, ivaniSvils rom iwvev duelSi, colma rom dagkoda, maSin geSiSvla dambaCa...



## რედაქტორის სვეტი



მართალია, სიტყვით კი ბევრს იძახიან და არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს დარწმუნებას ცდილობენ, რომ დიდი დემოკრატები არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებამ დემოკრატიას ვერაფერი გაუგო და ფირი უკან, ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმისკენ გადაახვია, სადაც ყველაფერი მარტივად და უბრალოდ შეგიძლია გადაწყვიტო — ხმას ამოიღებს ვინმე, დასცხე, გალახე, გაზი მიუშხაპუნე, თუ კიდევ არ გაჩერდება, ციხეში ჩასვი!

გალახვის, დაშინების, ციხეში ჩასმის გარდა კიდევ ერთი ეფექტური ხერხი გამოიგონეს — მოქალაქეობის ჩამორთმევა!

ხომ გახსოვთ ორსტრიქონიანი ლექსი: „გამარჯობა, სოფელო და ქალაქო, რეესტრი ვარ შენი, სამოქალაქო!“

ჰოდა, ეს რეესტრი აიღებს უცებ და ამოგშლის საქართველოს მოქალაქეობიდან, ანუ ქართველობიდან.

არა მარტო დემოკრატიას, საერთოდ, პოლიტიკას და პოლიტტექნოლოგიებს ვერ გაუგეს ამ დალოცვილებმა ვერაფერი, თორემ იმას, რაც ბოლო დღეებში ჩაიდინეს, როგორ ჩაიდენდნენ?

გონიერი, გაწონასწორებული, წინდახედული ხელისუფალი ხელების გადაგრეხვის და მოგუდვის მეთოდს კი არ მიმართავდა ივანიშვილის წინააღმდეგ, არამედ შეეცდებოდა თავის სასარგებლოდ და, რაც მთავარია, ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის ფაქტორი.

ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ბოლოს და ბოლოს გაჩნდა შანსი, ეს ჭრელი, ამღვრეული, ქაოტური და ხშირ შემთხვევაში, ტრაგიკომიკური სიტუაცია, რაც 200-მდე პოლიტიკური პარტიით დაკომპლექტებულ ქართულ პოლიტიკურ „თეატრში“ არსებობს, ერთხელ და სამუდამოდ დაწმენდილიყო და პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩენილიყო ორი მოთამაშე — „ნაცმოძრაობის“ და ბიძინა ივანიშვილის გუნდის სახით, რაც პოლიტიკური პროცესების, დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალურად, ცივილიზებულად განვითარების საშუალებას მისცემდა ქვეყანას.

ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა, რითაც, ფაქტობრივად, უარი თქვა დემოკრატიაზე და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და გაძლიერებაზე.

სამწუხაროა, რომ საქართველოში კვლავ უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია, რასაც, შეიძლება, ქვეყნისთვის სახიფათო პროცესები მოჰყვეს...

გაუძლებს კი ეს ჭრილობამოუშუშებელი, დაბზარულ-დაღარული ქართული სახელმწიფო ამდენ რყევას?

ღმერთო, უშველე ამ სვეგამწარებულ ქვეყანას!..

**ვახტანგ ხარჩილავა**

# irma inaSvili: qarTul cixeebSi mamakac patimrebs masobrivad aupatiureben

*„წინააღმდეგობის მოძრაობამ“ პერმანენტული აქციები ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნით კვლავ განაახლა და პირველ აქციაზე, საზოგადოებას პატიმრების წამებაში შემჩნეული , ციხის თანამშრომლებისა და ექიმების 29-კაციანი სია გააცნო. სიაში მოხვდნენ, როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ხათუნა კალმახელიძე, ასევე სისასტიკით განთქმული ალექსანდრე მუხაძე(ქილერა), მეგის ქარდავა, გოგა ბუთლიაშვილი და სხვები. ამის შესახებ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერსა და მედიაკავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელ **ირმა ინაშვილს** ვესაუბრე.*

**-ქალბატონო ირმა, სანამ ამ სიის შესახებ ისაუბრებდეთ, მინდა გკითხოთ თქვენი ახალი იდეის შესახებ, რომელიც ჟურნალისტებისათვის ნაზი შამანაურის ჯილდოს დაარსებას გულისხმობს, როდის და როგორ აპირებთ ჟურნალისტების დაჯილდოებას?**

-20 ოქტომბერს 17 საათზე სამეფო უბნის თეატრში გაიმართება ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედლის დაჯილდოების ცერემონია. ამ დრომდე მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის რამდენიმე საზოგადოებრივი გამოკითხვა , სოციალურ ქსელებში, რადიო „ობიექტივის“ მსმენელთა შორის, ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა და სატელეფონო გამოკითხვაც. გამოიკითხნენ, როგორც პოლიტიკოსები და უფლებადამცველები, ასევე ჟურნალისტები, რომლებმაც თავიანთი კოლეგები წარადგინეს ამ ჯილდოზე. ამ შემთხვევაში ჩვენ, ამ იდეის ორგანიზატორებს ორი მიზანი გვაქვს; პირველი- როგორც იცით, 28 წლის წინ საბჭოთა რეჟიმმა აწამა და მოკლა ნაზი შამანაური. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელმა საზოგადოებამ ვერ დაიცვა სიმართლისათვის მებრძოლი ჟურნალისტი და უფრო მეტიც, გიჟის იარლიყი მიაკერა. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, რომ ნაზი შამანაური დავუბრუნოთ ჩვენს საზოგადოებას 28 წლის შემდეგ და მეორეს მხრივ, ჩვენ გვინდა ამ ოქროს მედლით სტიმული მივცეთ ჩვენს კოლეგებს, რომლებიც სიმართლეს ემსახურებიან. ამ იდეის მთავარი ლაიტმოტივი და დევიზიც სწორედ ისაა, რომ ჟურნალისტის უმთავრესი მოვალეობა სიმართლის სამსახურია. სხვათაშორის, ბევრი კითხვა გაჩნდა იმის თაობაზე, რომ რახან „ობიექტივია“ პროექტის ავტორი, ოქროს მედალსაც „ობიექტივის“ ჟურნალისტები ხომ არ მიიღებდნენ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ჩემზე. ირმა ინაშვილმა თავისთვის ხომ არ დაამზადა ეს მედალიო?! ჩვენ საზოგადოებას ნამდვილად ვერ ავუკრძალავდით დაესახელებინათ „ობიექტივის“ ჟურნალისტები. იმიტომ, რომ ასზე მეტი ჟურნალისტი მუშაობს აქ წამყვანად. როდესაც შევეცადეთ ეს გაგვეკეთებინა და ვთქვით, ჩვენ ნუ დაგვასახელებთ, ამან საზოგადოებაში ძალიან ცუდი რეაქცია გამოიწვია და მათ ჩათვალეს, რომ თავისუფალი არჩევანის უფლებას ვუზღუდავდით. თუმცა პირადად მე, როგორც ამ იდეის ავტორი, რა თქმა უნდა, უარს ვამბობ ოქროს მედალზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დასახელებული სამი ჟურნალისტიდან ერთ-ერთი მე ვიქნები. ეს ჯილდო ქართველი ჟურნალისტებისთვის გაკეთდა და არა ირმა ინაშვილისათვის. დაჯილდოების პირველი ნაწილი იქნება სპექტაკლი, რომელსაც დგამს მაია ჯაფარიძე, ხოლო ლილი და ნანა ხურითები ასრულებენ ნაზი შამანაურისა და მისი დედის, სარა ინაშვილის როლებს. სპექტაკლი აგებულია ნაზი შამანაურის დღიურებზე. მეორე ნაწილი კი უკვე დაჯილდოების ცერემონია იქნება. გადავწყვიტეთ, რომ იმ სამი ჟურნალისტიდან, რომლებიც ჯილდოს მიიღებენ, ერთი იქნება რეგიონალური ჟურნალისტი, ერთიც ტელე-ჟურნალისტი და ერთიც პრესის წარმომადგენელი. სიმბოლურია ისიც, რომ მედლებზე, რომელიც მხატვარმა ზაზა ლოდიამ დაამზადა ჩიტია გამოსახული. ასევე ჩვენ ვაპირებთ, რომ შოთა ჭინჭარაულის გამოცემის შემდეგ, ნაზი შამანაურის დღიურები გამოვცეთ, მართალია მცირე ტირაჟით, მაგრამ ეს იქნება ჩვენი საჩუქარი იმ ქართული საზოგადოებისთვის, რომელიც ამ პრეზენტაციას დაესწრება. თუ ყველაფერი კარგად იქნება ვაპირებთ, რომ მსგავსი დაჯილდოება ყოველწლიურად გავმართოთ. ასევე ძალიან მიხარია, რომ ეს პროექტი დალოცა პატრიარქმა, მე და ნინო მიქიაშვილი შევხვდით მას, წარმატებები გვისურვა და აღნიშნა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს სიმართლისათვის ბრძოლას და სწორედ ჟურნალისტმა უნდა გააკეთოს ეს. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელ ჟურნალისტებს დაასახელებს საზოგადოება.



**-„წინააღმდეგობის მოძრაობა“ კვლავ განაგრძობს პერმანენტულ აქციებს რუსთაველის ძეგლთან, რა არის ის საბოლოო შედეგი რის მიღწევასაც ამ აქციებით აპირებთ?**

-ქვეყნის ცხოვრებაში არსებობს გადაუდებელი სახის ამოცანები. მაგალითად, ადამიანთა სიცოცხლის დაცვა. დღეს პატიმრებს, რომ აწამებენ ციხეებში და შენ ზეგ ილაპარაკებ ამაზე, ამით იმ პატიმრებს ვეღარაფერს ვეღარ უშველი, ვერ დაიცავ და ვერ გადარჩენ მათ სიცოცხლეს. ძალიან ბევრი ზარი შემოდის ჩვენს ეთერში იმის შესახებ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში არიან პატიმრები ციხეებში და აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ თემაზე, ანუ ადამიანის უფლებების დაცვაზე კვლავ განვაახლეთ საპროტესტო აქციები რუსთაველის ძეგლთან. ამ აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება და ყოველ შაბათს 4-საათზე შევიკრიბებით რუსთაველის ძეგლთან. დადგება კონკრეტული მოთხოვნები, ნაჩვენები იქნება ნაწამები პატიმრების, ადამიანთა უფლებების შელახვის ფაქტების ამსახველი ვიდეომასალა. გავრცელდება ახალი ინფორმაციები ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე. მინდა გითხრათ, რომ იქ მასობრივად მიმდინარეობს მამაკაც პატიმართა გაუპატიურება.

**-აქციაზე, რომელიც შაბათს გაიმართა თქვენ გამოაქვეყნეთ 29-კაციანი ე.წ. ციხის ჯალათების სია, იმედი გაქვთ, რომ ამის შემდეგ მათ სათანადოდ დასჯიან?**

-ჩვენი მთავარი მოთხოვნაა შეწყვიტონ ამის კეთება იმ ადამიანებმა, რომლებიც დავასახელეთ. პირველად მოხდა, რომ ქუჩაში საჯაროდ წავიკითხეთ ციხის ჯალათების სია. აქ წარმოდგენილნი არიანარა მხოლოდ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები, არამედ პენიტენციური სისტემის ექიმებიც, რაც ყველაზე მეტად დამაფიქრებელია. იმიტომ, რომ ექიმს ჰიპოკრატეს ფიცი ავალდებულებს პაციენტზე ზრუნვას და მისი სიცოცხლის გადარჩენას, ამ სიაში დასახელებული ექიმები კი პატიმრებს აწამებენ. ჩვენი აზრით მორალური წნეხის დატვირთვა ჰქონდა ამ სიის გამოქვეყნებას. არამც და არამც არ ვართ მომხრე ანგარიშსწორების, უბრალოდ გვინდა ამ ადამიანებმა იგრძნონ ზეწოლა საზოგადოების მხრიდან და ხელი აიღონ პატიმართა უმოწყალო წამებაზე, სადისტურ მოპყრობაზე. მათაც ხომ ჰყავთ ოჯახი, შვილები და იმედია იზრუნებენ იმაზე, რომ არ შეარცხვინონ მათი შვილები. ეს არ არის უბრალოდ გაგონილი და ყურმოკრული ამბები. ყველა ამ გვარის უკან კონკრეტული ფაქტები დგას, ადვოკატისა თუ პატიმრის ჩვენებები. კიდევ შემოდის ჩვენთან უამრავი მსგავსი ფაქტი და მომავალ შაბათს, რომ შევიკრიბებით აქციაზე, კვლავაც დავასახელებთ ამ ადამიანების გვარებს. ასევე ჩვენს მთავარ მოთხოვნად რჩება საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება, რომლის კანონპროექტიც ჩვენ შევიმუშავეთ და გვინდა ხელისუფლება ვაიძულოთ წამოვიდეს ამ მოთხოვნაზე.



**ლელა არაბული**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# aqu, ivaniSvils rom iwvev duelSi, colma rom dagkoda, maSin geSiSvla dambaCa



– ივანიშვილმა შეურაცხყოფა მომაყენა... ძველი დრო რომ იყოს, დუელში გამოვიწვევდი, მაგრამ ახლა ჩემს ტელევიზიაში ვიწვევ სადისკუსიოდ და თანაც პირობას ვდებ, მიუკერძოებელი და ობიექტური ვიქნებიო – ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა ტელეკომპანია „კავკასიის“ დამფუძნებელმა დავით აქურბარდიამ, იგივე აქუმ.

ამ განცხადებამ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ერთი წერილი გაგვახსენა, რომელსაც უცვლელი სახით გთავაზობთ:

## დავით აქუბარდიას უკან მოურჩენელი იარები, ანუ რატომ ტკივა აქუს ტაკო?

დავით აქუბარდია – ეს სახელი და გვარი საქართველოში თითქმის ყველამ იცის! იგი ზოგს მოსწონს, ზოგს უყვარს, ზოგს აღშფოთების საბაბს აძლევს და ზოგსაც ფეხებზე ჰკიდია! მე, ამ უკანასკნელების კატეგორიაში ვარ...

ამ პიროვნებამ მაყურებელს თავი მუდმივად უსიცოცხლო, ღია ეთერში წამოწოლილი და გაწელილი საუბრის მანერით დაამახსოვრა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, აქუბარდია სტუდიაში მდგომ სკამზე საჯდომაწეული რატომ ზის და



რა არის იმის მიზეზი, რომ „ერთ ადგილს“ ვერ აყენებს!

ჰოდაა, დავიწყოთ – 1992 წლის მარიამობისთვე იდგა საქართველოში, ანუ იმ საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრს რომ ეძახის მსოფლიო!

გალის რაიონში მდებარე სოფელ ოტობაიას სტუმრობდა აქუბარდია-ბედოშვილების მრავალშვილიანი ოჯახი დასასვენებლად, რადგან დავით აქუბარდიას გვარი ამ სოფლიდანაა წარმოშობით!

14 აგვისტოს კი მოულოდნელად თავდაყირა დადგა ყველაფერი. ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას მორიგი განსაცდელი დაუდგა – აფხაზეთში ომი დაიწყო!

ვინც პოეტ ლია ბედოშვილს, ანუ „აქუს“ ყოფილცოლს იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი კარგი პოეტიცაა და რკინის ქალამნიანი უშიშარი დედაკაციც! და, ხშირად მსმენია კიდეც, რომ საკუთარი მეუღლის არამამაკაცურ, კურდღლურ თვისებებს ეს ქალი მწყობრიდან ხშირად გამოუყვანია!

უთქვამს ლიას დათოსთვის – ადე, დათო! სამშობლოს ახლა სჭირდება ვაჟკაცები, ჩვენს მიწა-წყალს დაცვა უნდა და აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინოო! აქუ რის აქუ იქნებოდა, უკან დაეხია და სამშობლოს დასაცავად პირველი არ გავარდნილიყო ფრონტის წინა ხაზზე? ასეც მოიქცა, აისხა აბჯარი, ჩაკოცნა ცოლშვილი და პირდაპირ ... ლოგინის ქვეშ გათხარა სანგარი!

„გამოდი მაქედან, შე მხდალო, არაკაცო, თორემ, რასაც მტერი ვერ გიზამს, მე გიზამ, იცოდე!“ – დაემუქრა პოეტი-დედა და სირცხვილნაჭამი ცოლი ლია ბედოშვილი ქმარს!

„დამანებე თავი, ომში რა მინდა, თქვენ როგორ მიგატოვოთ, ან მე რა მეშველება რომ მომკლან? “ – ყვიროდა თურმე შეშინებული, საწყალი და საწოლის ქვეშ შეკუნტული ბოცვერი დათო, მაგრამ იმას ხომ ვერასოდეს წარმოიგენდა, რომ დამცირებული მდედრის მრისხანება და შურისძიება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებოდა მოურჩენელ იარად და დღესაც განსჯის თემად იქცეოდა?



„მოდი, აქ შენი... – დაუთრევია ლიას ფეხებით საკუთარი თანამეცხედრე და სამზარეულოდან გამოტანილი დანით, მთელი საქართველოს სახელით, ძლიერად ჩაუცხია პირდაპირ იქ... ტაკოში!! თან დაუყოლებია: - „ამის შემდეგ, შენთან გამჩერებლის დედაც ვატირეო!“

აი, ასე დაუტოვა სამარადჟამო, სასირცხვილო ჭრილობა „აქუ თავდადებულს“ საკუთარმა ნიჭიერმა ცოლმა, რის შემდეგაც თვითონ ლია წავიდა ომში, ხოლო მათ თანაცხოვრებას საბოლოოდ დაესვა წერტილი!

მეც დავსვამდი ამ ისტორიაში წერტილს, მაგრამ ამასწინათ რაც „კავკასიის სპეცსამსახურმა“ ჩაიდინა მთელი საქართველოს წინაშე, არ შემიძლია, არ გავაგრძელო...

ამ სამწუხარო ინციდენტის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, ბატონ აქუს ჭრილობა შეუხორცდა, მაგრამ წვიმიან ამინდში, როგორც ჩანს, მაინც ახსენებს თავს ნიარევი და ამიტომაა ხანდახან გვერდზე გადახრილი, ცალ დუნდულზე რომ ზის და უხერხულად იშმუშნება.

ვიღაცებს ჰგონიათ, ვანოსკენ არის გადახრილი და იმის საიდუმლო დირექტივებს უგდებს ყურს მაყურებლისაგან მალულადო, მაგრამ ეს ასე არ არის – კაცს ნაჭრილობევი აწუხებს და ამიტომაა ასე წაფერდებული.

„აქუ, მაგ ჭრილობას რაც ჰქვია, ხომ კარგად იცი? ისიც ხომ კარგად იცი, რომ მაგ იარებს ვერანაირი გრანტებით ნაყიდი წამლით ვერ უშველი?

*P.S. სტატიაში დაბეჭდილი ცუდი სიტყვების მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე ვიღებ და გაზეთ „საერთო გაზეთის“ რედაქტორს ვთხოვ, რომ სიტყვასიტყვით დაბეჭდოს ის, რაც დავწერე.*

**ირინე გოგოლაშვილი**

„საერთო გაზეთი“ №15, 2010 წ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# biZina ivaniSvilisTvis moqalaqeobis CamorTmeva laCruli politikuri angariSsworebaa!

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ჟურნალისტი შალვა რამიშვილი:**

— ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისთვის სააკაშვილის მმართველობა, მითუმეტეს, თუ ის 2013 წლის შემდეგ პრემიერი გახდა, ცუდი და დამღუპველი იქნება. დღევანდელი ქართული ოპოზიცია მართლაც ძალზე სუსტია. მათ არ გააჩნიათ არანაირი ფინანსური და ორგანიზაციული რესურსები. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს. მითუმეტეს ის შეიძლება გახდეს ყინულმჭრელიც იმ სქელი ყინულისა, რომელიც ქართული ოპოზიციაა ჩაჭედილი.

ბიძინა ივანიშვილს ხშირად ადარებენ ბადრი პატარკაციშვილს, მაგრამ მათ შორის ორი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ბიძინა ივანიშვილს არა აქვს ისეთი ცუდი რეკლამები, როგორიც ჰქონდა პატარკაციშვილს. ვგულისხმობ, კონტრპიარს. მეორე მხრივ, ივანიშვილის პატარკაციშვილისგან განსხვავებით, გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვს.



რეიტინგი კი პირდაპირპროპორციულად მოქმედებს პოლიტიკოსის იმიჯზე და განსაზღვრავს მის სამომავლო წარმატებებს.

**— რას ფიქრობთ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც აპირებს სამი წლის შემდეგ დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი?**

— 3 წლის შემდეგ საარჩევნო ციკლი ისედაც ახლოვდება და შესაძლოა, არჩევნებში მონაწილეობა აღარ მიიღოს.

**— მაღალი ანაზღაურების შემოთავაზების შემთხვევაში იმუშავებთ ბიძინა ივანიშვილთან?**

— არა მგონია, ეს საკითხი დღის წესრიგში იდგეს. ბიძინა ივანიშვილს არ უნდა აწყობდეს ნებისმიერი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მათ შორის „კავკასიისა“ და „მაესტროს“ დასუსტება.

**— დაფინანსების შემთხვევაში შექმნით „დარდუბალას“ მსგავს ახალ პროექტს?**

— მზად ვარ ახალი პროექტის შესაქმნელად ვითანამშრომლო ნიჭიერ ადამიანებთან ერთად ვინც გარკვეული მიზეზების გამო უმოქმედოდ არიან.

**— ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს სამუშაო ადგილებიც შესთავაზა. ბევრმა მათგანმა ეს მოსყიდვის ნიშნად აღიქვა, თქვენ რას ფიქრობთ?**

— ჩემი აზრით, ეს შეთავაზება უფრო სამთავრობო ტელევიზიის ჟურნალისტების მისამართით იყო, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას დამოუკიდებლად ვერ ასრულებენ.

**— ცოტა ხნის წინ იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე აღარ არის. შეიძლება ითქვას რომ ეს ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართულად განხორციელდა?**

— ეს არის ლაჩრული პოლიტიკური ანგარიშსწორება, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სახელის შელახვისკენაა მიმართული.

**— ამ ფონზე რა შანსები აქვს ივანიშვილს?**

— ვფიქრობ, კვლავაც დაუბრუნებენ მოქალაქეობას, რადგან საქართველო მთლიანად ჩალით არაა გადახურული.

**მირანდა ნაბახტეველი**



# ra undodaT nacebs WorvilaSi anu variaciebi demokratiis Temaze

ხელისუფლებამ დემოკრატიაზე გაჭედა. იმის დასამტკიცებლად, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი საქართველოს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნად მიიჩნევს, ადგნენ და, გამოკითხვა ჩაატარეს. ასეთ დროს სასწრაფო დახმარების ბრიგადის როლს ამერიკული ორგანიზაცია **NDI** იტვირთავს ხოლმე. აი, მაგის გაკეთებულ კვლევებში სულ მისხალ-მისხალ იკითხება, ერთი კვირით ადრე ბატონმა მიხეილმა რა ხასიათზე გაიღვიძა და საზოგადოებისათვის რისი შემოპარება უნდა. ამჯერად აქცენტი დემოკრატიაზე კეთდება, რადგან სხვა პოზიციებში ისეთი სამარცხვინო მაჩვენებლებია, რომ თავმოყვარე ხელისუფლება მეორე დღესვე გადადგებოდა.

### ქვეყანა, სადაც სიცრუე სირცხვილი არ არის

კიდევ ერთი ახალი დემოკრატიულ-სოციალური ზღაპარი, რომელიც ხელისუფლებამ ამ დღეებში შემოგვიგდო, კარგად დავიწყებული ძველია: სექტემბერში წლიური ინფლაცია 4.6%-მდე შემცირდა. აგვისტოში ეს მაჩვენებელი 7.2%-ს შეადგენდა, მაისში — 14,3. სტატისტიკის სამსახურის ცნობით, სექტემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი, წინა თვესთან შედარებით, 0.6%-ით გაიზარდა. ლოგიკურია, რადგან ხილმა და ბოსტნეულმა, ასევე, რძის ნაწარმმა, რის ხარჯზეც ზაფხულში ფასებმა მცირედით დაიკლო, ისევ მომატება დაიწყო. სტატისტიკის სამსახურის ცნობითვე, საწვავისა და ტრანსპორტის ფასები ინფლაციის განმსაზღვრელ მიმართულებებად რჩება და მათი სასექტემბრო გაძვირება ასეთი შთამბეჭდავია: სატრანსპორტო მომსახურების ფასები 23.8%-ით, ხოლო საწვავის ღირებულება 17.3%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, მოცემულ პერიოდში, ფასები გაიზარდა 5,8 პროცენტით, ზრდის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ხორცსა და ხორცის პროდუქტების ქვეჯგუფზე (24,9 პროცენტი), შაქარსა და ტკბილეულობის ქვეჯგუფზე (15,7 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხის ქვეჯგუფზე (11,2 პროცენტი), ზეთი და ცხიმის ქვეჯგუფზე (8,1 პროცენტი), პური და პურპროდუქტების ქვეჯგუფზე (6,2 პროცენტი). ეს ყველაფერი ოფიციალური სტატისტიკაა.

თუ ყველაფერი გაძვირდა, მაშინ რაღა გაიაფდა და როგორ ჩამოვიდა წლიური მაჩვენებელი 4,6 პროცენტამდე? თურმე ნუ იტყვით და, ყურძენი გაიაფებულა. ოფიციალური განმარტებით, ფასების კლება დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (14,1 პროცენტი), ხილსა და ყურძენზე (6,2 პროცენტი), რამაც გარდამტეხი გავლენა მოახდინა ინფლაციის მაჩვენებელზე. ჩვენებურად ეს ნიშნავს, რომ ცოტა იქიდან მიაჭრეს ამ ციფრებს, ცოტა — აქედან და კლებაც გაიჩარხა. მთავარია, ხელისუფლებას დოკუმენტი უჭირავს ხელში და როცა დასჭირდება, მაშინ აგაფარებს თვალებზე, ნახე რა კარგად ცხოვრობ, ყურძენი გაიაფდა და შენი ცხოვრების დონეც გაუმჯობესდაო. დავიჯერებთ, ეგეთები დაგვიჯერებია?!



### 90 ტონას მარცვალი არ დააკლდეს

ისე, ყურძენზე გაგვახსენდა. აქ ამბები ტრიალებს, დედა შვილს არ აიყვანს. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებს კახეთში, კერძოდ, გურჯაანის რაიონში 90 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძნის შესყიდვა მოსთხოვეს, კილოგრამი 60 თეთრად. დუშეთის გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დავალება მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილისგან, გივი მაისურაძისგან მიიღეს. საკრებულოს თავმჯდომარემ და ნაციონალმა წევრებმა დავალება პირნათლად შეასრულეს და ყურძენი უკვე შეისყიდეს. ამის მიუხედავად, გუბერნატორის მოადგილემ ერთი შესახურებელი თათბირი კიდევ ჩაატარა. თურმე სამსახურის უფროსები და გამგებლის მოადგილეები დაიბარეს და უთხრეს, რომ დუშეთის რაიონმა 90 ტონა ყურძენი უნდა იყიდოს და ერთი მარცვალი არ დარჩეს ამ 90 ტონიდანო. დასაქმებული დუშელები ირწმუნებიან, ნებითა, კაცო, ნებით შევიძინეთ და არავის არაფერი დაუვალებიაო. ამასაც დავიჯერებთ, მაგრამ ჰკითხეთ ნდI-ის ჩვენებურ შეფს, ტელეფონით რომ დაადგები თავზე, ახლა ეს ხალხი ადგება და იმას იტყვის, ქვეყანაში დემოკრატია არ არისო?!

**P.S. არ არის გამორიცხული, ესენი მართლა რიგგარეშე არჩევნებისთვის ემზადებოდნენ და დემოკრატობანას თამაშიც ბიძინა ივანიშვილის ჩამოცილების გეგმაში ეწერებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ისეა აჭრილი და აშლილი ნაცების ელიტა, რომ უკვე გინებაზე გადავიდნენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ხელისუფლებამ ყურადღების სიმძიმის ცენტრი საჩხერის რაიონზე გადაიტანა. ამ დღეებში, არც აციეს, არც აცხელეს, გაცვივდნენ და სოფელ ჭორვილაში ასფალტის ახალი საფარი დააგეს. მერე მოიწვიეს ტელევიზიები, აპიარეს, აპიარეს და თვითონაც კარგად გაერთნენ. იმერეთის გუბერნატორმა რეგიონული განვითარების მინისტრი ჭორვილაში მიიწვია და დიდი ქეიფი გაუმართა. სუფრაზე ნაცების დევიზი ასეთი იყო: „დავამარცხოთ ივანიშვილი საკუთარ სოფელში!“ რა კომპლიმენტებითა და ეპითეტებით ამკობდნენ ქართველ მილიარდერს, ამას, ბუნებრივია, ჩვენ ვერ გავიმეორებთ.**

**როგორც ჩანს, არჩევნები მოდის. ეჩქარებათ ბიჭებს, დროზე დაამარცხონ და დამშვიდნენ, თორემ ასეთ მოლოდინებში ერთი წელი ჩვენმა მტერმა და დამაწყევარმა იცხოვროს.**

**მანანა გეგიძე**

# ivaniSvili aramarto sakuTar Tavs, saakaSvilsac TvalisCiniviT unda gaufrTxildes, rom saakaSvilze vinmem teraqti ar moawyos da mas ar dabraldes!

*გვესაუბრება ტელედოკუმენტალისტი, ჟურნალისტი* ***ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ***.



**— ბატონო გელა, დამეთანხმებით, ორი კვირაა საქართველო „არაჩვეულებრივ" მდგომარეობაში იმყოფება. მომავლის იმედი ნანატრი შვილივით ჩაისახა ქართულ რეალობაში. თქვენ როგორ უყურებთ ამ ფაქტს?**

— არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ საქართველო კოლონიური ქვეყანაა, ეს ახლა უკვე დღესავით ნათელია. დღეს უნდა იყვირო: ოპოზიციონერი ვარ, ხელისუფლებაში უნდა მოვიდე არჩევნების გზით. სხვანაირად მოქცევას აზრი არ აქვს, რადგან დასავლეთს არასდროს აინტერესებდა და არც ახლა აინტერესებს შენი ბახტრიონის აჯანყება. არავინ მხარს არ დაგვიჭერს ამაში. ჩვენ გვაქვს რევოლუციების და აჯანყებების დიდი გამოცდილება, მაგრამ ქართველები ემოციური ხალხი ვართ...

სამწუხაროა, რომ ხშირად შიშველი ემოცია ეიფორიაში გადადის, ეიფორია ეშმაკობას სიზარმაცეში, სიზარმაცე და შიში კი იწვევს ვერაგობასა და გაიძვერობას — მონის ვერაგობას და ეშმაკობას. ეს ყველაფერი დღევანდელი ქართული საზოგადოებისთვის ნიშანდობლივია. ბოდიში ასეთი შედარებისთვის, მაგრამ ჩვენს მზერას ქორ-შევარდენივით არაფერი გამოეპარება და ბუსავით ვიბრმავებთ თავს. ოდესღაც გულადი ხალხი დაშინდა, ხმალი დაგვიჩლუნგდა და ენა ავილესეთ საქილიკო...

ახლა ამბობენ, ოპოზიცია გარიგებაში იყო (და არის) ხელისუფლებასთანო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ხალხიც არის გარიგებაში ოპოზიციასთან.

იპოდრომზე 300 000 კაცი შეიკრიბა, მათ შორის მეც ვიყავი. გარშემო კი მესმოდა: „ბიჭო, მანქანა სად გავაჩერე, აღარ მახსოვს", „აუ, სიძესთან ვარ გასასვლელი", „ბოლო-ბოლო, სირცხვილია, პანაშვიდზე რომ არ წავიდე", და ა.შ. დაიშალეთ, სახლში წაბრძანდით, ბატონოო რომ გამოაცხადეს, ბევრს გაუხარდა. ვინმეს რომ ეთქვა მაშინ: წავიდეთ, დავიძრათ რუსთაველის პროსპექტისკენო, 300 000 კაციდან 3 000 არ წავიდოდა.

ქართველებს გვჭირს ასეთი რამ: მუდმივად ვეძებთ გმირს ჩვენს შორის. თუ არ გამოჩნდა ასეთი კაცი, თვითონ ვქმნით და ვიგონებთ და მერე ყველაფერს მას ავკიდებთ ხოლმე — კარგსაც და ცუდსაც, მას გადავაბრლებთ ხოლმე ყველაფერს. ახლაც, ვშიშობ, იგივე არ მოხდეს ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში.

ადამიანს ზარი რისთვის სჭირდება? რომ გამოაღვიძოს, მაგრამ ადამიანის მაგივრად ის ვერ ჩაიცვამს და საქმეზე ვერ წავა, ხელი თვითონ უნდა გავანძრიოთ.

ასე მოხდა გამსახურდიას შემთხვევაშიც. გამსახურდია დაღუპა ამ „გამოუფხიზლებელმა" საზოგადოებამ... ყველა უნდა დავუდგეთ გვერდით ივანიშვილს, რითაც შეგვიძლია. მას რანაირად ნიჭიერიც და რა სიმდიდრის პატრონიც არ უნდა იყოს, სახელმწიფო რესურსებთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდება.

ახლა უცბად გამოაცხადეს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ყოფილა საქართველოს მოქალაქე. ამას რანაირად ადასტურებენ, მე არ ვიცი, რადგან, საქართველოს მოქალაქის ახალი პასპორტი ჰქონია, საქმე საქმეზე თუ მიდგა, დაწერს განცხადებას და ხელახლა უნდა მისცენ, რადგან ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია, არასდროს ულალატია, მაგრამ მტერი ამბობს: — არ ჩაუდენია დანაშაული? — ჩავადენინებ.

**— ეს როგორ?**

— აი, აქ იხსნება ერთ-ერთი კვანძი. როგორ? მოსალოდნელია „ჩვეულებრივი" ისტორიები — იარაღის ჩადება, რომელიმე ჯგუფის დაკავება, აღიარებითი ჩვენებები — რომ აპირებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას, გადატრიალებას... დამთავრდა ფიქრი მოქალაქეობაზე, ის ვეღარ გახდება საქართველოს მოქალაქე.

მაინტერესებს, მზად არის ივანიშვილი ყოველივე ამისთვის? ვიმედოვნებ, რომ მზად არის. პირველი ნაბიჯები ძალიან კარგია. შესანიშნავი პიარი აქვს, ასეთი საქართველოში არავის არასდროს არ ჰქონია. პიარი გაიკეთა იმით, რომ პიარი არასდროს უკეთებია.

თქვენ წარმოიდგინეთ, ირანდა, რომ ის რაღაცით გრაფ მონტე კრისტოს მართლაც ძალიან ჰგავს... აი, თქვენ გეღიმებათ, მაგრამ ეს არ არის უბრალო რაღაც. მონტე კრისტო იდეალური გმირია. მართალია, ივანიშვილი ამბობს, მე არ მოვდივარ შურისძიებისთვის, მსურს ხალხმა გაიმარჯვოსო, მაგრამ ხალხის გამარჯვება სწორედ შურისძიებას ნიშნავს.

თუმცა არის კიდევ ერთი ფაქტორი, ყველაფერთან ერთად ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილი ჰყავს დასაცავი.

**— სააკაშვილს რა სჭირს, ბატონო გელა, ივანიშვილის დასაცავი, შსს, ქართული ჯარი და ბოლოს დაცვა, ეს ტალიკ-ტალიკი ბიჭები გუნდად დაჰყვებიან ყველგან. რამე სხვანაირ დაცვას გულისხმობთ?**



— შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რომ სააკაშვილს მოუწყონ ტერაქტი. გადარჩება თუ არა, ეს მეორე საკითხია. თავდასხმა, რა თქმა უნდა, ივანიშვილს დაბრალდება, არადა, ეს შემთხვევა, მოსალოდნელია, მესამე ძალამ დაგეგმოს და განახორციელოს, რომელსაც არც სააკაშვილი აწყობს ხელისუფლებაში და არც ივანიშვილი. მოსალოდნელია, აგრეთვე, შევარდნაძისეული ხრიკები, ანუ „თვითტერაქტი". ასეთ შემთხვევაშიც თითს ივანიშვილისკენ გაიშვერენ. ასე რომ, სააკაშვილს ახლა „მარგალიტივით" უნდა გავუფრთხილდეთ ივანიშვილიც და ჩვენც.

ხალხო, ობამა მალე შეიცვლება, სარკოზი ვერ გაიმარჯვებს არჩევნებში, რუსეთის ხელისუფლებაში პუტინი მოდის დიდი ხნით, ვილას სჭირდება აქ მიშა?! ჩვენ ვიბრძოლოთ და დასავლეთიც მხარს დაგვიჭერს.

**— მოდით, თქვენს „მშობლიურ ტელევიზიას" დავბრუნდეთ. ჭანტურიამ განუცხადა ივანიშვილს: ტელევიზიას მე ვხელმძღვანელობ და თვითონ გადავწყვეტ, ვის რა ფორმატში მოვიწვევ სასაუბროდ, ივანიშვილის კაპრიზებს არ დავემორჩილებიო. რამდენად სწორი იყო ეს განცხადება პროფესიული თვალსაზრისით?**

— იცით... (პაუზა). ძალიან დიდი ხანი ვიმუშავე ტელევიზიაში ჟურნალისტად, პასუხისმგებელ თანამდებობებზეც და სხვათა შორის ისეთი ძნელბედობის ჟამს, როცა საქართველოში 90-იანი წლების ქარიშხლები გრგვინავდა თბილისშიც და მთელ ქვეყანაშიც.

ახლა თქვენ მიპასუხეთ, როგორც ჟურნალისტმა — როდესაც ვინმეს სთავაზობთ თქვენთან საუბარს, ხოლო ის გეუბნებათ, შევხვდეთ ამა და ამ ადგილას და ჩაწერეთ ინტერვიუ, განა თქვენ ეუბნებით: არა, როგორც მე მინდა, სადაც მე მინდა და რანაირადაც მე მინდა, ისე უნდა ჩავწერო, ჩემთან თუ არ მოხვალთ, ინტერვიუს არ ჩავწერ, არ დავბეჭდავო?

რას გიპასუხებთ ის ადამიანი? — ცხადია, გეტყვით, არ მსურს თქვენთან საუბარი.

მაგრამ ივანიშვილმა უთხრა I არხს — მობრძანდით ჩემთან პრესცენტრში, დავჯდები და ყველა კითხვაზე გაგცემთ პასუხს.

მე გუმანით ვხვდები, რომ პირველი არხის ხელმძღვანელობას კიდევ ერთი რამ ბოჭავს — მაუწყებლობის კანონი, რომლის თანახმად, შემდგომ არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტმა შეიძლება იგივე მოითხოვოს, თუმცა საზოგადოების დაინტერესებაც ხომ გასათვალისწინებელია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია თვით ივანიშვილის უსაფრთხოებაც.

ეს ჩვეულებრივი ამბავია.

მინდა გითხრათ, რაც ივანიშვილმა ჟურნალისტების მისამართით თქვა, აბსოლუტურად მართალი იყო.

რაც შეეხება „კავკასიას", მიხეილ სააკაშვილს არ უქნია ის, რაც ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ჩაიდინა — პედერასტები ამჯობინა მართლმადიდებლებს. მათ გამო დააჭერინა მართლმადიდებელი ახალგაზრდები. ასე არ იყო?

კაცო, ახლა, არავინ იფიქროს, თითქოს მე იმიტომ ვლაპარაკობ, ვინმეს ჩემს თავს ვთავაზობდე და რაღაც ამდაგვარი. ნეტავი, ჩემი საქმე მაკეთებინა, ფილმები გადამაღებინა, პოლიტიკა სულ არ მაინტერესებს. ივანიშვილის სურათიც ახლა ვნახე პირველად. უბრალოდ, მინდა კარგმა კაცმა, ქველმოქმედმა ადამიანმა უპატრონოს ამ ქვეყანას. ძალიან ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული ივანიშვილს, ძალიან ბევრი კარგი საქმე.

**— ე.ი. გრაფი მონტე კრისტო, არა?**

— არა, ნუ გეღიმებათ ამ შედარებაზე. ამ ადამიანზე ლეგენდები დადის. იცით, რომ ივანიშვილმა ნაყინის გამყიდველს მანქანა აჩუქა?

შეიძლება ლეგენდაა, მაგრამ, შესაძლოა, მართალიც იყოს: ბორჯომში ნაყინის გამყიდველთან მისულა, ამოუღია ჯიბიდან მანქანის გასაღები და უთქვამს: ბავშვობაში, ერთხელ, ნაყინი ძალიან მინდოდა, საკმარისი ფული არ მქონდა, თქვენ ნაყინი მაჩუქეთ, ახლა მე გჩუქნით „ნივას", უკვე ასაკში ხართ, მანქანით იარეთ...

დღეს მეშინია ხელისუფლება ასეთ კაცს არ დაუპირისპირდეს ძალისმიერი მეთოდებით. ივანიშვილს აქვს პატრიოტიზმი, ხალხის სიყვარული და ფული. ხელისუფლებას აქვს ფული და ძალა, მაგრამ არ აქვს დანარჩენი. მაგრამ კიდევ ვამბობ, ყველაზე მეტად მეშინია მესამე ძალის, რომელსაც, შესაძლოა, არც ივანიშვილის გამარჯვება უნდოდეს, არც სააკაშვილის, არამედ უნდოდეს საქართველოს კიდევ უფრო დასუსტება და განადგურება. ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად და ახლა მაინც უნდა დავდგეთ ერთად.

**ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ**



**ᲠᲔᲖᲝ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ: — „მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს არა საკუთარ შანსებზე, არამედ, პირველ რიგში, იგი ფიქრობს საკუთარი სამშობლოსათვის თავდადებასა და თავგანწირვაზე, ასეთ კაცს კი გამარჯვების დიდი შანსი აქვს და დარწმუნებული ვარ, გაიმარჯვებს კიდეც".**

**„მეტსაც ვიტყვი, როცა სამების ტაძრის ამშენებელ კაცს „რუს ოლიგარქს" ეძახიან და საქართველოს მოქალაქეობას ართმევენ ეს სატანები, პატრიარქი და ეკლესია ვალდებულია ამაზე მაინც ამოიღონ ხმა! მე დარწმუნებული ვარ, რომ პატრიარქი ამაზე აუცილებლად ამოიღებს ხმას და ღმერთმა ნუ ქნას, ამ შემთხვევაშიც შევცდე!"**

**„ბიძინა ივანიშვილი ამბობს, მე მინდა, ხელისუფლებაში მოვიდე არჩევნების გზით, მინდა, ვითანამშრომლო ყველასთან, ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს, მე ვარ ქრისტიანი კაცი, მე ვარ ქართველი, მთელ ჩემ ქონებას, მთელ ჩემს ნიჭსა და ენერგიას, მთელ ჩემს დარჩენილ ცხოვრებას მოვახმარ საქართველოს გადარჩენას, ხოლო როცა ამას გავაკეთებ, მე მივდივარ პოლიტიკიდანო. ამაზე მეტი რა უნდა თქვას კაცმა? დიახ, ამას ამბობს კაცი, ნამდვილი კაცი და არა „გარეკილ პირველი"!**

**„ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ"**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

# `iavnana, iavnano, boker ia gaxsovs, vano...~

– „გახსოვს, ვანო, სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი, რომ მისთვის გადამეფიქრებინა ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილებოს მიღება.“

ასე მიმართა საქართველოს შს მინისტრ ბატონ ვანო მერაბიშვილს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავის ღია წერილში.

როგორც ხედავთ, ბატონი ივანიშვილი ხელს ადებს კონკტერულ პირს ომის წამოწყებაში, რომლის მიღმაც, ცხადია, პირთა ჯგუფი მოიაზრება.

ჯერ კიდევ 2006 წელს არსებობდა გეგმა, კოდირებული სახელით „ვეფხვის ნახტომი“, რომლის მიხედვით, 1 მაისამდე აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით უნდა აეძულებინათ რუსეთი, რომ სამაჩაბლოდან გაეყვნათ რუსი მშვიდობისმყოფელები. ამის კვალდაკვალ დაგეგმილი იყო რამდენიმე რეზონანსული პროვოკაცია ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რაც დესტაბილიზაციას შექმნიდა მთელ რეგიონში. ამავდროულად, კონფლიქტის ლოკალიზებისა და ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, სამაჩაბლოს საზღვრებთან ნავარაუდევი იყო ქართული მხარის მცირე ჯგუფების გადაადგილება. 6 მაისს სამხედრო ნაწილები და სხვა ძალოვანი სტრუქტურები გაიშლებოდნენ და ერთდროულად დაიკავებდნენ როგორც მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს, ასევე მოახდენდნენ რუსეთის ფედერაციის საზღვრის სრულ ბლოკირებას. შემდეგ დააკავებდნენ სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივ მეთაურს და გადასცემდნენ სასამართლოს. გამოცხადდებოდა საომარი მდგომარეობა, დაინიშნებოდა დროებითი მთავრობა და გამოცხადდებოდა კომენდანტის საათი. გათვლილი იყო ისიც, რომ ამ ოპერაციის შესრულებას მხოლოდ 7 დღე სჭირდებოდა, მაგრამ მაშინ ეს არ მოხდა... – ხომ არ წაავავს ბიძინა ივანიშვილის „ფანტაზიორობას?“



სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მსგავსი გეგმის არსებობა დაადასტურა საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა: „ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტი აფხაზეთი იყო, მაგრამ 2005 წელს ჩვენ შევიმუშავეთ როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის ხელში ჩაგდების გეგმა. თავდაპირველად, გეგმა ითვალისწინებდა ორმაგ ოპერაციას, შეჭრას სამხრეთ ოსეთში და როკის გვირაბსა და ჯავაზე კონტროლის დამყარებას... როდესაც 2005 წლის მაისში შევხვდით ჯორჯ ბუშს, ჩვენ პირდაპირ გამოგვიცხადეს: არ ეცადოთ საომარ კონფრონტაციაში შესვლას, ჩვენ ვერ შევძლებთ სამხედრო დახმარების აღმოჩენას,“ – შესაძლოა9 ამჯერად ოქრუაშვილის „ფანტაზიორობის“ საკითხი დაისვას, მაგრამ აშკარად წაავავს ივანიშვილის „ნაფანტაზიორევს“.

ერთიცაა, ოქრუაშვილის ნათქვამის განაწყენებული კაცის ფანტაზიორობად გამოცხადება ცოტა ძნელი იქნება, რადგან არსებობს (ნანახი აქვს მსოფლიოს) ხელმოწერილი და პირადობის მოწმობის ნიშნულებით გამყარებული დოკუმენტაცია იმისა, კონკრეტულად რომელმა პირებმა ჩაიბარეს ათასამდე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, ძირითადად, ავტომატები და ტყვიამფრქვევები 2005 წლის გაზაფხულზე საქართველოს კონტროლირებად სოფლებში.



ის, რომ საქართველოს მთავრობამ მკვეთრად გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი, რათა საქართველოს შეიარაღებული ძალები ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო, არავის დაუმალავს, პირიქით, თავმოწონების თემა იყო. 2008 წელს სახელმწიფოს ბიუჯეტის მეოთხედზე მეტი თავდაცვის სამინისტროზე მოდიოდა, – მაშინ ხალხს უკვირდა, ნეტავ, რა ჯანდაბად გვინდა შეიარაღება, ვის უნდა ვეომოთო?

2008 წლის 8 აგვისტოს წარმოთქვა გენერალმა მამუკა ყურაშვილმა ის საბედისწერო სიტყვები „კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად საქართველოს ჯარების გამიზნული შეიარაღებული შესვლა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე“, რომელსაც კვერი დაუკრა იმდროინდელმა სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა, საქართველოს მიზანი ქალაქების აღება კი არ არის, თბილისს სურს წერტილი დაუსვას კრიმინალურ რეჟიმს, ხოლო 9 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი (არ დაუჭერდა და კაი ტურას დაიჭერდნენ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადებას და სრულ მობილიზაციას, – ესეც ისეთი ფაქტია, ფანტაზიორობა ვერავის დაბრალდება, სახელისუფლებო ტელეარხები გადმოსცემდნენ და აჩვენებდნენ ყველაფერს. თვით იმასაც კი, როგორ მიწუოდნენ „გრადები“ ცხინვალის მიმართულებით, თუმცა, სააკაშვილის მთავრობის „მოგებული ომიდან“ ათ დღეში, სააგენტო „უნიანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იაკობაშვილი ამბობდა, „ცხინვალი დაბომბეს რუსებმა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავიკავეთ იგი, რაღაც, ოთხსაათნახევრით. ჩვენ ვბომბავდით სიმაღლეების შემოგარენს, მათ შორის, ავიაციითა და „გრადით“, ხაზს ვუსვამ, არა დასახლებულ პუნქტებს“, – „მოგებული ომის“ პერიოდში თვით ამაყობდნენ, დავადუღეთ ცხინვალიო, – ესეც დოკუმენტად დევს და ვერ განეკუთვნება ფანტაზიის სფეროს.

იმხანად თბილისში მყოფი გერმანიის გენშტაბის პოლკოვნიკი ვოლფგანგ რიხტერი აცხადებდა, რომ ქართული მხარე იტყუებოდა ჯარების გადაადგილების შესახებ. მისი თქმით, მან ვერ მოიძია ვერცერთი მტკიცებულება იმისა, რომ სააკაშვილმა მხოლოდ მას შემდეგ გასცა თავდასხმის ბრძანება, რაც რუსეთის სამხედრო ნაწილები როკის გვირაბის მიმართულებით დაიძრნენ...

ფრანგული გაზეთი „ლა მონდი“ ხაზგასმით წერდა და საფრანგეთის ელჩის, ერიკ ფურნიეს სიტყვები მოჰყავდა არგუმენტად, რომელმაც თქვა, რომ 8 აგვისტომდე არავის უხსენებია ტანკები, ქართულ მხარეს არ დაურეკავს ევროპელი მოკავშირეებისთვის, რომ რუსები უტევდნენ...

გაზეთები: „The New York Times“, „The Boston Globe“ და „Business Week“ წერდნენ, რომ ევროკავშირის დამკვირვებლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ 2008 წლის 7-8 აგვისტოს, ხედავდნენ, როგორ ჭრიდა ქართული არტილერია და სარაკეტო დანადგარები სამხრეთ ოსეთის საზღვარს 7 აგვისტოს დღის 3 საათზე, ბევრად ადრე მანამ, სანამ პირველი რუსული სამხედრო კოლონა შევიდოდა ანკლავის ტერიტორიაზე.

ომის დაწყების პირველივე საათებში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენით“ მოტივირებული საქართველოს ხელისუფლება ომის დაწყებას სარჩულად უდებდა იმას, რომ სეპარატისტებმა თავდასხმა განახორციელეს ცხინვალთან ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებზე და მიმდინარეობდა მასირებული დაბომბვა, ხოლო იმ დროს კონფლიქტის ზონაში მყოფი ევროკავშირის დამკვირვებლები კატეგორიულად ამბობდნენ, რომ არაფრით იყო პროვოცირებული ცხინვალის დაბომბვა, რომ არავითარი ოთხი სოფელი არ დაბომბილა წინა დღეებში, – საეჭვოა, ევროკავშირის ყველა დამკვირვებელს ერთად გასჩენოდა „ფანტაზიორობის“ სურვილი, თუნდაც ფონად საქართველოს პრეზიდენტის ფანტაზიები სდებოდათ, რუსეთმა თავისი შეიარაღების 95% გამოიყენა, მაგრამ საქართველომ თითქმის ბოლომდე გაანადგურა რუსეთის სახელგანთქმული 58-ე არმიაო.

ახლა ღია წერილიდან მოყვანილი პატარა ფრაგმენტის ერთ პატარავე წინადადებას დავუკვირდეთ, „ხომ შეიძლება, რუსებმა თვითონ შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო? – უცბად თქვა სააკაშვილმა“.

ვისაც ყური ჰქონდა და თვალი, ახსოვს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სამაჩაბლოში კონსიტუციური წესრიგის აღსადგენად (ოსი სეპარატისტებისგან სამხრეთ ოსეთის გასათავისუფლებლად) ქართული ჯარის შეყვანამდე ოთხი საათით ადრე ტელევიზიით გაავრცელა მიმართვა ოსი ხალხისადმი, – როგორც პრეზიდენტი და როგორც საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე წარსული წყენის დავიწყებისა და შეხმატკბილებისკენ მოუწოდებდა. 8 აგვისტოს დილიდანვე ვხედავდით „გრადებით“ დაბომბვას ცხინვალის მიმართულებით და არავითარი რუსის ხსენება არ იყო. რატომ გაუჩნდა ხალხს ეჭვი, რომ ეს „ჩაწყობილი“ ამბავი იყო? – იმიტომ რომ, რუსმა სამშვიდობოებმა ისე გაატარეს ქართული ჯარი, სროლა კი არა, მიკიოტს არ დაუკივლია. ეჭვით გაჟღენთილია იმდროინდელი აგვისტოს პრესა მომხდარის გაანალიზებისა და შეფასებისას.



2008 წლის აგვისტოს ომის იდეოლოგი ბოკერია იყო თუ პლანეტა მარსი, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, როცა ფანტაზიის სფეროს არც პრეზიდენტ სააკაშვილის პირით სახალხოდ ნათქვამი სიტყვები განეკუთვნება, რომელიც ბატონი ივანიშვილის ნათქვამის კიდევ ერთი დადასტურებაა: „ზოგიერთი იდიოტი ამბობს, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ, იმის გაუთვალისწინებლად, რომ შესაძლებელი იყო რუსეთის შემოჭრა. მე მხოლოდ ერთ რამეს ვნანობ, რომ უფრო ადრე არ დავიწყეთ“...

პოლკოვნიკი თემურ მიქაუტაძე (2009 წელი „საერთო გაზეთი): – „2006 წელს ზუსტად ასე მიწერია, – ბრძოლას დააწყებინებენ სააკაშვილს, მერე ჩაითვლება, რომ სააკაშვილი წამოაგეს პროვოკაციაზე, შემდეგ რუსეთი ბოლო-ბოლო დაიპყრობს ამ ტერიტორიებს, სამაჩაბლოს და აფხაზეთს ჩვენ უფრო დავცილდებით პოლიტიკურად ვიდრე ახლა ვართ, სააკაშვილი დაიწყებს გულში მუშტების ბრაგუნს, რომ რუსეთს ომი მოვუგეთ და დასავლეთისგან მხარდაჭერას მიიღებს, – რომ იტყვიან, ერთი ერთზე დააჯინა 2008 წლის აგვისტოში.

თავის ქება გამომდის, მაგრამ ასეა, როდესაც მაღალი რანგის სამხედრო პირი ორი წლით ადრე გიშიფრავს, რას მოიმოქმედებ შენ სამხედრო თვალსაზრისით ორი წლის შემდეგ, ალბათ, აქვს უფლება თქვას, რომ ეს კონფლიქტი დაგეგმილი იყო!

რამდენიც გინდათ ვილაპარაკოთ, რომ სამაჩაბლოში ბრძოლა სააკაშვილს არ დაუწყია, – ეს ბრძოლა დაიწყო სააკაშვილმა!“

ბიძინა ივანიშვილი, ალბათ, თვლის, რომ ეს ყველაფერი, კარგად ახსოვს ბატონ ვანო მერაბიშვილს და როგორც ლექების გატაცებულ და შემდეგ ისევ საკუთარ ოჯახში დაბრუნებულ ქეთოს უმღეროდა დედა „იავნანას“ მეხსიერების გასახსნელად, იმავე ხერხით, მომხდარის გახსენებით ებაასება საქვეყნოდ. ივანიშვილი ურჩევს, გეზს აძლევს საით, რა გზით წავიდეს მერაბიშვილი, რომელსაც კარგ მენეჯერად, კარგ ორგანიზატორად და ბევრი დადებითი თვისების მქონე პიროვნებად მიიჩნევს და ალბათ, შესაბამისად თვლის, რომ რასაც პირდაპირ არ უთითებს, ამ თვისებების მატარებელი პიროვნება თვითონ უნდა მიხვდეს, თუ, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი მეტად უყვარს, ვიდრე საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი, – რა ვიცი, ძალზე მარტივად დასანახია ქვეტექსტი სიტყვებში: – „ურჩიე სააკაშვილს, დროზე გადადგეს!“

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# batono biZina, Tqven amdeni sikeTis gamkeTebeli kaci, micvalebulTa Zvel armias parlamentSi nu SemouZRvebiT _ maTi adgili parlamentSi ki arapolitikur sasaflaozea...

ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად უმალ გამოიჭრნენ ერის ნაღები სახეები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, ექსპერტები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი, მაგრამ მხარდამჭერთა რიგები მომდევნო დღეებში უფრო რომ გაიზრდებოდა, ეს ყველასათვის აშკარა იყო და ასე მოხდა კიდეც.

მოკლედ, ცაშიც და მიწაზეც, ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში შემოსვლას ერთხმად უჭერენ მხარს და ახლა ის დროა, თვითონ ივანიშვილს მოვუსმინოთ, რას ამბობს: „მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში, რადგან სიტყვა მოგეცით!“ „ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება“ — ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი და სამართლიანი საქართველო!“ „რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა? ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია იმიტომ, რომ ვხედავ სამშობლო მეკარგება! ხოლო, როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არა აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს და არც პრივილეგირებულ მდგომარეობას!“ მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად! ჩემი აზრით, ჯერ უნდა გაივლოს სადემარკაციო ხაზი, უნდა შეიქმნას ორი პოლუსი და ნათლად უნდა ითქვას, მიზეზთა და მიზეზთა გამო ვის გვერდით ვერ დავდგები და ვისთან ვერ ვითანამშრომლებ. ვერ ვითანამშრომლებ ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებებში არიან და ხელისუფლების ინსტრუქციებით იმართებიან. ესენია: „ქრისტიან დემოკრატები“, „ლეიბორისტები“, „ახალი მემარჯვენეები“, „ედპ“, „ქართული პარტია“ და თორთლაძე-დავითაიას პარტიები. რომელ პოლიტიკურ ძალებთან ვაპირებ თანამშრომლობას? პირველ რიგში მინდა, ვახსენო „რესპუბლიკური პარტია“, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და მრავალ ბატალიებში გამობრძმედილი პარტია! ბიოგრაფიის დიდი სტაჟით, შესაშური ინტელექტუალური რესურსით და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერებით.“

ბატონო ბიძინა, არ მინდა დავიჯერო, რომ თქვენი პოლიტიკური გემოვნების მაქსიმუმი იმ ადამიანებზე გადის, ვინც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა საკუთარი ჯანმრთელობის გაუარესების გზით იტვირთა 2003 წლის ნოემბერში, ვინც 2007 წლის ოქტომბრის თვიდან, დამთავრებული 2008 წლის იანვრის ჩათვლით, სააკაშვილის უვადო პრეზიდენტობისთვის ძალ-ღონე-ინტელექტი და „ნათლად გამოკვეთილი“ საკუთარი ლიდერების ავტორიტეტი არ დაზოგა (თუმცა როდის ჰქონდათ იგი?) — აი, ამ ადამიანების კრებულით აპირებთ ჩვენთვის „ქართული ოცნების“ ახდენას?

ისე, ბატონო ბიძინა, როგორც ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანებს სჩვევიათ, ნუთუ არ დაინტერესდით „რესპუბლიკელებს“ საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი უჭერს მხარს და მათდამი ნდობის მანდატის მინიჭებას ვინმე კიდევ აპირებს თუ არა, მომავალ არჩევნებში?

**ნუთუ არ გსმენიათ შორეულ პარიზში, რომ სწორედ „რესპუბლიკელების ინტელექტუალური ლიდერებით იყო დაკომპლექტებული, ქართველთა მიერ დაწყევლილი „სოროსის ფონდი“? ანდა ის მაინც არ გსმენიათ, რომ ქართველთა გადაჯიშების, ქართველთა გათახსირების და ქართველთა გადაბირების ერთგვარი ბასტიონი იყო „თავისუფლების ინსტიტუტად“ წოდებული ჭინკების ბუდე და ამ ბუდეშიც საკმაოდ თბილი ადგილი, სწორედ „რესპუბლიკელებს“ რომ ჰქონდათ „ბრძოლით“ მოპოვებული?**

გაინტერესებთ მათი რეიტინგი ბატონო ბიძინა? 0 პროცენტი, შეიძლება უფრო ნაკლებიც, რადგან ხალხს „რესპუბლიკელები“, მერწმუნეთ, — ეზიზღებათ!

მათი ლიდერების დიდი უმრავლესობა ჯერ საბჭოთა „კაგებეს“-სთვის მიწერილი წერილების წერით იქცევდნენ თავს ციხეებში და მოგვიანებით, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ კი, კომუნისტური პარტიის რიგებში ყოფნით იწონებდნენ თავებს. როდესაც „რესპუბლიკელების“ მდიდარ გამოცდილებაზე წერთ, რომელ გამოცდილებას გულისხმობთ იმას, რაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, თუ იმას, რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელი აქვთ და ჩვენ ამის შესახებ, მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ, ანუ თამაშის დასრულების შემდეგ გავიგებთ?

ბატონო ბიძინა! ძალიან მაინტერესებს მეც და მრავალ ადამიანსაც „რესპუბლიკელებთან“ მიმართებაში, „მრავალ ბატალიებში გამობრძმედილი პოლიტიკური პარტიაო“, როცა ბრძანეთ, რომელ ბატალიებს გულისხმობდით — 1991 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისადმი „რესპუბლიკელების“, ღია სიძულვილს თუ მოგვიანებით სახელმწიფო საბჭოში ედუარდ შევარდნაძის ლეგიტიმაციისათვის ბრძოლას? არ ვიცი, გსმენიათ თუ არა, მაგრამ სწორედ „რესპუბლიკელების“ ხელშეწყობითაა, რომ დღეს თითქმის გათურქებულია აჭარა და მიხეილ სააკაშვილთან ერთად, „ამ საშვილიშვილო საქმეში“ მათი წილიც — ლომისაა! დიახ, 2004 წლის მაისში, სწორედ „რესპუბლიკელების“ შტურმით „გაანთავისუფლეს აჭარა“, დაამხეს ასლან აბაშიძის მმართველობა და დასაბამი დაუდეს „დიდ თურქობას“ საქართველოს ძირძველ კუთხეში! სწორედ „რესპუბლიკელებს“ უხეთქავდნენ თავებს მდ. ჩოლოქის მისადგომებთან პატრიოტი აჭარლები და თქვენგან ნაქები ლევან ბერძენიშვილი, კი დღეს რომ აჭარაში ძველებურად ვეღარ ყელყელაობს. თავის უმცროს ძმა დავითთან ერთად სწორედ ამ პროტესტის გამოძახილია და მათ მიერ ჩადენილი გამოუსწორებელი დანაშაულის ანარეკლია.







ბატონო ბიძინა! საინტერესოა, რა ინფორმაციას ფლობთ „რესპუბლიკელებისა“ და „ნაც. მოძრაობის“ გუშინდელ და დღევანდელ ურთიერთობებზე? თქვენი აზრით, ადგილობრივ არჩევნებში „რესპუბლიკელების“ თბილისის საკრებულოში მოხვედრა თბილისელების მათდამი დიდი ნდობის გამოძახილი იყო, თუ — „ნაც. მოძრაობის“ მიერ „რესპუბლიკელებისთვის“ ბოძებული ერთგვარი ჯილდო მრავალი დამსახურების გამო? აკი, მოგახსენეთ, „რესპუბლიკელები“ საქართველოში პოპულარობით ვერ იკვეხნიან, მათი რეიტინგი მოსახლეობაში თითქმის ნულს უტოლდება-თქო და ხომ საინტერესოა, მათი „გამარჯვების“ გარანტად რომელი ძალა გაისარჯა ასეთ დამთრგუნველ საარჩევნო პირობებში? ანდა იქნებ ჩვენ დაგვავიწყდა და გაგვახსენოთ, „რესპუბლიკური პარტია“, ოდესმე დამოუკიდებლად საკუთარი რესურსით თუ მოხვედრილა პარლამენტში და რომელი იყო, ეს ბედნიერი წლები? იცით თუ არა თქვენ, ბატონო ბიძინა ის, რომ საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაზე „რესპუბლიკურ“ პარტიას თავისებური „ორიგინალური“ და „ღრმად ინტელექტუალური“ არცთუ ეროვნული ხედვა რომ აქვს?

მეც ბოდიშს გიხდით, სამგზის ვიხდი ბოდიშს, მაგრამ აქვე მინდა ისიც გკითხოთ — რით არსებობდა ამ პარტიის თითოეული ლიდერი, საიდან იღებდნენ პარტიის შესანახ თანხებს, თითქმის 30 წლის განმავლობაში?

ბატონო ბიძინა! იცით თუ არა თქვენ ისიც, რომ პოლიტიკურ პარტნიორთაგან ერთ-ერთი ყველაზე არასაიმედონი, ხშირად ვერაგები და უპასუხისმგებლოები სწორედ „რესპუბლიკელები“ რომ არიან? განა არ გსმენიათ ისიც, რომ ძალიან ხშირად, გარკვეული დივიდენდების საფასურად ისინი ხან ერთ ბლოკში დახტიან, ხან — მეორეში და ხანაც იმ თამაშს თამაშობენ, რომელიც მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს? თქვენ ისიც გსმენიათ ალბათ, საზოგადოებას „რესპუბლიკელებიც“ და სხვა ფსევდოოპოზიციური პარტიები კარგა ხანია გამოტირებული ჰყავს და „სიყვარულით“ პოლიტიკურ „გვამებს“ ეძახის.

რაც შეხება „რესპუბლიკელების“ სარეიტინგო პოზიციას პოლიტიკური „გვამების“ თვალსაზრისით, ისინი ყველაზე ადრე მოხვდნენ ამ „საპატიო“ ჩამონათვალში.

იცით, თუ არა თქვენ, ბატონო ბიძინა ისიც, რომ კირილე მიმინოშვილის დარად „რესპუბლიკელებიც“ იქით გარბიან, სადაც კარგი სუფრა, კომფორტი და სითბოა?

ანდა, ნუთუ ის არ გაინტერესებთ, „დისდენტი“ ბერძენიშვილი საბჭოთა „გულაგიდან“ პირდაპირ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში როგორ დაასაქმეს კომუნისტებმა? არ მეთანხმებით, რომ ასეთი წყალობა იმ წლებში ძალიან ბევრ კითხვას აჩენს და ეს უპრეცედენტო ფაქტი „რესპუბლიკელთა“ პოლიტიკური მეტამორფოზის ერთგვარ უტყუარ დადასტურებად რომ აღიქმება?

**ბატონო ბიძინა, ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ „რესპუბლიკელებისადმი“ გვაქვს ამგვარი დამოკიდებულება ქართველებს. არა, ბატონო! როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველოში მომქმედმა უკლებლივ ყველა პარტიამ მთელი ამ 20 წლის განმავლობაში ამოწურეს ხალხის მათდამი ნდობის რესურსიც და ჩვენ, ქართველებმა მათ დამსახურებულად მივუჩინეთ განსასვენებელი ადგილები, მართალია, პანთეონი არა, მაგრამ ჩვენივე შესაძლებლობებით (ჯერ კიდევ გასულ წელს) ზოგი რუსთაველზე დავკრძალეთ, ზოგი იპოდრომზე და ზოგიც — სტადიონზე.**

**მიცვალებულების ადგილი სასაფლაოზეა, ჩემო ბატონო ბიძინა და არა პარლამენტში! ძალიან გთხოვთ, დარჩენილი დაუმარხავი მკვდრების ცოდვასაც ნუ დაიდებთ, ამოდენა სიკეთის გამკეთებელი კაცი და პარლამენტში ნუ შემოუძღვებით მიცვალებულთა ძველ არმიას.**

დამეთანხმეთ, რომ არაფერია იმაზე საზარელი და არაესთეტიკურიც, ვიდრე საფლავიდან ამოღებული მკვდარი და ახლა თუკი ამ მკვდრების გარემოცვაში თქვენ ახალი პოლიტიკის წარმოებასაც აპირებთ, მერწმუნეთ, არაფერი გამოგივათ და ნეკროფილად ნუ შეარაცხინებთ თავს თქვენს მტრებს, ბატონო ბიძინა, რა?

**მიცვალებულთა „საპატიო პანთეონი“ ჩვენ უკვე გვაქვს დღევანდელი ხელისუფლების დადღევანდელი პარლამენტის სახითაც და მკვდარზე მკვდრის დადებით, განა „ქართულ ოცნებას“ ახდენა უწერია?**

შეეშვით მათ, ბიძინა ბატონო! დე, იძინონ მშვიდად, ვიდრე ბოლომდე არ გაიხრწნებიან, რას ერჩით?

ხოლო თქვენ, თუკი მართლაც გსურთ ამ ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანა, მიცვალებულებს კი ნუ ეპატიჟებით ჯერ დაუარსებელ თქვენს პარტიაში, ცოცხლებს მოუხმეთ, ცოცხლებს, ანუ ქართულ პოლიტიკაში გაუსვრელ ადამიანებს და ვინც შემდეგ „ქართული ოცნების“ განხორციელებაში ხელს შეგიშლით, აქ არ ვართ? გვერდით დაგიდგებით და ისევე, როგორც დღეს „რესპუბლიკელები“ ვამხილეთ, „საერთო გაზეთის“ შემდეგ ნომერში იმ დანარჩენი პარტიების შესახებაც მოგითხრობთ, თქვენს სასახლესთან რიგში რომ არიან ჩამდგარი.

**ირინე გოგოსაშვილი**




**გიორგი მარგველაშვილი:** მე არ ვიცი, ივანიშვილს სადა აქვს ფული და აქტივები, მაგრამ ვიცი, რომ ეს არის ადამიანი, რომელმაც რუსეთში გააკეთა დიდი ქონება; გააკეთა ისეთ ქვეყანაში, სადაც ბიზნესი ხორციელდება ისე, რომ იგი არ უნდა იყოს კონფლიქტში სახელისუფლებო სტრუქტურებთან. ამიტომ მგონია, რომ ადამიანს, რომელმაც შეძლო ასეთი ბიზნესკარიერის გაკეთება, აქვს რუსეთის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის მოგვარების და დალაგების უნარი. ჩემთვის ეს არის პოზიტივი მის აქტივში. ადამიანი, რომელიც პოლიტიკური მეთოდებით აპირებს მოქმედებას, თანაც მას შეუძლია რუსეთის ხელისუფლებასთან საკითხების განხილვა, არა კონფლიქტის შექმნა, არა სამიტზე შეურაცხყოფის მიყენება, არამედ საკითხების დალაგება, ასეთი ფიგურის წარმოჩენა ქართულ სინამდვილეში, ანუ რუსეთთან მიმართებაში რაციონალური პიროვნების წარმოჩენა, ჩემის აზრით, საქართველოს ძირითადი პრობლემის მოგვარების წინაპირობაა. ანუ მისი კრემლთან სიახლოვე საშიში კი არა, პოზიტივია ჩემთვის, რადგან მე კრემლის მეშინია. იმიტომ რომ დღეს ჩემს რომელიმე ლიდერს შეიძლება მოუნდეს CNN-ზე გამოჩენა ჩემი რომელიმე დაბომბილი ქალაქის ან უბნის ფონზე. ჩვენ ხომ ირაციონალურ რეალობაში ვცხოვრობთ.

რაც შეეხება რუსეთის ფაქტო-



რით მანიპულირებას ხელისუფლების მხრიდან, ეროვნული მოძრაობის დროს, როცა ჩვენ ვცდილობდით იმპერიის მარწუხებიდან თვის დაღწევას, მაშინ ეს ფაქტორი კარგად მოქმედებდა, მაგრამ როდესაც ესა დაპირისპირება გრძელდება 20 წელი და შენ მუდმივად ხედავ ერთი და იგივე რეჟმს, ეს პათეტიური არჩევანი უკვე ძლიან დაძველდა. პრინციპში გამოვუცხადეთ ომი რუსეთს, მერე საკუთარ თავი დავარწმუნეთ, რომ მოვიგეთ ეს ომი. და სინამდვილეში ხომ წავაგეთ, ტერიტორიები დავკარგეთ?! მაშინ გავუსწოროთ თვალი რეალობას და ვთქვათ, რომ ჩვენ კი არ გვინდა რუსეთი აქ იყოს, არამედ დავაბალანსოთ ურთიერთობა რუსეთსა და დასავლეთს შორის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რა დოზით გავიწიეთ ჩვენ დასავლეთისკენ და დავშორდით რუსეთს. სინამდვილეში ორივე ტყუილია. იმიტომ რომ ჩვენ რუსეთიდან არ გამოვწეულვართ. ქართულმა სახელმწიფომ რუსული სახელმწიფოსგან აიღო ყველაზე მანკიერი თვისებები და კალკირება გააკეთა, ხოლო დასავლეთიდან ჩვენ დასავლური საზოგადოება არ გადმოვიტანეთ. ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელმაც ექვსი თვის წინ დაასრულა დემოკრატიისაკენ სწრაფვა რუსთაველზე რამდენიმე ადამიანის მკვლელობით. და მეორე დღეს იმ ადაგილას ეროვნული ღირსების აღლუმი შედგა. აქ დავასრულეთ დემოკრატიაზე პრეტენზია. ერთის მხრივ დასავლეთისაკენ სწრაფვა მიმდინარეობს - ღამე მკვლელობებით და დღისით ამაყი მარშით, და მეორეს მხრივ რუსეთთან დაპირისპირება - მოდელირებული ქრონიკის სახით.

იქნებ გამაგებინოს ვინმემ, ამ ლექსების და შაირების იქეთ რას ნიშნავს პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი?! გამოცხადდა, რომ საქართველოს სტრატეგიული ობიექტები არ გააჩნია, ეკონომიკაში ინტერესები არ გააჩნია, საგარეო ორიენტაციაში იქნებ ვინმემ მითხრას, ჩვენი ინტერესები რაზეა დამყარებული, ოღონდ ნატოს და ევროკავშირს ნუ მეტყვიან, ეს გუშინდელი ხუმრობაა. და რა ინტერესებზეა ლაპარაკი? ქართული ინტერესები დამთავრდა ამ გაზაფხულზე. შენ მოსახლეობას რომ დახოცავ და მეორე დღეს იქ აღლუმს ჩაატარებ, როდესაც იმას გააკეთებ, რაც გაუკეთეს ეკლესიას ამ ზაფხულს, ეროვნულ ღირსებასა და ინტერესებზე მეტს ნუღარ ილაპარაკებ.

რაც შეეხება ივანიშვილის პრორუსულობას თუ პროდასავლურობას, არის აზრი, რომ ვაშინგტონს აწყობს ლიდერი, რომელიც დაალაგებს ურთიერთობას რუსეთთან. ასეთი ვარაუდი კანონიერი და აზრიანია. ჩემთვის ძნელია არის თუ არა ივანიშვილი პროდასავლური პოლიტიკოსი, რადგან იგი ჯერ კიდევ ყალიბდება პოლიტიკოსად. სამაგიეროდ ის არის ფიგურა, რომელიც ამ ეტაპზე, რაღაც ენერგეტიკას ერთიანებს თავის თავში. ჯერ მისგან მკვეთრი პოლიტიკური შეფასებები ან ხედვა არ ჩანს, მაგრამ პოზიტიურია მისი ენერგეტიკის შემადგენლები - ფული, რომელიც დაკავშირებულია რუისეთთან და კავშირები, რომელიც იმედია, მას დალაგებული აქვს რუსეთთან; ასევე ნიშანდობლივი და კარგი შტრიხი მთელ ამ პროცესში ორი პოლიტიკური ძალა (თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები), რომელთანაც მან გადაწყვიტა თანამშრომლობა და მათაც ლოიალურად მიიღეს მისი წინადადება. მე მიმაჩნია, რომ ეს არის გარკვეული მიმნიშნებელი ნონობჯექშენისა, ანუ არაწინააღმდეგობისა დასავლეთის მხრიდან ივანიშვილის გეგმის მიმართ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის შინაგანი მდგომარეობა, რაც არის ქართულ საზოგადოებაში. ამდენი შეურაცხყოფის, ტერორის, დაჩაგვრის, რეალობის პოლიტიკურ ჭაობში გადაყვანის კონტექსტში მისი ენერგეტიკა მოდის ძალიან აქტიურად. და შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამას წინააღმდეგობას არავინ არ უწევს. პრინციპში, პოლიტიკაში ხომ ძალიან მნიშვნელოვანია ვინ გაგიჩერებს პროცესს.

**ზურაბ ბიგვავა**: ცნობილია, რომ მე ვარ ოპოზიციურად განწყობილი ჩვენი ხელისუფლების მიმართ, ამიტომ ვეძებ ადამიანს, რომელიც იქნება რაციონალური და პერსპექტიული ამ ხელისუფლების შეცვლის თვალსაზრისით. მე ვთვლი, რომ პოლიტიკურ სპექტრში, მაპატიეთ სლენგისთვის, ყოჩი გამოჩნდა ივანიშვილის სახით. გამოჩნდა პოლიტიკური მენეჯერი, რომლის ნაკლებობასაც სულ განიცდის ოპოზიციური სპექტრი. დღეს ეს მენეჯერი არსებობს, რომელსაც შეუძლია ორგანიზაცია გაუკეთოს სპექტრს და მთელ იმ პროცესს, რომელსაც ჰქვია არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის მცდელობა. ბატონი ბიძინა ამბობს, რომ ის აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში უმრავლესობით და ის თავის სიტყვას ყოველთვის ასრულებს. მე მინდა რომ ეს ყველაფერი იყოს სიმართლე. ბიზნეს ლიდერი იგივე თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს, რითაც პოლიტიკური ლიდერი: უნდა იყოს მყარი, თავის თავში დარწმუნებული, უნდა ჰქონდეს უნარი ორგანიზაცია გაუკეთოს საქმეს, სწორი მიზნები გააკეთოს და მერე სწორი ტაქტიკა აირჩიოს ამ მიზნების შესასრულებლად. ეს თვისებები ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა ბიზნესში და როგორც ვხედავ, ეს აქვს პოლიტიკაშიც. ეს არის სრულიად უნიკალური, სრულიად სპეციფიური და სრულიად ეფექტური ლიდერი, რომელიც ძალიან გულწრფელად ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც ძალიან ბევრ ადამიანს აწუხებს.



ბატონი ბიძინა რომ ახლოს იყო ჩვენი ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან ამის უარყოფა არ შეიძლება. იგი მართლა არ გეგმავდა პოლიტიკაში მოსვლას, მაგრამ გარკვეულმა გარემოებებმა აიძულა იგი პოლიტიკური განცხადებაც გაეკეთებინა და პოლიტიკური ძალაც ჩამოეყალიბებინა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას 2008 წლიდან ხელისუფლებასთან ჰქონდა საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა და ის მჭიდრო კონტაქტი, დახმარებები, რომელიც მანამდე იყო, ფაქტიურად დაიშალა. 2008 წლიდან ბატონ ბიძინას ექმნებოიდა ძალიან ბევრი პრობლემა, და ეს პრობლემები მერე აღმავალი გზით წავიდა და აღმოჩნდა, რომ ბატონ ბიძინას მოუწია ჩვენთვის ნაცნობი განცხადების გაკეთება.

რაც შეეხება ივანიშვილის მიერ ბოკერიას გვარის გაჟღერებას (საუბარია აგვისტოს ომის სცენარზე, რომელიც ამ ომამდე წელიწადნახევრით ადრე განიხილებოდა), ბოკერია ყველამ ვიცით არის ერთ-ერთი სერიოზული ლიდერი, ის ამჟამდ არის უშიშროების საბჭოს მდივანი, მაგრამ გაცილებით მეტი და ფართო ფუნქციები. რასაც ბატონი ბიძინა წერს, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან იმ პერიოდში ივანიშვილი იყო ამ ადამიანების უახლოესი პერსონა. აქედან გამომდინარე, რასაც ის ამბობს, შესაძლებელია მართალი იყოს და რაც ფაქტიურად არის საკმაოდ მძიმე ბრალდება, რომელიც ან უარყოფილი უნდა იქნას ან გაირჩეს კიდევ ერთხელ.რადგან ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში. ისევე როგორც ბატონი ჟვანიას სიკვდილი.

**მარიამ ცაცანაშვილი**: ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ფორმალური საფუძველი არსებობს, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მთავარია იმ დოკუმენტების მოთხოვნა, რომელიც დაადასტურებს, რომ ბატონ ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა სწორად შეუწყდა თუ არა. საქართველომ საფრანგეთისგან უნდა გამოითხოვოს დოკუმენტი, ივანიშვილის საფრანგეთის მოქალაქეობის შესახებ. იქიდან პასუხის შემთხვევაში უნდა გამოიცეს პრეზიდენტის აქტი. როგორც ივანიშვილმა განმარტა, მას



საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება უკვე გაგზავნილი აქვს, საფრანგეთის შესაბამისი უწყებისთვის. ამიტომ, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს! ივანიშვილისთვის, როგორც ხშირად აცხადებენ – "მოქალაქეობა ჩამოართვესო", - ლაფსუსია. ჩამორთმევა არ მომხდარა. შეწყვეტის მექანიზმებზეა საუბარი.

## ლია მუხაშავრია: კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის შემთხვევაში საქმე გვაქვს ელიტურ კორუფციასთან



უფლებადამცველი და იურისტი ლია მუხაშავრია პროექტს „სამოქალაქო მონიტორინგი სატელევიზიო მედია სივრცეში ვითარების გაუმჯობესებისთვის" დადებითად აფასებს, და აცხადებს, რომ მისი ავტორების შეფასებები მოზომილი და გაწონასწორებულია.

მისი თქმით, დროა, საზოგადოების ხმა პირდაპირ მივიდეს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიამდე იმიტომ, რომ ქვეყანაში, სადაც 13 მარტის მოდელირებული „ქრონიკა" გადაიცემა, ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების პოზიცია ღიად და დაუფარავად მოისმინონ კომისიის წევრებმა.

ლია მუხაშავრია მიესალმება საზოგადოებრივი მონიტორინგის პროცესის დაწყებას და იმედს გამოთქვამს, რომ ეს პროცესი იყოს სისტემატური.

„მე ვიყავი პირველი მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი ქვეყანაში. 2003 წლის მარტში დავინიშნე და ორი წელი ვასრულებდი ამ მოვალეობას. შემდგომ იყო კიდევ ერთი ჩემი საქმიანობის გამგრძელებელი და მას შემდეგ დასრულდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა ამ ქვეყანაში. ამის ბრალია, რომ მედიაპროდუქციის მილიონობით მომხმარებელს არ ჰყავს დამცველი", — განაცხადა მუხაშავრიამ და დასძინა, რომ მას არ მესმის, როგორ შეიძლება მომხმარებელთა უფლებებს იცავდეს მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის აპარატი, როცა მათ არ ჰყავთ ლიდერი, სუბიექტი, რომელიც მომხმარებლის სახელით წარდგება სასამართლოში.

უფლებადამცველი მოუწოდებს საზოგადოებას, რომ შეიქმნას განსხვავებული ატმოსფერო და არა ისეთი, როდესაც მომხმარებელი არის დაჩაგრული და მას თავს ახვევენ ნებისმიერ ტარიფს, რომლის გაანგარიშება, სამართლიანობა და გამჭვირვალობა არ არის ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტს, მუხაშავრიას აზრით, „ჩვენ გვაქვს ელიტური კორუფციის ნათელი მაგალითი".

„მე დაბეჯითებით ვურჩევდი ანგარიშის ავტორებს, რომ საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებისა და რეკომენდაციების შემუშავებასთან ერთად მოამზადონ პროკურატურისთვის მიმართვა ამ საკითხის გამო იმიტომ, რომ სწორედ გამოძიების საქმეა ის, თუ როგორი პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი გვაქვს", — აღნიშნა მუხაშავრიამ,

მისი თქმით, ეს შემთხვევა უნდა გახდეს ქვეყანაში ინტერესთა კონფლიქტის თეორიის და საზოგადოების თვალში მისი აღქმის საკმაოდ მკაფიო მაგალითი.

შეგახსენებთ, რომ დღეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგის ჯგუფის პროექტის „სამოქალაქო მონიტორინგი სატელევიზიო მედია სივრცეში ვითარების გაუმჯობესებისთვის" შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა, რომლითაც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტი დგინდება.

„მედიანიუსი"

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# am nacbandas angarebis garda, erTmaneTTan araferi akavSirebs

***აქტიური ოპოზიციონერი, პროფესიით რეჟისორი გოგა ხაინდრავა ახლა საქართველოშია და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს არა როგორც პოლიტიკაში ჩართული ოპოზიციონერი, არამედ რიგითი ქართველის პოზიციიდან ეხმიანება:***

**— ბატონო გოგა, ახლაც კრიტიკული მომენტია, არჩევნების ზღვარზე ვართ და ამ დროს, პოლიტარენაზე ცნობილი მეცენატი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, რატომ მაინც და მაინც ახლა და რას იტყვით მის პერსონაზე?**

— სანამ პასუხს გაგცემდეთ,თქვენს ნათქვამში მცირე კორექტივს შევიტან: არჩევნებამდე კი არ მიდის გზა, არამედ ყველა გზა უნდა მიდიოდეს არჩევანამდე. ბიძინა ივანიშვილმა კი ქართულ საზოგადოებას ძალიან ღირსეული არჩევანი აჩვენა მთელი ცხოვრების ნალვაწით და სხვათა შორის, გამორჩეული ცხოვრების ნალვაწით. გამორჩეულად უცხოვრია მას, როგორც თავის საქმეში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავის ქვეყანასა და ხალხთან ურთიერთობაში.

ვფიქრობ, გამორჩეული ცხოვრებით ნაცხოვრებმა პიროვნებამ ყველაფერი მიიტანა და დადო თავისი ქვეყნის სამსხვერპლოზე. თქვა: მზად ვარ ჩემი ქონება, ჩემი ოჯახის უსაფრთხოება, ჩემი პირადი უსაფრთხოება გავწირო იმისთვის, რომ ქვეყანა ამოვიყვანოთ იმ უბედურებიდან, ჭაობიდან, ჯოჯოხეთიდან,რაშიც დღეს იმყოფება. ამისთვის ყველაფერს გავიღებო. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანია და ეს არჩევანი არის სამაგილითო. ზუსტად ასეთი არჩევანი უნდა გააკეთონ ქართველებმა. არჩევნები კი არ არის მნიშვნელოვანი, ქართველი ხალხის და ქართველი საზოგადოების არჩევანია მთავარი, რომ აირჩიონ ღირსება, აირჩიონ მომავალი, აირჩიონ ვაჟკაცობა, რომ ის ლაფი, ის აბსოლუტურად სამარცხვინო მდგომარეობა, რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი საზოგადოება იმყოფება იყოს რადიკალურად შეცვლილი, ამისთვის ვფიქრობ უნიკალური შანსია ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა და მისი გააქტიურებით უკვე რეალურადაც გვეჩვენა, რომ საქართველო ღმერთს ჰყვარებია, რომ უფალს ვენანებით გასაწირად.

თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის ხსნაში, დღეს, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტია, თუ რა გზით წავა ქართული საზოგადოება, რა არჩევანს გააკეთებს თითოეული ჩვენთაგანი, საზოგადოების თითოეული წევრი. პირველ რიგში კი ის შეძლებული ქართველები, დღეს, რომ ბიზნესმენებს ეძახიან, რომლებმაც ძალიან დიდი ფული დააგროვეს ამ ქვეყანაში. სხვათა შორის, დააგოვეს ქართველი ხალხის შრომით, ქართველი ხალხის გაჭირვების ხარჯზე და მათი ვალდებულებულებაა, დღეს ქართულ საზოგადოებას ხელი შეუწყონ თავისი შესაძლებლობებით, ჩადგნენ იმ საერთო ფერხულში, რომლის პირველი მკვეთრი ნაბიჯი და სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანიც გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა.

პატარკაციშვილს სიცოცხლე მოუსპეს, ჩვენ ვიდექით და ვუყურებდით ამას და არავის, თითქმის არავის, ნონა გაფრინდაშვილისნაირი ადამიანების გარდა, არ აღმოგვაჩნდა იმის ღირსება და იმის პიროვნული სიმტიკიცე, რომ წინ აღვდგომოდით. ჩვენს თვალწინ, სახალხოდ, საჯაროდ ჰკლავდნენ კაცს, ნაკუწებად აქცევდნენ მის ცხოვრებას, ვიდექით და ვუყურებდით, ეს ხომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრება იყო. ბადრი იყო ძალიან ღირსეული კაცი, ხოლო ქართული საზოგადოება მას ძალიან უღირსად მოექცა. პირველ რიგში, საკუთარმა კოლეგებმა უღალატეს, აი, მათ, თვალდახელშუა, ხელის ბიჭებად რომ გადაიქცნენ. საქართველოს მსახურების ფერხულში დგომას, აი, ამ „ჯაყოს“ მსახურება არჩიეს. დღეს, ბიძინა ივანიშვილისთვის იმ გამოცდილების შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილს დაემართა ამ ქვეყანაში ბევრად უფრო დასაფიქრებელი და ბევრად უფრო გაბედული ნაბიჯია ეს, რადგან მან იცის, როგორ მოექცევიან. ეს ზომბები არ გაჩერდებიან არაფრის წინაშე, არ არსებობს ისეთი ბოროტება, რასაც ეს ხელისუფლება არ ჩაიდენს. ამიტომ ივანიშვილის ნაბიჯი ორჯერ უფრო გაბედული ნაბიჯია.

**— ბატონო გოგა, ბიძინა ივანიშვილმა უკვე საკუთარი არჩევანი გააკეთა და ფსონი „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებზე“ დადო, რას იტყვით ამ არჩევანზე?**

— დღევანდელი ვითარებით ელექტორალური თვალსაზრისით ეს თითქოს წამგებიანია. ელექტორალურად მაინც და მაინც დიდი პოპულარობა „რესპუბლიკურ პარტიას“ არ აქვს. არც „თავისუფალი დემოკრატები“ სარგებლობენ უწინდელი პოპულარობით. თუმცა ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საგარეო ორიენტირი, რითაც ბიძინა ივანიშვილმა აბსოლუტურად ღიად განაცხადა საკუთარ კურსზე. მისი ნაბიჯების სითამამე და გულწრფელობა მხიბლავს, ჯერჯერობით, ეს პირველი ნაბიჯებია. ის კონიუნქტურას კი არ არის აყოლილი, არამედ ახალ კონიუნქტურას, ახალ ვითარებას ჰქნის. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან საით არის მიმართული გეზი ქართული ოცნების, რომლის შესახებაც ბერა მღერის და მამამისი ახორციელებს, ამ პირველივე ნაბიჯებში ჩანს- ეს არის ევროპული ორიენტაცია, ეს არის საქართველოს მომავალი ევროპაში, თუმცა ამავდროულად ძალიან გონიერი მიდგომა, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები და არა მარტო ვეთანხმები, არამედ ვახორციელებდი კიდევაც და განვახორციელებ ეს არის ურთიერთობის მოწესრიგება რუსეთთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი არ გვიწერია და ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს. რუსეთი მტრად ეს არის ძალიან დიდი წნეხი საქართველოს სახელმწიფოსთვის და ქართული საზოგადოებისთვის.

**— თუმცა ტალიავის დასკვნის მიუხედავად, სააკაშვილის ხელისუფლებამ ომის წამოწყების თემაზე სჯა-ბაასს ტაბუ დაადო. ისე, სულ ახლახან ისევ და ისევ, ივანიშვილის მოწოდება გავრცელდა, სადაც მკვეთრად არის აღნიშნული, რომ ბოკერიამ ჯერ კიდევ წელიწადნახევრით ადრე დააპირა სამაჩაბლოში შეჭრა, როგორც გამოცდილი ოპოზიციონერი, რა შეფასებას მისცემთ 2008 წლის აგვისტოს?**

— მთავრობაში ვიყავი, რად მინდა ივანიშვილის ნათქვამი?თუმცა ძალიან კარგია, რომ ივანიშვილმა ეს თქვა.

ომის თემაზე შეფასება გავაკეთე ჯერ კიდევ 8 აგვისტოს დილას და ვთქვი: ეს დამთავრდება კატასტროფით, ეს არის ავანტურა, რომელიც კატასტროფით დამთავრდება საქართველოსთვის-მეთქი. როცა აქ დიდი ზარ-ზეიმი იყო ცხინვალს ვიბრუნებთო, ვიცოდი, რა მოხდებოდა, რადგან ძალიან კარგად ვიყავი ჩახედული ამ საქმეში.

მთელი ივლისი და აგვისტოს დასაწყისი დაქოქილი ტანკები იდგნენ როკის გვირაბს უკან და ელოდებოდნენ სააკაშვილის გასროლას და სააკაშვილმა გაისროლა. ოღონდ გაისროლა სააკაშვილმა, ქართველებმა კი არ გაისროლეს, სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, კეზერაშვილმა, ბოკერიამ და სხვებმა გაისროლეს, ხოლო ეგენი და საქართველო, ეს არის ორი სხვა და სხვა ცნება. არანაირი კავშირი, მათ საქართველოსთან არა აქვთ, აქვთ კავშირი ბნელ ძალებთან, დანაშაულებრივ საერთაშორისო სინდიკატთან, ამ სინდიკატის წარმომადგენელნი არიან საქართველოში და არა ქართველი ერის.

**—ბატონო გოგა, აგვისტოს თემის კვალდაკვალ ჩნდება კითხვა, მოსალოდნელი არის თუ არა ახალი პროვოკაცია?**

— სააკაშვილი არის თვითონ პროვოკაცია. აგვისტოს ომიც იმისთვის დასჭირდა, რომ დაკარგა ელექტორატი, წააგო არჩევნები, ქართულმა საზოგადოებამ არჩევნები მოუგო და იმისთვის, როგორმე მოეტრიალებინა საზოგადოების გული, ავანტურა წამოიწყო ცხინვალში.

ეს არის გაგრძელება კომუნისტური პარტიის, რომელიც მერე გადავიდა მოქალაქეთა კავშირში...სხვათა შორის, იგივე გააკეთა თავის დროზე შევარდნაძემ, როცა საკუთარი დაცემული ავტორიტეტის და ძალიან ორჭოფული მდგომარეობის „გამოსწორება“ აფხაზეთის ფაქტორით სცადა, ისიც წმინდა წყლის ავანტურა იყო, თუმცა, ცალსახად დაბრალება შევარდნაძისთვის ძალიან ძნელია, რადგან იქ რუსულმა სპეცსამსახურებმა იმუშავეს და კიტოვანისნაირმა ადამიანებმა შეასრულეს დავალებები, თუმცა როგორც ქვეყნის მეთაურს პასუხისმგებლობა კისერზე ადევს და ამას ვერსად გაექცევა, იგივე გაიმეორა სააკაშვილმა.

საქართველოში საბჭოთა წყობილება არ დამთავრებულა, საბჭოთა წყობილება გრძელდება.

**— არც ის არის გამორიცხული სააკაშვილმა ხელისუფლების გახანგრძლივების ე.წ. რუსული სცენარი გამოიყენოს და მივიღოთ ბაქრაძე ან უგულავა პრემიერად, რამდენიმე თვის წინ, ხომ თადარიგი დაიჭირა და კონსტიტუციაში სათავისოდ შეიტანა ცვლილებები?**

— არა, ეს ფაქტორი აბსოლუტურად შემოტრიალდა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით და მისმა პოლიტიკურმა განაცხადმა აბსოლუტურად შეცვალა ვითარება ქვეყანაში.

ბაქრაძე ვინ არის საერთოდ? ძალიან კარგად მახსოვს, კოკა ყანდიაშვილის გაკეთებული კლიპი-ჩამოთვალა ადამიანები და გვკითხა ქართულ საზოგადოებას ნაციონალური სიით წარმოდგენილ მასაზე- ესენი ვინ არიანო. მართლაც, ვინ არის ბაქრაძე? ასეთ პოლიტიკურ ფიგურას არ ვიცნობ, ვიცი ხელის ბიჭი ერთი, რომელიც დარბის აქეთ-იქეთ ბრძანებების შესასრულებლად.

ხოლო რაც შეეხება უგულავას, არის ნარკობიზნესში ჩართული, ნარკოკარტელის ერთ-ერთი წევრია მერაბიშვილთან ერთად. აკონტროლებს ნარკობიზნესს საქართველოს შიგნითაც და სატრანზიტო ბიზნესსაც. მასზე სერიოზულად საუბარი, როგორც პოლიტიკურ ფიგურაზე, როგორ შეიძლება?

ისევ ვიმეორებ, აქ არის საუბარი, დანაშაულებრივ სინდიკატზე, ესენი ამ სინდიკატის წევრები არიან.

ამ ნაცბანდასაც ანგარების გარდა, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებს. თუმცა ბუნბრივია, მათ სძულთ ერთმანეთი. უბრალოდ, ახლა ვითარებამ და ამ დაუოკებელმა წყურვილმა კეთილდღეობის, ძალა-უფლების გააერთიანა, თორემ მარტივ მამრავლებად დაიშლებოდნენ.

სტარტზეც იყვნენ გასაქცევად, 2 და 7 ნოემბერს, დაქოქილი ჰქონდათ მანქანები, სააკაშვილიც გზაში გააჩერეს, სხვათა შორის, ამერიკელებმა.

ჩვენ ხომ რეალურად ბუშის კომბალი მოგვხდა თავში, ჩვენ სააკაშვილს მოვუგეთ და ბუშთან, ამერიკის ადმინისტრაციასთან კი წავაგეთ, თორემ...არც გვეგონა, რომ მათთან მოგვიწევდა პაექრობა. იმიტომ ვთქვი, ტეფტზე, რაც ვთქვი, რადგან ის იყო ჩამოყალიბებული ვიგინდარა, მატყუარა, თვალებში გვიყურებდა და გვატყუებდა. რეალურად, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ახორციელებდა აქ. არც ტეფტისთვის, არც ბასისთვის და არც მათი ფრთისთვის ამერიკაში უწინდელი ასპარეზი არ არსებობს, აი, ამიტომ აკონტროლებს ეს ბნელი ფრთა- აშშ-ს ე.წ. „ქორების“ ადმინისტრაცია საქართველოს. მათ საჯიჯგნად ვართ მიგდებული.

იმედი მაქვს, ობამაც მიხვდება ამას, რომ სამართლიანობა და ადამიანების უფლებები- ეს არის ზოგადსაკაცობრიო ცნება და არა ეთნიკურ- პოლიტიკური. მხოლოდ ამის შემდეგ, მთელ მსოფლიოში დემოკრატიის მითი დაიმსხვრა,

საქართველოში დემოკრატიისთვის განაჩენი გამოჰქონდა თავისი ვიზიტებით ჰილარი კლინტონს, ბუშს და ახლა, უკანასაკნელი ვიზიტი, სარკოზის ვოიაჟია, რამაც ძალიან გამაკვირვა. საფრანგეთი დიდი ისტორიის და კულტურის ქვეყანაა, მაგრამ როცა პირსისხლიან მხეცს სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოს გადასცემ უნდა იცოდე, რომ იბღალება ეს ჯილდო და სისხლით ისვრება.

ეს იყო კაპიტულაცია. წმინდა წყლის კაპიტულაცია, ან რატომ უნდა ვთხოვოთ სარკოზის იმაზე მეტი, რასაც თვითონ ვერ ვაკეთებთ? მან რაც შესძლო გააკეთა, ჩამოვიდა, გვერდში დაგვიდგა...

და იცით, რომ არავინ მიაცილა თვითმფრინავამდე? არ გააცილეს, იმიტომ რომ, არ მოეწონა სააკაშვილს რაც სარკოზიმ განაცხადა. კერძოდ, რუსეთთან მეგობრობა და პარტნიორობა, თორემ ისე არაფერი გეშველებათო. პირდაპირ ასე.

თუმცა ესენი ავანტიურისტები არიან და ამ ბუნებას არაფრით შეიცვლიან. მათ საქართველო სძულთ და არაფრად უღირთ, მხოლოდ და მხოლოდ სკამის შენარჩუნებისთვის იღწვიან.

აბა, ახლა განსაჯეთ: სადაც მითქვამს ყველგან უკვირთ და დაფიქრდეს ჩვენი საზოგადოებაც, 2800 ქართველი მეომარი ნატოს კოალიციაში ამ 3 მლნ ნახევრიან ქვეყანას, თანაც როცა მლნ-ნახევარი ქვეყნის გარეთ არის. ეს არის საოცრება, ეს არის ქართული სისხლით და ქართული ხორცით ვაჭრობა, აი, დახლთან დგას ბენდუქიძე, დგას ბოკერია, სააკაშვილი, მერაბიშვილი... და გრამობით ქართულ ხორცს და ქართულ სისხლს ჰყიდიან ცენტებად, ჰყიდიან ჩვენს იმედს და სიამაყეს.

ნაციონალების კვალი გაქრება საქართველოში და მადლობა ღმერთს, ამით ერთხელ და სამუდამოდ დასამარდება კომუნისტური პარტია. ესენი მეთერთმეტე არმიის მემკვიდრეები არიან, ვინც აქ შემოვიდა ტყავის ქურთუკებით და სისხლის კალოები და გუბეები დააყენეს 21 წელს.

**ნათია ნოდია**







იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `bera, genacvale qarTulad mag qarTul sulSi~

## bera ivaniSvilis klipma axalgazrdoba gamoaRviZa!



***რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელესივრცემ დაბლოკა ბერა ივანიშვილის კლიპი „ქართული ოცნება", რომელსაც კარგა ხანია ელოდება საზოგადოება. სამაგიეროდ იგი მაშინვე იქცა სოციალური ქსელებს ბესტსელერად. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ კლიპმა გამოაღვიძა ახალგაზრდობა, რომელიც სრულიად ინფანტილური გახდა.***

**ანა გელენიძე**: ''ქართულ ოცნებას'' ძალიან ბევრი ახალგაზრდა სჭირდება, რომ ოცნება რეალობად იქცეს! როცა ამ კომენტარებს ვკითხულობ, ვხვდები, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდაა, რომლებიც მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ ''ქართული ოცნების'' ასრულებისთვის და ძალიან მიხარია. მეც ერთ–ერთი თქვენგანი ვარ და მთელი გულით თქვენს გვერდით ვარ! დროა, ავიხდინოთ ''ქართული ოცნება''. თავიდან ფეხებამდე ქართველი ხარ, ბერა .

**შმაგი მექმარიაშვილი**: მივმართავ სრულიად საქართველოს მოსახლეობას!!! იყავით რეალისტები და სულ მალე საქართველო ფეხზე დადგება... ნუ შეგეშინდებათ ნურაფრის, ერთობა და ერთი საერთო სიტყვა გადაარჩენს საქართველოს. დაფიქრდით, საით მივდივართ, და ბოლო რა იქნება ამ ყველაფრის. იფიქრეთ მომავალზე, დავდგეთ ერთად და გავიტანოთ ჩვენი სიმართლე. გავახილოთ თვალები და დავდგეთ ერთად. საქართველოს ერთიანობა გადარჩენს.

**თეონა კეშელავა**: ივანიშვილი პოლიტიკაში კი არა, სამშობლოს გადასარჩენად მოდის, ზოგჯერ პოლიტიკა ხელოვნებაა და ხელოვნება პოლიტიკა. რა თქმა უნდა, ამას თქვენ ვერ გაიგებთ, რადგან თქვენი მსოფლმხედველობა ხელოვნებაში ლექსენსა და გოგა ხაჩიძეს გულისხმობს მხოლოდ.

**ინგა ლილუაშვილი**: ღმერთმა დაგლოცოს შენს ოჯახთან ერთად და გაგაძლიეროს. თქვენს გვერდით ვიქნებით ყველაა რადგან ჩვენს ათასჯერ გაყიდულს და ტანჯულ ქვეყანას შველა უნდა, უფალი გფარავდეთ მუდამ.

**გიორგი გერგაია**: ყველაფერი ქართული, ნამდვილი ქართული, გაგება ქართული, თავიდან ფეხებამდე ქართული, ქართული, ქართულიიი.... ბრავო ბერა!!! ოღონდ ქართული აქცენტით!!!

**მარიამ ნაყოფია**: ნამდვილი პატრიოტი ამას ქვია:)) ძაან მაგარია ყოჩაღ:**.

**რუსა მუმლაძე-ავალიანი**: თუ რამე ვისწავლე, ვისწავლე ტკივილით. — გაუშვით ბატონო ბიძინა ეს ბიჭი პიარმენეჯერად.... მაგარია... მონატრებული სულისკვეთებააა. —— ვამაყობ წარსულით, თავიდან ფეხებამდე ქართულით..... სანამ ვარ ქართველი — საქართველო იქნება. — მიშას კედელზე უნდა ავტვირთო. და კიდო ვანოსი - მიმავალი ჩვენია - ავიხდინოთ ქართული ოცნება.

**ნინუცა ლონღაძე**: ბერა მე ვარ 11 წლის ნინი ძალიან მომეწონა შენი კლიპი ძალიან მაგარი ხარ და მე მაქვს იმედი რომ ჩვენ გავიმარჯვებთ აუცილებლად.

**ნონიკა ვარდიშვილი**: ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია. მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.

**გიო გელაშვილი**: გენაცვალე ბერა... ნამდვილი ქართველი ხარ და მთელი ქართველობა გავერთიანდეთ ძმაო

**იკა ქაშიბაძე**: ხალხნო!!!! ბიძინა ივანიშვილს ჩამოართვეს მოქალაქეობა, ეს ნამდვილად ერის სირცხვილია როცა ამას გიბედავს ხელისუფლება, ამიტომ მოდით რეალურად შევხედოთ ფაქტებს, სადაც ბიძინა ივანიშვილს კაცს რომელმაც უდიდესი ინვესტიციები ჩადო ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, არ ეკუთვნის მოქალაქეობა ჩვენ რიგით მოქალაქეებს მითუმეტეს არ გვეკუთვნის ამიტომ მოდით ყველამ ერთად უარი ვთქვათ მოქალაქეობაზე იმ ქვეყნისა სადაც მთავრობას ხალხი გონებაჩლუნგები გონია , მე არ მინდა ვიყო მოქალაქე მიშას საქართველოსი.

**ნიკა ქარქაშაძე**: ყველაზე დიდი ანეგდოტია ის, რომ ბიძინა ივანაშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს, კაცი რომელმაც საქართველოსთვის ძალიან ბერვი გააკეთა და ძალიან ბევრს გააკეთებდა ირგვლივ კარგი ხალხი რო ყოლოდა ბევრი .. კლიპს რაც შეეხება კარგი კლიპია და ბერაშიც ის ბევრი დადებითი თვისებებია კარგი რაც თავის თავმდაბლობაზე, საქართველოს და ქართველი ხალხის სიყვარულზეა ასახული .. ესეთი კაცის შვილი არ შეიძლებოდა სხვანაირად... კარგი იქნება გვიმრავლოს ქართველებს ბიძინას ნაირი საქართველოზე შეყვარებული ადამიანები..

**გიორგი კარტერი**: სავარაუდოდ მიშა რომ მორჩება „მოქალაქეობანას'' თამაშს მერე მეტი საშუალება გვექნება უფრო კონკრეტულად გავიგოთ ბიძინას გეგმები... ძაან ბავშვურად და ქაოსურად იქცევა მთავრობა და ეჭვი მაქვს რომ ძალიან შეეშინდათ...პანიკაში რომ არიან და ყოველ ღამით კრებები აქვთ შავნაბადაზე ეგ უკვე ცნობილია :))) პროსტა მაგრად ტეხავს კაცისგან მილიონები აიღო და მერე ოპოზიციაში რომ ჩაგიდგა მოქალაქეობა ჩამოართვა :))) ბიძინას ცოლს რას ერჩოდა ეგ ხო საერთოფ კულმინაცია იყო ამ მთავრობის უნიჭობის.

**შმაგი მექმარიაშვილი**: მივმართავ სრულიად საქართველოს მოსახლეობას!!! იყავით რეალისტები და სულ მალე საქართველო ფეხზე დადგება... ნუ შეგეშინდებათ ნურაფლის, ერთობა და ერთი საერთო სიტყვა გადაარჩენს საქართველოს. დაფიქრდით საით მივდივართ, და ბოლო რაიქნება ამ ყველაფრის. იფიქრეთ მომავალზე დავდგეთ ერთად და გავიტანოთ ჩვენი სიმართლე. გავახილოთ თვალები და დავდგეთ ერთად. საქართველოს ერთიანობა გადარჩენს.

**ანა გელენიძე**: „ქართულ ოცნებას'' ძალიან ბევრი ახალგაზრდა სჭირდება, რომ ოცნება რეალობად იქცეს! როცა ამ კომენტარებს ვკითხულობ ვხვდები, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდაა, რომლებიც მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ „ქართული ოცნების'' ასრულებისთვის და ძალიან მიხარია. მეც ერთ–ერთი თქვენგანი ვარ და მთელი გულით თქვენს გვერდით ვარ! დროა ავიხდინოთ ''ქართული ოცნება''! თავიდან ფეხებამდე ქართველი ხარ, ბერა.

**ნელი მამასახლისი**: ბერა, ჩავიცვათ ყველამ ''ქართული ოცნება'' მაისურები და ყველას დავანახოთ, თუ რამდენნი, რა ლამაზები და რა ამაყები ვართ!!!

**მედეა სორდია**: უძლიერესი ქართული ენერგია!!! ღმერთმა ინებოს, წარიმართოს საქართველოს გამარჯვებისთვის!

**ნელიკო სარაჯიშვილი**: საქართველომ უნდა იამაყოს შენით ბერა შენი ქართული სულით ქართული შემართებით ჩვენ შევძლებთ ავიხდინოთ ქართული ოცნება საქრთველო გაბრწყინდება!!!!!

**ლილიკო გელაშვილი**: ეს ოცნება აგვიხდინე უფალო! სვეტიცხოვლობას გილოცავთ, ბერა! კაცურად მოხვედი და დარჩები კაცურად! არანაირი წასვლა...

**მერაბ სტურუა**: უთხარი მამაშენს, რაც შენ იმღერე მხოლოდ ის უნდა აკეთოს, ხელისუფლება რყვნის ადამიანებს, დიდი ხელისუფლება დიდად რყვნის, მაგრამ დიდი ვაჟკაცობა ყოველგვარ გარყვნას აღუდგება წინ!კაი ბიჭი ხარ, ბერა!

**ანრი ფურცხვანიძე**: დიდი გულისტკივილით და დამძიმებული მდგომარეობით ნაკარნახევი სიმღერაა. მაგრამ, ოპტიმისტური ტექსტი და განწყობა მომავლის გამარჯვებებს გვიქადნის. ეს არანაკლები მუხტია საქართველოსთვის.

გაიხარე ბ ე რ ა!!!!!!!!!!

**მირანდა ჩუმაშვილი**: ბერა, გენაცვალე ქართულად მაგ ქართულ სულში... უფალი გფარავდეს... ძალიან მაგარია.

**ირაკლი ბერძენაძე**: სამწუხაროა, როდესაც მედია საშუალებები უარს ამბობენ მაგრამ არაუშავს – რაც მთავარია არის და ხალხი გაიგებს მაინც!

**თოკა ფერაძე**: შენ გგენაცვალეე ნამდვილო ქქართველო! ?

**ლევანი შუბითიძე**: ქართული ოცნება ასრულდებაა!!!!!!!!!!

**ლიკა ზუბაშვილი**: ეს არის ქართული რეალობა... „ფინალი ჩვენს ხელშია!" როგორც იქნა -გაჩნდა იმედი ..... :)

**გიორგი რამიშვილი**: ბერა – არაჩვეულებრივი სიმღერაა, გაიხარე უფალი გფარავდეს, საქართველო ნამდვილად გაიმარჯვებს,დროა ავიხდინოთ ქართული ოცნება

**თეკლა წერეთელი**: მაშინ მართლა რა ბედნიერები ვიქნებით! გული გვექნება სიხარულით და სიყვარულით სავსე რომ ახდეს ეს ჩვენი ქართული ოცნება! არადა, ეს შესაძლებელია, ნებაა მთავარი. ახლა გამოჩნდა ნებაც და შეძლებაც, ოღონდ ''ისინი'' თავიანთი ''ვერტიკალითა'' და ''ბერკეტებით''... შემოგვიტევენ... მაგრამ ვფიქრობ, იზეიმებს სამართალი და სიკეთე და სიყვარული გაიმარჯვებს

**ნოდარ გელოვანი**: კლიპი ნორმალურად გადაღებულია, მაგრამ არ გეწყინოს მარა უცნობს უფრო კარგად გამოსდის ეგ ამბავი, ჯობია იმას გადაუხადოთ ისევ...

**ლეგენდა**: ნამდვილად... კლიპის ფინალი საქართთელოს მოსახლეობის ხელშია...კარგი შვილი ხარ, კარგი მამა გყავს და როგორი შეკრული ოჯახიც თქვენ გაქვთ, ვუსურვებ საქართველოც ეგრე შეკრულიყოს...

**ეკა ურუმბეგაშვილი**: არ მეშინია! აღარ მეშინია, რადგან უკვე ზუსტად ვიცი- ქართული გენი გადარჩება და ამ გადარჩენისთვის ბრძოლაში ყველა ჭეშმარიტი ქართველი, ვისაც ღირსება ვერ წაართვეს ერთად დადგება. ერთად დავდგებით საბოლოო გამარჯვებამდე,ქართული ოცნების ასრულებისთვის! მადლობა უფალს თქვენნაირი გულანთებული ქართველების არსებობისთვის ბატონო ბიძინა! თქვენ სრულიად საქართველოს უყვარხართ,ასე რომ ქართულ ოცნებას აუცილებლად ავისრულებთ! მე ამის მწამს.

## ქართული ოცნება

ერთად დადგომა რომ შევძლოთ,
ბოლო იმედი არ არის წასული,
მთელი ცხოვრებაა ვოცნებობთ,
ეს ოცნებაა ქართული...
გირჩევ შემეგუო,მოვედი დიდი ხნით,
მსურს და ბრძოლას ვასრულებ ღიმილით,
თუ რამე ვისწავლე,ვისწავლე ტკივილით,
საქართველოს ვუყვარვარ დედისერთა შვილივით,
თბილისში ძველი ფილმია,შეაფასე კადრები,
რეჟისორი გვატყუებს-ცხოვრებაა შავ-თეთრი,
არ მიცნობს არც ერთი,ჰგონიათ მე ქსელში ვარ,
სცენარი შევცვალე, პუბლიკა შოკშია,
ყველაფერი ქართული,ნამდვილი,ქართული,
დადგება ქართული კაცობა ქართული,
ვისაც ჩვენი მოვლენა ქართული-
გეორგიან დრეამ-ოცნება ქართული,
მესმის ქართულად,მიყვარს ქართულად,
ვგრძნობ და განვიცდი-ქართულად,ქართულად,
ნებისმიერ მწვერვალზე ასული,
დავრჩები თავიდან ფეხებამდე ქართული,
ვხედავ კლიპებში,პრესაში,ვფიქრობ,ვიცნობ?!
თუ რამეს მივაღწიე მივაღწიე თვითონ,
გაიხსენე ის დრო-ბავშვობა გავწირე,
ყველა ჩემი იარა-იარაღად ვაქციე,
ჩაიკითხე თვალებში ცხოვრებამ რა დამაწერა,
ყველაფერი წამართვეს-სიყვარულის აღარ მჯერა,
და როცა წავიქეცი არავინ არ ამაყენა,
და როცა დავდექი ვერავინ ვერ გამაჩერა,
გვახსოვს სიტყვები, ნამდვილს
არავინ არ გავს, არაფერი არ ცვლის,
ვიცი საიდან მოვდივარ, ვიცი საით მივდივარ,
პატარა ქართველი ნახე რა დიდი ვარ...
მოვინდომე ქართულად,მოვიპოვე ქართულად,
ყველა ჩემი მტერი ჩამოვიტოვე ქართულად,
ვაშენებ მომავალს,ვამაყობ წარსულით,
თავიდან ფეხებამდე ქართულით,
-წავართვი მიწა-ვერ წავართვი ღირსება..
სანამ ვარ ქართველი საქართველო იქნება,
გპირდები ეს ყველაფერი მორჩება,
როგორ გავჩერდე მთელი თაობა მომყვება,
საერთოდ არ ვაკეთებ ან ვაკეთებ ქართულად
მოვედი კაცურად წავალ კაცურად,
რა უნდათ არ მიცნობს არც ერთი,
ავიღებ გრემის, ვიტყვი
thank you - ქართული აქცენტით,
მოვიდა დრო ერთად დავდგეთ,
მომავალი ჩვენია,
ავიხდინოთ ქართული ოცნება,
ქართული ოცნება...



# rac dafarulia, isufro qarizmatulia!..

**გვესაუბრება ეროვნულ ტრადიციათა ცენტრის დამფუძნებელი, პოეტი და დრამატურგი კობა არაბული.**

**—დამეთანხმებით, ბატონო კობა, ეს დღეებია უჩვეულოდ გამოფხიზლდა საზოგადოება, რას გვეტყვით, რამე იცვლება?**

— რაღაც შეიცვალა, ეტყობა, დროთა ცვლის ჟამი დადგა თორემ ერთ ადამიანს არაფერი შეუძლია, უფლის მიერ მოვლენათა ცვლა, და „მედიუმთა მოვლინება ერთდროულად ხდება! — ცალ-ცალკე ეს მოვლენანი არ „მუშაობენ“ ერის აურაზე... და როდესაც ერის (ხალხის) უდიდესი ნაწილი გულში გრძნობს უცნობ სიხარულს — ეს „მძლევარის“ მოახლოვების მაუწყებელია, რომელსაც ჯერ „ჭილყვავების თოვლი“ მოსდევს და მერე „წეროს თავთავი“... წეროს თავთავი სიხარულის და იმედის მომტანია და მერე ურნატი ჯდება ხნულში...

ივანიშვილის გამოჩენამ, მისმა „ეპისტოლეებმა“ (როგორც მავანნი უწოდებენ), ისეთი ეფექტი გამოიწვია, მწერებს (ჩრჩილს) „დიხლოფოსს“ რომ შეასხამენ, ან მატლებს — კრიოლინს! ჯერ ამოფუვდებიან, მერე ჩამოცვივდებიან!...

ჩვენი პოლიტიკური სამთავრობო და არასამთავრობო კლანები, სახელმწიფო მაფიები, ოპოზიციური ფსევდოპარტიები და მასმედიები დიხლოფოსშესხმული ჩრჩილივით ამოფუვდნენ და დაბორიალდნენ.

ხოლო ბატონმა აქუბარდიამ მაიმუნს უკანალზე ნიშადურს რომ მოუსვამენ, ისეთი ჩხავილი ატეხა, აჩხავლდა. ეს მოულოდნელობის ეფექტია და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

მაინც რა მოხდა?! რამ „დააბორიალა“ ეს ხალხი? უნდა ითქვას, რომ მწარე სიმართლემ და „ათვისებული“ სივრცის, გამოხრული ეროვნული სხეულის დაკარგვის, წართმევის შიშმა...

**—ე.ი. ეს შოკური გამოჩენა ეფექტურთან ერთად საჭიროც იყო?**

**—მიმაჩნია, რომ შოკური თერაპია, რომელიც ივანიშვილმა გამოიყენა, სწორი იყო. ერთხელ, ოდესმე, ხომ უნდა თქმულიყო ის, რაც ყველამ ვიცით და ვერ ვახერხებთ მის შეცვლას ან განეიტრალებას?**

უნდა თქვას მან და მაშინ, ვის მიერ თქმულსაც ასეთი ეფექტი ექნება...

ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი ყველას მიმართ სიმართლეა კონკრეტულად და ზოგადად იმ სინამდვილეზე, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ჩამოყალიბდა.

ანომალური, ანტიზნეობრივი და ტირანული სახელმწიფოებრივი სისტემები და მათი მომყოლი „მკვდარი“ პარტიები, სრულიად ცრუ, ილუზიური პოტიომკინის სოფლების მაქებარი ტელევიზიები... და კიდევ ნახევრად ცრუ ექსპერტნი და ფსევდოპატრიოტნი, ერთი ფეხი იანუსივით აქეთ რომ უდგათ, მეორე კი „ვანიჩკას“ ნაკრძალში, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოვიშოროთ?!..

**— რა ტიპის „დიხლოფოსი“ და „კრიოლინი“ უშველით ამათ...**

— მე ვთქვი, როდესაც „კრიოლინს“ შეასხამენ ცოცხალი სხეულის მჭამელ მატლებს, ისინი ჯერ „ამოფუვდებიან“ და მერე მიწაზე ცვივიან...

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ერთი-ორჯერ კიდევ უნდა შეასხას „დიხლოფოსი“, რომ კარგად ჩამოიბერტყონ ხელისუფალნიც და მათი ჭია-ღუებიც...

ახლა ფუიან, დაბორიალობენ ანომალურად და გაიძახიან ათას სისულელეს, ამჟღავნებენ მავნებლურ ქცევებს: ოღონდაც ხელი შეუშალონ მოსულ სიმართლეს, მათი დასასრულის დასაწყისს...

ისე იქცევიან, თითქოს ვერაფერი გაიგეს, ან „რაღაც ვერ გაიგეს“ „ეპისტოლისგან“ (როგორც თვითონ არქმევენ: მათ „მითი“ და „ეპისტოლეც“ სულ სხვა რამ ჰგონიათ...).

მაინც რა ვერ გაიგეს ამ ჯეო-ბართა და საროსკიპოთა „მელომანებმა“ და მიცვალებულთა ზედან მომღერლებმა? კაცი მოვიდა, რომ „სარეანიმაციო სარეცელიდან“ ერი ააყენოს და მას ჭეშმარიტად შესწევს ამის ძალა — ჭკუათმყოფელი ასეთ „შემთხვევას“ დაუპირისპირდება?

თომა მოციქულს — ურწმუნო თომას ქრისტეს არსებობაზე ეპარებოდა ეჭვი! და თუ ახლა აქუბარდიაზე და მოქანქარე ოპოზიციაზე — „წაჯექ-წამოჯექა“ პოლიტიკანებზე და მათნაირებზე თუ შეეპარა ეჭვი, ეს გასაკვირია?... ანუ დაუშვებელი და წარმოუდგენელია?

**— ბატონო კობა, ერთია მძლავრი მატერიალური რესურსები და მეორე პოლიტიკური ალღო, დიპლომატიურ ნიჭი... თქვენი აზრით, იმის გარდა, რომ ბიძინა ივანიშვილი პატრიოტი ქართველი კაცია, შეძლებს ამ ჩადულაბებული ნაციონალური საპყრობილის გარღვევას?**



— ივანიშვილს შეუძლია ვითარების შეცვლა სრულიად დაქცეულ აოხრებულ ქვეყანაში! მე ვწერდი, რომ ერი წევს პროკრუსტეს სარეანიმაციო სარეცელზე და მის პულსზე ხელი უდევს მხოლოდ ერთ ადამიანს, ეს გახლავთ ჩვენი პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელსაც ცხვრისტყავიანმა გიენებმა აქამდე ვერაფერი მოუხერხეს-მეთქი...

**ახლა გამოჩნდა მეორე ადამიანი, რომელიც სარეანიმაციო სარეცელზე მდებარე მომაკვდავ ერს მეორე მაჯაზე დაადებს ხელს პატრიარქთან ერთად...**

და ჩნდება ერის „გამოყვანის“ შანსი: ვითარცა ლაზარესი.

მე ვიმეორებ და ვამბობ: რომ მათ, „შინაურმა სხვებმა“, ფაქტობრივად, მოწამლეს და დაჩეხეს ერი და დაჭრილი მიაგდეს სასაფლაოზე, ვითარცა ოცდაექვსს რუსთაველის პროსპექტზე გამოსული მომიტინგენი.

... დიახ, არსებობს ახალი „პროკრუსტე“, რომელიც თავზე ადგას და ყოველ დღე აჭრის სხეულის სხვადასხვა ნაწილს ქვეყანას, უტარებს სულის და მეხსიერების ზომბირებას. ერი არსებობას ინარჩუნებს მხოლოდ პატრიარქის ლოცვით...

მას სჭირდებოდა მეორე მატერიალური ენერგია, რომელიც უფალმა გააჩინა და ეს კავშირი უნდა იქცეს მხსნელ „სინერგიად“ — რაც ააყენებს ლაზარეს!

**—და საქართველო, ვითარცა ლაზარე აღსდგება...**

—ლაზარე რომ აღსდგება, ეს ჩვენ ვიცით! ეს თვითონ უფალმა გვითხრა: უფალმა მოგვცა კვართი იმის ნიშნად, რომ ლაზარე სწორედ აქ, ამ მიწაზე და სწორედ ახლა უნდა აღდგეს, რდგანაც აღარ არსებობს სხვა დრო ამისათვის, აღარ არსებობს „ხვალ“. ის ახლა, დღეს უნდა მოხდეს, თორემ „სასიცოცხლო „შარმი“ და ენერგია იწურება და იგი ხვალ ველარ აღსდგება!

**ივანიშვილი უფალმა მოავლინა მაშინ, იმ დროს და იმ ვითარებაში, როდესაც ეს საჭირო იყო, მან ბეწვზე მოუსწრო „გატეხილ ბორანზე“ ჩაკიდულ ქვეყანას — და ეს ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ერმაც და ბერმაც, მტერმაც და მოყვარემაც... და შევანელოთ რადიო-ტელევიზიებში უცნაური კაკაფონია...**

**—ახლა თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ივანიშვილი უფალმა გამოგვიგზავნა? ცოტა გადაჭარბებული ხომ არაა ეს შეფასება? თუ ასეა, მაშინ უფალმა უნდა დაიფაროს და მისმა წამოწყებულმა საქმემ უნდა იზეიმოს...**

—ივანიშვილი უფალმა მოიყვანა და თუ ეს ასეა, დიახ, ისევ უფალმა უნდა დაიცვას იგი, უფალმა უნდა მისცეს მას ამ ურთულეს ვითარებაში სიფრთხილის და სწორი მოქმედების უნარი, გამარჯვების შესაძლებლობა, ხოლო საზოგადოებას გონება გაუნათოს...

როდესაც ერის სულიერი და მატერიალური სინერგიის შეკრების დრო დგება, მაშინ „საფლავის ქვებიც იძვრიან“... მაშინ ყოველი ადამიანი იქცევა გმირად: ცოცხლთა და შეწირულთა დიად ლაშქრად. რომელსაც „თავისუფლების მთვარის“ გამოყვანა შეუძლია!

როდესაც მოქმედების წამი დგება, ამას უფალი გვაუწყებს და ერი გრძნობს მთელი სხულით! იგი მოულოდნელად იღვიძებს და მიემართება საომრად, ისე როგორც „ბახტრიონში“ ვაჟას გენიითაა დანახული...

ოღონდ გამღვიძებლის როლს იქ კვირია ასრულებს, რომელიც თითქოს ლოგოსიდანაა შემოსული და მხრებზე ვარსკვლავთა მტვერი აყრია! კვირია აღვიძებს და თავის ირგვლივ იკრებს ხვთიურ და მიწიერ ძალებს და მისიას აძლევს...



ბიძინა ივანიშვილს უფლის ნებით ეს მისია ეძლევა! იგი ჩვენს დროში კვირიას პროტოტიპად უნდა იქცეს! მას ეძლევა კვირიას მისიაც და ამირანის, ანუ კოპალა-იახსარის აბჯარიც, რომელიც კავკასიაში კიდევ ერთხელ იწყებს იბერიულ-კავკასიური რასის გადარჩენისთვის ბრძოლას XXI-საუკუნის ინდო-ევროპელთა „სკვითთა, სემიტთა, თემურ ლენგთა და შიგნიდან ციხის გამტეხთა წინააღმდეგ მეტად სახიფათო ომს!...

ვიმეორებ: ლაზარეს მაგალითი გვასწავლის აღდგინების შესაძლებლობას უფლის ნებით!

ამირანის მითი გვასწავლის ვეშაპის მუცლიდან გამოსვლის შესაძლებლობას „სამთა კავშირით“: სიბრძნის, იარაღის და ქველობის შერწყმით...

**უხორცო გახუას მითი და „ვეფხისტყაოსანი“ გვასწავლის, ქაჯური ფატალური მტრის დაძლევის შესაძლებლობას“ — სულიერი უხორცობის ზღვარზე მდგარ მეომართა და ანგელოზთა ერთიანი „სინერგიის“ ძალით...**

ჩვენ გვაქვს სხვა მრავალი მაგალითი ერის გადარჩენისთვის ანდრეზულ და მითოსურ ცოდნაში!

ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ: რადგან ყოველ ანდრეზში დევს ერის გადარჩენის საიდუმლო კოდი!

ვინმე „ჰიქსოსებმა“ (ძ.წ.X-IV-ს) ასი წლით „დაიჭირეს“ ფარაონების ქვეყანა! ჩვენი ქვეყანაც ჰქონდა „დაჭერილი“ ამ ტიპის მოძალადეებს!

უნდა ჩავთვალოთ, რომ ახლანდელ დროში ერთი ათასს უდრის, და ეს ჩვენი „ჰიქსოსები“ ერთი საუკუნით ვერ დარჩებიან ხვთიშობლის წილხვედრ მიწაზე!..

**—ბატონო კობა, ასეთ მისიებს ხომ ქარიზმული ლიდერები ტვირთულობენ, როგორც წესი, ახლა თქვენ ქარიზმას ხედავთ?**

—ვხედავ, მე ამ ეტაპზე და ზოგადადაც, მაგრამ არ მიმაჩნია საჭიროდ ქარიზმული ლიდერის ხშირი გამოჩენა — მოცრუე ჟურნალისტებთან პირდაპირ ივანიშვილი იმდენადვე დაფარული უნდა იყოს პოლიტიკაში, რამდენადაც „დაფარული“ იყო ბიზნესში — მისი სურათიც კი არ ჰქონდა პრესას... მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა სამების გენიალური ტაძრის აშენებაში...

რაც დაფარულია — ის მეტად ქარიზმატულია!..

**მისი პროგრამები და არსებობა გაცილებით ეფექტური იქნება, ვიდრე მისი ტრიბუნაზე ღიად დგომა... მისმა საქმემ უნდა აქციოს იგი და მისი ქვეყანა ლეგენდად, თუ გნებავთ, მითად...**

მას აქვს ისეთი ტიპის მხატვრულ-მითოსური ხედვა მოვლენების: როგორიც ნიჭიერი „თევზების“ თვისებაა — შერწყმული პრაგმატიზმთან!... ეს გენიალური შემთხვევაა! ხოლო მითი ჩვენს

**„მატლიჭამია ჩხიკვებს“ ზღაპარი ჰგონია! მითი ანდრეზული ცოდნაა, რომელიც ინახავს ერის გენეტიურ ცნობიერებას...**

დაფარულ პიროვნებას უფრო დიდი ქარიზმატული ძალა გააჩნია: ვიდრე მზეზე გამოკიდებულს: საფიხვნოში ჯდომა გენიოსთაც კი ახუნებს და აუფასურებს — ესეც ანდრეზული ცოდნაა!

ხევსურს მართლაც „პატარა კახი“ მის დიდ სახელთან შედარებით პატარა მოეჩვენა და მის ნახვას მისი სახელი ერჩია.

ბატონი ბიძინას „სახელს“ გარკვეული ქარიზმა ახლავს, რის განქარვებას პოლიტიკანები და კაჭკაჭი ჟურნალისტები, ფიქრობ, რომ ვერ შეძლებენ...

როდესაც ერი სიბრძნეს კარგავს, როდსაც მისთვის დგება შეუსაბამო მითოლოგიური დრო მისი მოქმედებაც შეუსაბამოა! იგი შეცდომას უშვებს: მტერ-მოყვარეთა შეცნობაში, შეუსაბამო და ანომალურია, მისი ფსევდო„-ბელადის“ მოქმედება, რომელიც ვერ აცნობიერებს ერის საკრალურ ცოდნას.

ანომალური დრო, ანომალური არსი პრეზიდენტით, რომელიც მთლიანად წირავს საკუთარ ხალხს და ქვეყანას: საკუთარი ტყავის — ქერქის და ხორცის გადარჩენის ფასად!

როცა ხალიჩას „დიხლოფოსით“ შეწამლავ! ჩრჩილის ნაჭამი ფონი რჩება: შემდგომ იმას აღდგენა, ამოვსება, რესტავრაცია სჭირდება!

ფსევდოხელისუფალთა მიერ, „ჰიქსოსების“ მიერ, ისეთივე გამოხრული და გამოჭმული დარჩება ერის მთელი საარსებო სივრცე... როდესაც ესენი წავლენ მის რესტავრაციას დიდი ძალისხმევა, ნიჭი და სახსრები დასჭირდება!

საამისოდ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ უფლის ხელდასმით მოვლენილი კაცი იგი, ვინც გამოჩნდა!

გარდა მატერიალური სივრცისა, რომელიც სრულიად მოშლილი და გასხვისებულია, აღსადგენია ერის სულიერი და ინტელექტუალური კონსტრუქცია, ტრადიციული ეროვნული ცნობიერება.

დასაბრუნებელია განდევნილი ერი საკუთარ მიწაზე, ამას სჭირდება დიდი საეკლესიო და საერთო სინერგია ...

დასასრულისთვის, კიდევ მინდა გავიმეორო: როდესაც ერი ბეწვის ხიდზე დგას: ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, შემოდის კაცი, რომელსაც შეუძლია ხელი ჩაკიდოს და გაიყვანოს: ამ დროს აქუბარდია და მას დუელში იწვევს — არა აქვს მნიშვნელობა, კაცს წარსულ დროში „მოჰკლავ“ თუ მომავალში. შეხეთ ჩვენს სიგლახეს და ბედის ირონიას, არარაობას და ფარისევლობას: აქუ ამით „ვანიჩკას“ (ეს სახელი პირზე აკერია) „ქსივას“ აძლევს: და ეუბნება „შენი ვარ, სხვას არ მივეყიდებიო!“

„აქუს“ სიმართლის „დიხლოფოსი“ შეასხეს და იგი მყისიერად „გამჟღავნდა“ შავ-თეთრი ფირივით...

მე არ მახსოვს ისეთი შემთხვევა: რომ „კავკასიაზე“ მოწვეულ ეროვნულ მოღვაწეებს, ან ეკლესიის მსახურთ საპირწონედ ნაცები ან „იელოვას მოწმეები“ არ ჰყოლოდათ...

დროა „დაიყოს“ და ითქვას ვინ-ვინ არი, გაიმიჯნოს ტყუილ მართალი...

ივანიშვილმა თქვა და სწორი ქნა: ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერადო. უნდა გაიმიჯნონ ერთხელ და სამუდამოდ „ჭეშმარიტნი“ და „დაფარულნი“, მამაცი მამულიშვილი და „მოქანქარენი“, ნიჭიერნი და უნიჭონი, თუმცა ეს ადვილი არ გახლავთ!

ივანიშვილის ხიფათს შეუქმნიან არა ოდენ ხელისუფალნი, არამედ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, მათი ვერშემდგარი ლიდერები, რომლებიც ვერ იქცნენ ბელადებად, არამედ იქნენ ანტიბელადებად და დააქციეს ერი. მათ ახლა სრულიად უპატრონო ცხვრის ფარა ურჩევნიათ და უწყობენ კიდევაც ხალხს ამ პროცესს მესიანიზმის სახელით და ჭკვიანი ლიდერის გამოჩენას ებრძვიან.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რუსეთზე საქართველოს მიყიდვის უფლება — მიშას! რუსულად სიმღერის უფლება — ბუბას!

„ცხვირი ჰგავს? — ჰგავს“ „ბუბას ჰგავს? — ჰგავს“ და თუ მეტყვით, ბუბას უფრო დიდ სკულპტურასაც გავაკეთებ“, — დააიმედეთ 14 ოქტომბერს თბილისში „მიმინოს“ გახსნაზე მოსული ავლაბრელები, ბატონო ზურაბ, მაგრამ ვიმეორებ — არც თქვენ და არც თქვენს ბუბას, სიტყვა რომ არ დაგისველებიათ იმ დიდ რუს მსახიობზე, შესანიშნავ ადამიანსა და ქართველების დიდ მეგობარზე აწ გარდაცვლილ — ევგენი ლეონოვზე, რომელიც მიზანდარსა და ხაჩიკიანს შორის არის ჩამდგარი თქვენს სკულპტურაში და რომელიც, გარდა ფილმ „მიმინოსი შესანიშნავ პარტნიორობას უწევდა თქვენს ბუბას, ელდარ შენგელაიას ასევე ბრწყინვალე ფილმში „არ დაიდარდო“! ლაპარაკი, უხერხული რატომ იყო? აღარაფერს ვამბობ ფილმს „აფონიაზე“, „ჯენტლმენი უდაჩი“ („იღბლიანი ჯენტლმენები“) და სხვა



უამრავ ფილმზე, სადაც ბატონმა ლეონოვმა ბრწყინვალედ ითამაშა. ანდა თუკი, სომხეთის ქალაქ დილიჟანიდან შეიძლებოდა მოგვეწვია სტუმრები თქვენი სკულპტურის გახსნაზე, რატომ არ შეიძლებოდა, თუნდაც ერთი სტუმარი ლეონოვის ქვეყნიდან, ანდა ოჯახიდანაც ყოფილიყო, ანუ რუსეთიდან, ამ „ღირსშესანიშნავ“ დღეს?

**ძალიან დიდი პროტესტი გამიჩნდა, ბატონო ზურაბ, ძალიან დიდი პროტესტი ამ ფაქტზე და რაღა დაგიმალოთ, არც ის მომეწონა — გია დანელიაზე ასე მწირი კომენტარი რომ გააკეთეთ და მთელი „სკულპტურული აქცენტი“ მხოლოდ ბუბა კიკაბიძეთი რომ შემოფარგლეთ!**

ჩვენ, რიგითმა ჟურნალისტებმა და უბრალო ადამიანებმა შესანიშნავად ვიცით, რომ ბატონი ბუბა ამ ხელისუფლების ფავორიტთა პირველ ხუთეულშია, მაგრამ ეს ფაქტი სრულებითაც ვერ ჩრდილავს ჭეშმარიტ გენიოსთა არსებობას საქართველოში, (ისევე როგორც რუსეთში) და ისიც მშვენივრად მოგვეხსენება, რომ დიდ ხელოვნებაში — მერკანტილიზმი, აბსოლუტურად გამორიცხავს გენიალურობას და თქვენ ჯერ კიდევ მაშინ დაადასტურეთ, როცა ე.წ. „წმინდა გიორგის“ მონუმენტური ქანდაკება თბილისის მერ გიგი უგულავას და ნაც. მოძრაობის „ბორტზე გამარჯვების“ სიმბოლოდ ასე ჰომპეზურად რომ გადაეცით გასულ წლებში!

ვინც არ იცის, მავანთა საყურადღებოდ იმაზეც ღირს ყურადღების გამახვილება, რომ თქვენი, როგორც მხატვრის, როგორც სკულპტორის და თქვენი, როგორც მსოფლიო ადამიანის რანგში აყვანას, რუსეთის ყოფილი და დღევანდელი მაღალჩინოსნები დიდი მონდომებით რომ უწყობდნენ ხელს და თუკი ამის გამო (ანუ რუსული ვალის გამო) ბევრი ქართველი ზომაზე მეტად დაზარალდა,

**რა ხდება თქვენს შემთხვევაში, ბატონო ზურაბ, იქნებ გვამცნოთ და ბარემ იქვე დაგვიკონკრეტოთ — თქვენს მიმართ „ნაც.ხელისუფლება“ ასეთი კეთილგანწყობილი რატომ არის? ან თქვენ, როგორც პატრიოტი ქართველი (თქვენს თავს ხშირად ასე იხსენიებთ) ქართველების ღირსების, ქართველების დამცრობის, ქართველების პატივის ამყრელ ხელისუფლებასთან, რატომ თანამშრომლობთ?**

განა არ იცით, რომ სწორედ „ნაც. მოძრაობა“ ამტუტებს ნებისმიერ მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობას და შემდეგ ამ ურთიერთობებს ველარც თქვენი ძეგლებით, ველარც მონუმენტური ქანდაკებით და ველარც ფერწერული ტილოების შექმნით ველარ ვშველით?

ვიმეორებ, კარგია, ბატონო ზურიკო, კარგია ავლაბარში დადგმული, რუბიკაც, ვალიკოც, „პაკრიშკებიც“, ჰაერში დაკიდებული გია დანელიაც, მაგრამ თქვენ, ამ დაძაბულ რუსულ-ქართული ურთიერთობების პერიოდში — ევგენი ლეონოვის შესახებ თუნდაც ერთი კეთილი ფრაზა არ უნდა გეთქვათ? როგორ ფიქრობთ, რუსული სატელევიზიო არხები, ანდა რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი თქვენი მხრიდან და კიკაბიძის მიერ იგნორირებულ რუსი მსახიობისადმი ამგვარ დამოკიდებულებას მიგოწონებენ და არ შეგახსენებენ, რომ ფილმი „მიმინო“ უპირველესად, „მოსფილმის“ ბიუჯეტით გადაიღო დანელიამ და ფილმის გმირი ვალიკო მიზანდარი, იგივე „მიმინო“ კი „დიდ ავიაციაში“, სწორედ რუსმა „ტუ“ სამი ვოლოხოვმა“ თავისი ფეხით მიიყვანა და თავისი ავტორიტეტის მეშვეობით მიაღებინა სამსახურში?

თავი დავანებოთ იმას, რომ ზურაბ წერეთელს, ისევე როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილს, სატელევიზიო კამერების წინ მხედველობიდან გამორჩათ სკულპტურის მესამე პერსონაჟის ივან ვოლოხოვის არსებობა და როგორც ეროვნებით რუსზე არ სურდათ მასზე ლაპარაკი, მაგრამ თუკი საერთოდ მიუღებელია მათთვის რაიმე რუსული, მაშ თვითონ სკულპტურის შექმნისას რატომ არ იფიქრა ამაზე ან ავტორმა, ანდა დამკვეთმა ორგანომ — თბილისის მერიამ?

**ანდა, ახლა როცა უკვე დასრულდა და ავლაბარშიც დაიდგა ეს სკულპტურა, არ უნდა აგვიხსნან — თუკი ქართველთა და სომეხთა ძმობას მიეძღვნა ეს ყველაფერი — ეს რუსი „ძია ვანო“, საბჭოთა კავშირის გმირი ივანე სერგეევიჩ ვოლოხოვი — რა შუაშია?**

საქმე იმაშია, რომ ორმაგი სტანდარტების ქვეყანაში და ორმაგი სტანდარტების მოტრფიალე ადამიანების გარემოში გვიწევს ცხოვრება, ძვირფასო მკითხველებო. ის რაც კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის, ძალიან ხშირ შემთხვევაში ბატონი ზურასთვის, ბატონი ბუბასთვის და თვით ქალბატონი ნანი ბრეგვაძისთვის ჩვეულებრივი ნორმაა, ანუ „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ“ — ცხოვრების წესად აქვთ გამხდარი და უკაცრავად, სულ ფეხებზეც ჰკიდიათ — გუშინ რა აზრზე იყვნენ და დღეს კიდევ რა აზრზე დგანან.

მახსენდება ბუბა კიკაბიძის სიტყვები: მორჩა, რუსეთთან არაფერი მესამქება, აღარასოდეს ჩავალ იქ და მითუმეტეს კონცერტებს არ გავმართავო“, იგივეს ამბობდა ნანი ბრეგვაძეც, მაგრამ სულ მოკლე დროშიც ერთიც და მეორეც, ერთმანეთის მიყოლებით მღეროდნენ რუსულ სიმღერებს და ისინი, მათ მფარველ მიშას არათუ გაუკიცხავს ამის გამო, არამედ პირიქით, ჯილდოს ჯილდოზე აძლევდა და მათ გარეშე არც ერთ „გრანდიოზულ“ ღონისძიებას არ მართავდა.

მეტიც, სწორედ 14 ოქტომბერს, მცხეთობა დღეს „მიმინოს“ სკულპტურის დღეების შემდეგ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში (დარბაზის ქირაობა 15 ათას ლარამდე ჯდება) ბუბა კიკაბიძის კონცერტი გაიმართა, სადაც ბატონმა „მიმინომ“ ქართული, სომხური და რუსული სიმღერები შეასრულა და სადაც, უამრავ სტუმართან ერთად მოწვეული ჰყავდა სომეხი და რუსი მეგობრები!

**რა თქმა უნდა, დარბაზში „ნაც. ბნელიტაც“ უხვად იყო წარმოდგენილი, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რატომ არ გააპროტესტეს „ნაცებმა“ ბუბას მიერ შესრულებული რუსული სიმღერები, და რატომ არ დატოვეს პროტესტის ნიშნად დარბაზი, თუკი ყველაფერი რუსული, მიუღებელია მათთვის და მათი ხელისუფლებისათვის?**

მაშ, რატომ უკრძალავენ რესტორნებში რიგით მოქალაქეებს, იგივე რუსული სიმღერების მოსმენას და თუკი ვინმე გაბედავს და მაინც დაუკრავს ოკუპანტის მელოდიას ჯარიმების გადახდას, რატომ აიძულებენ რესტორნების მფლობელებს? ბუბასთვის თუ შეიძლება, ხალხისთვის რატომ არ შეიძლება?

ნურავინ მიწყენს, მაგრამ ჩვენთან „ნაფტალინწაყრილი“ მომღერლები ბუბა და ნანი, სწორედ რუსეთის ხელისუფლების წყალობით შემოტრიალდნენ სცენაზე და რომ არა იური ლუჟკოვი, ევგენი პრიმაკოვი და მთელი რუსული პოლიტიკური ელიტა, ისინი დღეს არათუ დიდ კონცერტებს, არამედ პატარა დარბაზებსაც ვერ შეავსებდნენ ხმაში შეპარული „პეტუშოკებისა“ და სომხურ-აზებაიჯანულ ჰანგებზე აწყობილი საკონცერტო ნომრების წყალობით! ბუბას და ნანის გარდა საცხოვრებელი ბინებისა, „პატარ-პატარა“ ბიზნესის საშუალებაც მისცეს რუსებმა და სიტყვა, ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, იმის საშუალებაც მისცეს, მუდმივად „ცვეტში“ რომ ყოფილიყვნენ და ამ „ცვეტში“ ყოფნას მარტო სიმღერა, ისიც „ველარ ნამღერი“ სიმღერა, რომ არ შველის მხოლოდ — ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

საგულისხმოა ისიც, რომ ვლადიმერ პუტინის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების შემდეგ ზუსტად 2 დღეში მოსკოვიდან ბათუმში რუსული ტურისტული სააგენტოების წარმომადგენელთა 40- კაციანი დელეგაცია გვეწვია და, აჭარის მთავრობა და ქ. ბათუმის მერიის მესვეურები თავდაყირა დადგნენ სიხარულით — არიქა, რუსეთიდანაც გვეყოლება ტურისტები, აწი, რაღა გვიჭირსო! აღარაფერს ვამბობ დავიწყებულ სიტყვა „ოკუპაციაზე“, რომელიც რუს სტუმრებთან არც ერთხელ არ უხსენებიათ და სადღეგრძელოებში სულ იმას გაიძახოდნენ „ზა ნაშუ



დრუჟბუ ი ზა ნაშუ დალნეიშეგო პროცვეტანია, დავაიტე ვ მესტე ვიპიმ“-ო.

ანუ ტელეკამერების წინ სხვას ლაპარაკობენ ეს ჩვენი დამაქცევლები და დახურულ სივრცეში, პრემიის ყურადღების მიღმა კიდევ-მეგობრობაზე და ერთობლივად აყვავების სადღეგრძელოს დიდი ყანწით ხელში სვამენ ამგვარი ორმაგი სტანდარტებით და ბინძური პოლიტიკის წყალობით კი ჯერ იყო და, ქართველთა დაწიოკების, ე.წ. „დავკის“ სპეცოპერაციები განახორციელებინეს

**რუსულ ტრანსნაციონალურ ჯგუფების — „სკინხედების“ შემდეგ „სკოტოვოზი“ თვითმფრინავებით თბილისის აეროპორტში საქონელივით ჩამოგვიყარეს რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, შემდეგ კუბო-კუბოზე გვიგზავნეს „გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი ქართველების ცხედრები, შემდეგ აგვისტოს ომი „მოგვართვეს ლანგრით“ და მთელ ამ ამაზრზენ „კუკუ-დამალობანას“ რა უბედურებით დაასრულებენ ქართველი და რუსი ხელისუფალნი, არავინ ვიცით.**

არავისთვის არ არის დამალული ის, რომ სწორედ „ოკუპანტებს“ ჩაუგდო ხელში „ნაცბრიგადამ“ საქართველოს მდიდარი წიაღისეულით სავსე მიწები, სტრატეგიული დანიშნულების მრავალი ობიექტი და რაც ყველაზე მთავარია, ამ „კეპი-პრადოს“ წყალობით, ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ დააყენა ქვეყნის სუვერენიტეტის, ანუ ქვეყნის დამოუკიდებლობის სამომავლო პერსპექტივა. ახლა ამ ყველაფრის შემდეგ განა უპრიანი არ იქნებოდა, იგივე ფილმ „მიმინოდან“ ფრთოსანი ფრაზა „ხაიტარაკუმენ რესპუბლიკა“ — თქვენ არცხვენთ ჩვენს რესპუბლიკასო, გვეთქვა?

**დღეს სააკაშვილიც, ბაქრაძეც, მერაბიშვილიც და სხვა „წვრილ-წვრილი“ ნაცებიც, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენაზე უკვე ხმამაღლა საუბრობენ და რისი მოერიდა ბატონ ზურაბ წერეთელს, ანდა ბუბა კიკაბიძეს, როცა რუსი მსახიობის ევგენი ლეონოვის გვარ-სახელის ხმამაღლა თქმას მოერიდნენ**

— გასაოცარია პირდაპირ, გასაოცარი კი არადა — სირცხვილია, ბატონებო, სირცხვილი და ჩვენ ისიც ხმამაღლა უნდა გითხრათ რა დაგიჯდათ თქვენ იგივე რუსეთთან პირადი დაახლოება და დღესაც რა ურთირთობებს ინარჩუნებთ იმ ხალხთან ვინც უბრალო ხალხის გამწარებით, თავისი ბინძური პოლიტიკა აწარმოა ჩვენშიც და რუსეთშიც! ავლაბარში დადგმული. „მიმინოს“ სკულპტურა კი უკვე გახდა ახალი დაპირისპირების მიზეზი... გახსნიდან რამდენიმე საათში, ახალგაზრდა გოგონების ჯგუფი პლაკატებითა და შეძახილებით მიეჭრნენ „მიმინოს“, „რუბიკას“ „დიდია ვანოს“, გია დანელიას და ერთხმად შეუძახეს: „თქვენ საბჭოთა ეპოქის გმირები ხართ და თქვენი ადგილი, დემოკრატიული ქვეყნის დედაქალაქში არ არისო!“ როგორც ეტყობა „ძეგლებთან ომი კვლავაც აქტუალურია ნაც. ხელისუფლებისთვის და ნურავინ დამიწყებს მტკიცებას, „გოგონათა მრისხანება“ ნაცების ორგანიზებით არ მომხდარა 14 ოქტომბერსო! რატომ? რატომ და იმიტომ, რომ „მიმინოს“ სკულპტურა ჩანაფიქრშივე, საბჭოურ მშვიდ მოგონებებს აღძრავს მნახველებში და ყოველგვარ საბჭოურთან „მებრძოლმა“ ნაც. სააკაშვილებმა ეს ყველაზე კარგად უწყიან! ანუ, თან „ებრძვიან“ საბჭოეთის მოგონებებს და თანაც ხელს უწყობენ საბჭოური მოგონებების გაღვივებას, თუნდაც ამ „უმნიშვნელო“ პატარა სკულპტურის თბილისში დადგმით. ის გოგონები კი „ნაცების“ გაგზავნილები რომ იყვნენ, იქიდან იკვეთება, რომ მათი ქმედება არც პატრულს და არც ნაც. მოძრაობას არ აღუკვეთავს, გასაგებია?

ასე რომ, ყველაფერი ნათელია, ძვირფასო მკითხველო! წინ დიადი ნაბიჯებით დასალაშქრი — საბჭოეთი გველოდება და რამდენიც არ უნდა გვიკიჟინონ ნაცებმა „ნატოში“ შევდივართო, სინამდვილეში „ტაკოში“ მიგვერეკებიან და ეს დღითიდღე უფრო აშკარა ხდება...

**ირინე გოგოსაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# საკათედრო ტაძრის აღმშენებელი, ქტიტორი ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის და ეს გაურკვეველი ეროვნების ნაძირლები არიან საქართველოს მოქალაქეები?!

ბიძინა ივანიშვილი სამშობლოს სიყვარულმა აიძულა გამოსულიყო პოლიტიკურ არენაზე, მან ასევე უნდა შემოიკრიბოს გარშემო სამშობლოს სიყვარულით ანთებული გულიანი კაცები.

ქართველ საზოგადოებას არაფერი გამოეპარება; მუდმივად ვიღაცის ფრთის ქვეშ ნამყოფი ადამიანები საერთო საქმეს გადამწყვეტ მომენტში არაფრით გამოადგება; ასეთები ბუმბულის სითბოს არიან დაჩვეულნი და მათთვის მნიშვნელობა არა არ აქვს, ეს ფრთა არწივის იქნება თუ ყვავის...

დღევანდელი ხელისუფლება განსაკუთრებით ვერაგი ხდება მაშინ, როგორც კი არენაზე საშიში მოწინააღმდეგე გამოუჩნდება, იგი ყველაფერზე წამსვლელია და ჩასაფრებული ელოდება სასურველ მომენტს, ინტრიგებს ხლართავს, მეტოქის დამარტოხელებას ცდილობს, მის გვერდში მყოფთ აშინებს და მერე გიენას მსუნაგობით დააცხრება თავს.

ყველას გვახსოვს აწ განსვენებული პატარკაციშვილი, რომლის გარშემოც თავდაპირველად ბუზებივით ირეოდა ვითომდა ქვეყნის სიყვარულით გულანთებული პოლიტიკოსები, ბოლოს როგორ დარჩა მარტო და მის შესაძლებლობებსა და ფულზე დახარბებული ოპოზიციის დიდმა ნაწილმა როგორ გასწირა და სასიკვდილოდ გაიმეტა; საერთო საქვეყნო საქმეც გაფუჭდა და ხალხში გაჩენილი იმედიც ჩაქრა!..

ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი კაპიტალი, ფული, გამბედაობაცა და ხალხში მოპოვებული სიყვარულიც სასწორზე დადო, მისთვის პოლიტიკა მხოლოდ ქვეყნის კეთილდღეობაა და მან ყველა გზა ჩაიხერგა უკან, როგორც დიდგორის ბრძოლის წინ ქართველთა მეფემ და მისმა თანამებრძოლებმა; და ამჯერად ივანიშვილმა სწორედ ისეთ ქართველებს უნდა მოუხმოს, რომლებიც მასთან ერთად უკან დასახევ გზებს ჩაიხერგავენ და გამარჯვებისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ... საბოლოო მიზნის მიღწევა მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი... თორემ რა ხეირიც დაგვაყარა ორმაგი სტანდარტებით მოთამაშე ვაიპოლიტიკოსებმა და თანამებრძოლებმა, ეს პატარკაციშვილის მაგალითმაც კარგად გვიჩვენა.

ორმაგი სტანდარტი შემთხვევით არ მიხსენებია, როცა თავის გადარჩენაზეც ფიქრობ და თავგანწირულ ბრძოლაშიც ჩაბმაზეც, როცა მთავარსარდალს თვალებში შესციცინებ და პასუხისმგებლობას ბოლომდე არ იღებ, გამარჯვების შემთხვევაში გამორჩენასა და დაწინაურებას ელოდები, მარცხის შემთხვევაში კი ბრძოლის ველიდან მოკურცხლავ და შენს წინამძღოლს მტერს საჯიჯგნად შეატოვებ, სწორედ ამას ჰქვია ორმაგი სტანდარტი!..

ივანიშვილის თანამზრახველი პარტიებისგან თუ შერჩეული ადამიანებისგან საჯარო გამოსვლებში უკვე გამოიკვეთა ორმაგი სტანდარტების კონტურები: ივანიშვილმა განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობით მოვალო და, ალბათ, ასე იქნება... ჩვენ განსხვავებული აზრი გვაქვს მის მიერ ნახსენებ ტელევიზიებთან დაკავშირებითო, ბრძანებენ ამ ტელევიზიების მოწყალებითა და საეთერო დროის დათმობით კმაყოფილი ბატონები და, აი, სწორედ ეგ არის ორმაგი სტანდარტით თამაში და ცუდად დაბოლოების შემთხვევაში თავის გადარჩენის წინასწარი გარანტიის მიღების მცდელობა.

**აგერ, როგორ დატინგიცებს ბატონი ივანიშვილის შეთავაზებით აღტყინებული „მაესტროს“ ჟურნალისტი, რამიშვილი და საზოგადოებისა თუ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად პავლე კუბლაშვილსაც ეკითხება, კაცმა შემომთავაზა და „დარდუბალა“ თუ გავაკეთოო... აი, ეგ არის ორმაგი სტანდარტი... ჯერ ერთი, რა დროს „დარდუბალაა“ და ვის რაში სჭირდება გაცვეთილი სიუჟეტები, მაგრამ ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული: ივანიშვილის წარუმატებლობის შემთხვევაში რამიშვილს სათქმელი ჰქონდეს, ყველას შეგეკითხეთ და თქვენი თანხმობის შემდეგ განვახორციელე „დარდუბალას“ პროექტიო.**

მე, პირადად, ბატონი ივანიშვილის ადგილას რამიშვილს და მისნაირებს ახლოს არ გავიკარებდი, მაგრამ, ვაი, რომ, საქართველოში თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ შენნაირებზე უკეთესნი!..

ჩემო კარგებო, ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა, დიდგორის გადამწყვეტი ბრძოლის ტოლფასია და მარცხის შემთხვევაში მთელი საქართველო იღუპება... უკან დასახევი გზები ჩახერგილია და თუკი არ შეგწევთ ვაჟკაცობა წინამძღოლთან ერთად იბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ბედაურებს ტყუილუბრალოდ ნუ აჯირითებთ და ნუ ქანცავთ!...

ქართველ ხალხს არაფერი გამოეპარება და ფრთხილად იყავით!..

თუ კატასტროფული საფრთხე ემუქრება ხელისუფლებას, რომელიც ასეთ დროს სასწაულებრივად სატანისებურ ძალას იძენს, ასეთივე კატასტროფული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ბიძინა ივანიშვილის თავდადებაც, თუკი ქართველი ხალხი ვიდედლებთ და უკან დასახევ გზებს არ ჩავხერგავთ, მაგრამ ამ ბრძოლაში თავად წინამძღოლმა უნდა ჩაგვაბას და არ უნდა შემოიკრიბოს ცრუ მოჩურჩულენი, თორემ ხალხისგან მოწყვეტილს დაიმარტოხელებენ და სავალალო დღეში ჩააგდებენ...



**მართლმადიდებლური კანონიკით, ტაძრის აღმშენებელს ქტიტორი ეწოდება და, როგორც შემწირველი, ტაძრის კედელზე მისი ფრესკა იხატება... მე ქართველი საზოგადოების წინაშე ვსვამ შეკითხვას: სამების საკათედრო ტაძრის აღმშენებელი, ქტიტორი ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის და ეს გაურკვეველი ეროვნების ნაძირლები არიან საქართველოს მოქალაქეები?! ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს და ქართველთათვის შეურაცხმყოფელი განაზრახი ხელისუფლებას არ აპატიოს... სამების ტაძრის შემოგარენი ქართველი ხალხით უნდა გადაიჭედოს, ყველა საელჩოსა და მსოფლიო პოლიტიკურ საზოგადოებას უნდა შევატყობინოთ და საქართველოს პატრიარქთან ერთად სააკაშვილი ვაიძულოთ, რომ ბიძინა ივანიშვილს მიეცეს უფლება ქართულ პოლიტიკაში განახორციელოს დემოკრატიული ნოვაციები...**

სხვაგვარად ნაცმოძრაობის ეშმაკები საბოლოოდ დაგვეპატრონებიან!..

**მერაბ შათირიშვილი**
მწერალი, პუბლიცისტი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# wiTel wignSi Setanil cxovelebze nadirobis daSveba mTavrobis unikaluri sigiJea, romelsac saerTaSoriso skandali mohyveba!

*ვესაუბრებით საქართველოს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერს, ბატონ **ГИА ГАЧЕЧИЛАДЗЕ**.*

**— ბატონო გია, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ჰიბრიდული სიმინდის გეგმა, ფაქტობრივად, ნაწილობრივ განხორციელდა, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონებში (გურია, სამეგრელო) ის არ მოვიდა, ამ საქმისათვის კი სახელმწიფომ დიდი ხარჯი გაიღო, კერძოდ 3 ათას 500 ტონა ჰიბრიდული სიმინდის თესლის ნაცვლად წინასწარ შეიძინეს 22 ათასი ტონა, ხომ არ მოხდა ეს მიზანმიმართულად, ან რა აზრი იყო ამ ყველაფერში ჩადებული, უცოდინარობა თუ სხვა რამ?**

— ამ ხელისუფლებამ სათავეში მოსვლისთანავე დაგეგმა სოფლის მეურნეობის ხელოვნური განადგურების გეგმა. კერძოდ, აი, რას ისახავს მიზნად ეს ყოველივე. მათ სურთ, რომ გლეხობა გაღარიბდეს, გაღატაკდეს და მიწები ჩააბარონ ან გაყიდონ კაპიკებად. ეს ფაქტობრივად, მიწების გამოთავისუფლების გეგმაა, რომელსაც მერე ნაციონალები გაყიდიან უცხოელებზე სარფიანად. შემდეგ კი იტყვიან: ინვესტიციები შემოვიდაო.

თუ ოფიციალურ სტატისტიკას მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ საქართველოში მიწების დამუშავებისა და ათვისების რაოდენობა, ისევე როგორც პროდუქციის მოყვანისა, საკმაოდ შემცირდა.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ნარკომანი ზის წამალზე, ისე გადაიყვანეს მთელი საქართველო იმპორტული სასურსათო პროდუქციის ყიდვაზე. შარშანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მოხმარებულის სასურსათო პროდუქციის 80 პროცენტი მოდის იმპორტზე. ჰიბრიდული სიმინდის შემოტანაც ამასთან იყო დაკავშირებული. არის ეჭვი იმისა, რომ ბევრ ფერმერსა თუ გლეხს, რომელთაც დიდ ფართობზე დაათესინეს ეს ჰიბრიდული სათესლე სიმინდი, კრედიტი მისცეს იმიტომ, რომ მიწა ჩაადებინეს სამაგიეროდ. თუ ვინმეს დიდ ფართობზე ის არ მოუვიდა, ფაქტობრივად, მან მიწა დაკარგა. ასე რომ, ეს ყველაფერი მიზანმიმართული სქემის ერთი მცირედი ნაწილი იყო მხოლოდ. ჩვენი მოძიების საფუძველზე შემიძლია გითხრათ, რომ უკრაინაში ზოგიერთმა ბიზნესმენმა „პიონერის“ ჯიშის სიმინდის თესლი გასაყიდად შეიტანა ქვეყანაში, მაგრამ ის იქ ღირდა იმის ნახევარი, ვიდრე ჩვენთან გაყიდეს.

მართალია ისიც, რომ დღეს გლეხები მიდიან გამგეობებში და ჩივიან, რომ ისინი ვერ გადაიხდიან თესლის ფასს, რომელიც წლის ბოლოს უნდა დაფარონ, მაგრამ პასუხი არ ჩანს. მთავრობამ მიზანს მიაღწია, გლეხები მშიერი დატოვა და ისინი მიწის გაყიდვის ეტაპზე გადაიყვანა, ეს არის მთავარი. რომ ნახოთ წინა წლების ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში, მიხვდებით, რომ სიმინდი დღემდე იყო ჩვენთან ის პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებდა მთელ რესპუბლიკას და მისი შემოტანა უცხოეთიდან არ გვჭირდებოდა.

**— აბა, რა საჭირო იყო ამის შემოტანა ქვეყანაში?**

— ეს მოხდა მიზანმიმართულად, ჩაიხედეს სტატისტიკურ მონაცემებში და ნახეს, რომ სოფლის მეურნეობის ეს მიმართულება იყო კარგად, მისი მოსავალი გვქონდა და ამიტომ ის იყო დასანგრევი და დაანგრიეს კიდეც. არ ერჩივნათ იმ



გლეხებს ქართული სიმინდი რომ დაეთესათ იმ ფართობებზე, რომლიდანაც ვერანაირი მოსავალი ვერ მიიღეს, მითუმეტეს, ეს ხომ საფურაჟე პროდუქტი იყო და არა საკვები?! გამოუვიდათ? გაყიდეს რამე? მიწა მოაცდინეს და მეტი არაფერი. არ არის ეს აგრარული მიწების გამონთავისუფლების საქმე?

სხვათაშორის, ბურების ჩამოსახლების გეგმაც გარკვეულწილად იმას ითვალისწინებდა, რომ ამ გამონთავისუფლებულ მიწებზე შემდგომში ისინი დაესახლებინათ. თუმცა, ღმერთის მადლით, მათ უარი თქვეს ჯერჯერობით აქ ჩამოსვლაზე.

**— ახალი ინფორმაციით, მომავალი წლისთვის აპირებენ უკვე ჰიბრიდული მზესუმზირისა და სოიოს თესლის შემოტანას. ეს საკითხი ალბათ, კვლავ მღელვარებას გამოიწვევს. იმიტომ, რომ ცნობილია, რომ სოიო არის გენმოდიფცირებული მთელ მსოფლიოში და ჩვენ ეკოლოგიურად სუფთა თესლს არავინ მოგვყიდის...**

— სწორი ბრძანდებით, სოიოს უდიდესი წილი მსოფლიო ბაზარზე გენმოდიფიცირებულია, ამიტომ ის საკმაოდ საშიშ პროდუქტს წარმოადგენს. თავად „პიონერი“ შედის კორპორაცია „სიცოცხლის ინდუსტრიის“ შემადგენლობაში. მას აქვს ისეთი კომპანიები, როგორც არის „მონსანტო“, „დიუპონი“ და სხვა კომპანიები, რომელთაც 2 ტრილიონი დოლარის თანხის ბრუნვა აქვთ წელიწადში. ეს არის სახელმწიფო

სახელმწიფოში, ანუ არიან მსოფლიო მონოპოლისტები აგრარულ ბაზარზე, ასევე მონოპოლისტები არიან გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით. მათი ძირითადი კონკურენტი მსოფლიო ბაზარზე არის მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა აბორიგენული ჯიშის პროდუქტები. ამიტომ ეს ბრძოლა ამ ორ მხარეს შორის დიდი ხანია დაწყებულია. მე შეგახსენებთ 1996 წელს, როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქვეყანაში შემოიტანა „მონსანტოს“ ფირმის გენმოდიფიცირებული კარტოფილი. შემომტანის მიზანი იყო ამ პროდუქციის დათესვა სამცხე-ჯავახეთში, ანუ იქ, სადაც ამ პროდუქტის საუკეთესო და უნიკალური ჯიშები არსებობს. საბედნიეროდ, „მწვანეთა პარტიამ“ მაშინ დიდი ხმაური ატეხა ამ საკითხზე და ამ საქმეს მაშინ მოვერიეთ ისე, რომ კორპორაცია „მონსანტოს“ კარტოფილის თესლი უკან გავატანინეთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც თუნდაც ჰიბრიდული „პიონერის“ სიმინდს თესავენ და გვერდით ფართობზე ქართული უნიკალური სიმინდია დათესილი და მოყვანილი, დამტვერვის საშუალებით ისიც ბინძურდება ანუ გადაჯიშდება. ასე რომ, წელს ბევრ მათგანს ეკოლოგიურად სუფთა სიმინდი აღარ ექნება.

სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკური სიტუაცია ისეთია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემოტანას სახელისუფლო ბერკეტებით ვეღარ ვებრძვით.

რაც შეეხება სოიოს, ამერიკული ჯიშის ეს პროდუქტი 90 პროცენტი მსოფლიო ბაზარზე გენმოდიფიცირებულია. ასე რომ, თუ ამ ჯიშს საქართველოში დათესავენ, საბოლოოდ დაღუპავენ ჩვენს ისედაც დაღუპულ სოფლის მეურნეობას და აგრარულ სექტორს.




ეს არის მავნებლობა ქვეყნის წინააღმდეგ. როგორ შეიძლება დაგვავიწყდეს, რომ ქვეყანაში არსებობს უნიკალური სელექციური ჯიშის ქართული სიმინდები, რომელიც ჰექტარზე 14 ტონამდე სიმინდის მოსავალს იძლევა. პიონერი კი იძლევა მაქსიმუმ 8 ტონას — აშშ ტერიტორიაზე. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული სიმინდი სიმაღლეში იზრდება 2 მეტრამდე, ხოლო „პიონერის“ ჯიში ბევრად ჩამორჩება, მაშ, რას ვლებულობთ? სიმინდის ეს მწვანე ნაწილი ხომ ცხოველთა საკვებად არის გამოსაყენებელი, მაშ, რად გვინდა უცხოური, როცა ჩვენი მას სჯობს? ჩვენი სიმინდი საუკეთესოა ყველა ნიშნის მიხედვით. თუ ასე გაგრძელდება, ჩვენი უნიკალური აგროტექნოლოგიები მთლიანად მოისპობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბიძინა ივანიშვილის მიმართვის ბოლო ნაწილში სოფლის მეურნეობის განვითარების შესანიშნავი გეგმაა წარმოდგენილი, რომელიც ეხება ქართული აბორიგენული ჯიშების განვითარება-აღორძინებას. ეს პატრიოტული და ეროვნული საქმეა.

**— პრინციპში, ბევრი ქართული უნიკალური ჯიში ხომ გადაშენების პირას არის მისული?**

— გეთანხმებით, მაგრამ გლობალურად მოაზროვნე მეცნიერები ხომ მიხვდნენ ამას? ჩრდილოეთ არქტიკაში მდებარეობს „ნოეს კიდობანი“, სადაც სპეციალურ ტემპერატურაზე, საცავებში ინახავენ მათი ათასობით უნიკალური ჯიშის მცენარეთა თესლებს. აქ უკვე რამოდენიმე მილიონამდე მცენარის თესლი აქვთ შენახული და იცით, ვინ ინახავს და აფინანსებს ამათ შენახვას შორეული მომავლისთვის? ისევ ის კორპორაციები, რომელნიც გენური ინჟინერიის გზით გენმოდიფიცირებულ პროდუქტს აწვდიან მსოფლიოს. ისინი პრაქტიკოსები არიან და ითვალისწინებენ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ თუ მეცნიერები დაადგენენ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი ჯანმრთელობას აზიანებს, ისინი იმ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებენ, რომელიც წინასწარ გადანახული აქვთ და კვლავ ეს ბიზნესი იქნება მათი მთავარი მოგების წყარო.

სამწუხაროდ, ჩვენში წინასწარ ამას არავინ ფიქრობს, იმიტომაც გადაშენდა ბევრი მათგანი ისე, რომ ვერც გავიგეთ, ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტები რომ აღარ გვეყოლება, ვინ გაარჩევს კარგს და ცუდს?

ჩვენი უნიკალური ჯიშები არის ის ბაზისი, რომელზედაც შეიძლება აეწყოს ქვეყნის მთელი აგრარული სექტორი.

**— ბოლო წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გახშირდა მეწყერები, ბევრი ახლადგაკეთებული გზა თუ ხიდი ამის გამო დაინგრა, ნუთუ არ შეიძლება ხე-ტყის ჭრა ისე დაიგეგმოს, რომ ქვეყანას ასეთი ეკოლოგიური კატასტროფები მაინც ავაცილოთ, რომელიც ადამიანის უგუნური ქცევით არის გამოწვეული?**

— მთელი სერიოზულობით შემიძლია განვაცხადო, რომ მიზანმიმართულად ხდება ეკოლოგიური სისტემის ნგრევა. რაც ამ ხელისუფლებამ გარემოს დაცვის სამინისტროს გაუკეთა, ასეთი რამ არსად არ მომხდარა. დღეს ამ სამინისტროს არანაირი ფუნქცია არა აქვს. არის მხოლოდ შენობა. საქართველო არის მთიანი ქვეყანა, სადაც ტერიტორიის ორი მესამედი მთიანი რეგიონია და არის უნიკალური თავისი კლიმატური ზონებით ამიტომ ასეთ ქვეყანაში, სადაც 26 ათასი მდინარეა, ეკოლოგიის საკითხი მუდამ დღეს წესრიგში უნდა იყოს, რადგანაც ეს ყოველივე საფრთხის შემცველიც გახლავთ. ნუ დაგავიწყდებათ რომ 1991 წლის მერე დღემდე ჩვენს ქვეყნაში 50 000 ადამიანია ეკოლტოლვილი, დღემდე რომელთაც მეწყერის ან წყალდიდობის გამო მიატოვეს მუდმივი საცხოვრებლი და სხვაგან გადასახლდნენ. არც დღეს არ ვართ დაზღვეული ღვარცოფებისა თუ მდინარეთა ადიდებისაგან. ჩვენი ტერიტორიის 40 პროცენტი უკავია ტყეებს, რომელნიც გარკვეულწილად, აჩერებენ მეწყრებს. დღეს ამ ტყეებმა ფუნქცია დაკარგეს, მიადგნენ და ჩეხავენ უმოწყალოდ ისე, რომ შედეგს არავინ არ ითვალისწინებს. ეს არის ბარბაროსობა, რომელიც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. გავოცდი, როცა პრემიერ-მინისტრი გილაური გამოვიდა და ბედნიერი სახით თქვა — ჩვენი ტყეების მილიონ 800 ჰექტარი გასხვისებული გვაქვსო. სულ არის 2 მილიონ 700 ათასი ტყე, თუ ამას გამოვაკლებთ გაყიდულს, ანუ მილიონ 800 ათასს, ჩვენ რაღა გვრჩება? ამას თუ გამოვაკლებთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტყეებს, გმოდის, რომ ესე იგი 80 პროცენტი ტყეებისა გაყიდულია!!! ვინც ეს ტყეები იყიდა, ისინი არიან უცხოელები, რომელთაც ჩვენი სამშობლო არ ადარდებთ. თანაც პოლიტიკური სიტუაცია ისეთია, რომ სურთ მოასწრონ და გაყიდონ ყველაფერი, ესენი იფიქრებენ იმაზე, რომ ტყე არ გაჩეხონ და მეწყერი არ ჩამოწვეს? რა თქმა უნდა, არა.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ ჩეხავენ წითელ წიგნში შეტანილ უნიკალურ ჯიშებს, იმერულ მუხასა და წაბლს, ხალხი გვირეკავს, შეშფოთებულნი არიან, მაგრამ ვერაფრით ვშველით.

ერთ უნიკალურ სიგიჟესაც გეტყვით, რომელიც მხოლოდ ნაციონალებს შეიძლება მოსვლოდათ აზრად. ყველას სმენია წითელი წიგნისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ვიცით, რომ იქ თავმოყრილია გადაშენების გზაზე მყოფი ფლორა-ფაუნის სია, რომელიც ყველა ქვყანაში ხელშეუხებელია და მისი განადგურება დასჯადი.

ჩვენთან ახლა განიხილება კანონი, რომ წითელ წიგნში შეტანილ ცხოველებზე ნადირობა საქართველოში დაშვებული გახდეს! იცით ეს რა სიგიჟეა, ფსიქიატრულ საავადმყოფოში მყოფ ორ გიჟს თუ მოუვა თავში აზრად, რომ საქართველოში ერთი ან ორი უნიკალური ცხოველი იყოს და ისიც მოკლან. ნუთუ ხელისუფლება გონს არ უნდა მოეგოს? ამაზე ატყდება საერთაშორისო სკანდალი, რადანაც უამრავი კონვენცია დაირღვევა და მათ ამის კანონიერ უფლებას არავინ არ მისცემს. უნდა ახსოვდეთ, რომ ეს წითელი წიგნი უცხოელი საერთაშორისო სპეციალისტების მიერ არის შემუშავებული და ამას ისინი გააკონტროლებენ.

**ეთერ კასრელიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Wilyvavebi saqarTvelos Tavze da imedis sxivi gvirabis bolos

დაუჩემებიათ: მსოფლიო ისტორიაში ბევრი ერი და სახელმწიფო გადაშენებულა და პირწმინდად აღგვილა პირისაგან მიწისა, მაგრამ საქართველო გადარჩენილა და ფეხზე დგასო.

ისე იტყვიან, თითქოს ფონი ბოლომდე გავცურეთ, სამშვიდობო ნაპირზე გავედით და დაღრჩობას გადარჩენილებს ამიერიდან გადაშენების არავითარი საშიშროება აღარ გვემუქრება.

არადა, გვემუქრება, ბატონებო, გვემუქრება! ჩვენს თავზე გადაშენებისა და გადაგვარების საშიშროება დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენი არსებობის მანძილზე!.

რადგან ისტორიაში არც ფონი არსებობს და არც ისტორია მთავრდება მდინარის მეორე ნაპირზე. ვაი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, ისტორია საერთოდ არ მთავრდება.

გუშინწინ ბიჭვინთა, საინგილო, ლორე, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი დავკარგეთ!

გუშინ აფხაზეთი, შიდა ქართლი, დალის და ფრონეს ხეობები დავკარგეთ!

ხვალ, ვის დავუმალოთ, რომ ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის დაკარგვა გვემუქრება — ერთში გაქანებული გასომხება მიდის, მეორეში — გათათრება, მესამეში — გათურქება!.

ასე რომ, ქართველებო, რა მწარე გასაგონი არ უნდა იყოს, მაინც უნდა გითხრათ: ჩვენი გადაგვარებისა და გადაშენების საშიშროება, საუბედუროდ, ახლა უფრო მეტად არსებობს, ვიდრე ოდესმე! ასე რომ, ძვირფასო ნამდვილო ქართველებო, ისტორია ჯერ არ დამთავრებულა, მას საზღვარი არ გააჩნია და უსასრულობაში უსასრულოდ გრძელდება. გრძელდება ხმაურითა და ზათქით, შეჯახებებითა და ჭიდილით, სახელმწიფოებს შორის ფარული თუ აშკარა დაპირისპირებებით, ურთიერთდაუნდობლობით, ადამიანთა ხოცვითა და ჟლეტით, სტიქიური უბედურებებითა და კატაკლიზმებით.

და ამ გრძელი და უსამანო ისტორიის მანძილზე საქართველო და ქართველი ერი შაგრენის ტყავივით მცირდება და პატარავდება, აგერ, ჩვენს თვალწინ, ხშირად, ჩვენივე მონაწილეობითაც (რენეგატებს ვგულისხმობ).

ვიმეორებ, საშიშროებისა და უბედურებების დანახვა არავის უნდა, მით უმეტეს, ძალაუფლების ტკბობით გაბრუებულ სააკაშვილის ხელისუფლებას — თავი სირაქლემასავით ქვიშაში აქვს ჩაფლული და წამოწევა არა სურს, საკუთარი თვალით რომ არ დაინახოს ქვეყნის ყოველდღიური განადგურებისა და გადაშენების პროცესი.

ამბობენ, დავით აღმაშენებლის დროს საქართველო თორმეტ მილიონ მოსახლეობას ითვლიდაო. დღეს კი, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ოთხ მილიონს ძლივს აღწევს. აქედან, მილიონზე მეტი უცხოეთის ქვეყნებშია გადახვეწილი, ოჯახის გამოსაკვებად და სიცოცხლის გადასარჩენად. სამშობლოში დაბრუნების იმედი კი თვითონ გადახვეწილებსა და ნოსტალგიით დაავადებულებს არ შემორჩათ, მით უფრო, ამ უსამართლო ხელისუფლების ზეობის პირობებში.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული. ახლა საზღვარი აგერ, ახალგორთან, ზედ თბილისთან იზღუდება.

შორს რომ არ წავიდეთ, შეგახსენებთ ერთ მეტად სავალალო ფაქტს: ოთხმოცდაათი წლის წინათ, ბოლშევიკების უგვანი ხელისუფლების შემოსვლამდე, საქართველოს ტერიტორია ასოცი ათას კვადრატულ მეტრს ითვლიდა, დღეს კი "ნაციონალების" ხელში ორმოცდაათს ითვლის.

სულ რაღაც ერთ საუკუნეში (არც კი) მოხდა ეს.

ძველად დაკარგულ მიწებს გუშინ არ მივამატეთ კიდევ ოცი პროცენტი სააკაშვილის წყალობით წარმოებულ ცხინვალის უაზრო ომის შედეგად?

თუმცა ამ ომში "ბრწყინვალე გამარჯვებით" აღფრთოვანებულ-აღტყინებული ჭკუამოკლე "ნაციონალების" ჭკუამოკლე რუპორი ეკა ხერხეულიძე სიხარულით ჭკუაზე არ იყო: საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან ასე ახლოს, ამ ომის შედეგად რომ ვართ, სხვა



დროს არასოდეს ვყოფილვართო.

მას შემდეგ სამი გრძელი წელიწადი გავიდა, ეკუნია ძვირფასო, მაგრამ სად დაიკარგა ან ის ტერიტორიულ მთლიანობასთან სიახლოვე, ან 16 წლის გოგოშკური შენი იმჟამინდელი აღტყინება? რატომ ჩაგივარდა მუცელში ეგ ჭიკჭიკა ენა?

შენნაირად გადაირია მაშინ კობა ხაბაზიც (თითქოს გადარევა და სისულელე აკლდა ამ ყველის ვაჭარს): ამ ომში დამარცხებით იმას მივაღწიეთ, რომ მალე, ცხინვალს და აფხაზეთს კი არა, ბიჭვინთასაც დავიბრუნებთო!

სულო ცოდვილო, ამ „გენიოსი" ნაცინალების განცხადებები რომ წავიკითხე, ისიც კი ვინატრე: თუ ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენდით და ამასთან ერთად ბიჭვინთასაც შემოვუერთებდით დაშლილ-დაქუცმაცებულ და იავარქმნილ საქართველოს, ნეტა, უფრო ადრე დაგვეწყო და წაგვეგო ომი ცხინვალთან-მეთქი. მაგრამ, აგერ სამი წელიწადი გავიდა და, ჯერჯერობით დაკარგული მიწებისა და დაღუპული ახალგაზრდების, განადგურებული სამხედრო ბაზებისა და დაქცეული ინფრასტრუქტურის გარდა, არაფერი შეგვრჩა ხელში.

ღმერთმა ნუ ქნას და, რა გარანტია გვაქვს, რომ ამ დამთხვეულების ხელში ხვალ კიდევ ერთ მეხუთედს არ დავკარგავთ.

ხელისუფლება კი, იმის ნაცვლად, ანომალიებს ებრძოლოს და ქვეყნის გაძლიერებისა და განვითარებისათვის იღვაწოს, ტაშ-ფანდურით, საკონცერტო ფესტივალებითა და ფეიერვერკებით, ჩამოწერილი, დანაფტალინებული და გადაღრძუებული უცხოელი მომღერლების მოწვევითაა დაკავებული, რაშიც უთვალავი თანხა იფლანგება და წყალში იყრება. მოსახლეობა კი დაუსაქმებელი და მშიერი ჰყავს...

მაგრამ გული არ გაიტეხოთ, ქართველებო, და ვიყოთ იმის იმედით: მსოფლიო ისტორიაში უამრავი ერი გადაშენებულა და გაცამტვერებულა, საქართველო კი გადარჩენილა და გაძლიერებულაო. ჰოდა, აქამდე თუ არ გადავშენებულვართ, აწი რა გადაგვაშენებს, მით უმეტეს, ყრუ და ბრმა სააკაშვილისა და სულელივით მუდამ მომღიმარი დავით ბაქრაძის, მარადმწვანე ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანისა და ენაჩიფჩიფა გივია თარგამაძის, დავით საგანელიძესთან ჩუმად მიპარული ტუალეტში მოკრივე პეტრე ცისკარიშვილისა და დაცვის პოლიციის თანამშრომელთან არნახული შემართებით მებრძოლი დავით კირკიტაძის, პეტრე მამრაძესთან მოჩხუბარი ბობოქარი ბობოხიძისა და ცხონებული პატარკაციშვილის გულუხვი საჩუქრის მიმართ უმადური გიორგი ასანიძის, ენაჭარტალა ეკა ხერხეულიძისა და ყველის ვაჭარივით დაღრეჯილი კობა ხაბაზის ხელში — ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, ყოველდღიური ტაშ-ფანდურა, ცეკვა-თამაში და სიმღერაა გაჩაღებული ბათუმის ოცკილომეტრიან ბულვარში.

ვის სჭირდება ოცკილომეტრიანი ბულვარი ერთ პატარა, შიმშილით კუჭგამომხმარ ქალაქში?!

როგორ მოგწონთ მთელი საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის 150 მილიონი რომ გამოიყო, ხოლო მარტო ბათუმის ბულვარისათვის 130 მილიონი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასე ყაირათიანად ხარჯვას, დამერწმუნებით ალბათ, მსოფლიოში ანალოგი არა აქვს!

წაიკითხეთ ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი: რამდენიმე წლის წინათ ბატონმა ბიძინამ სააკაშვილს თურმე მილიარდი შესთავაზა (საკუთარი ფული), სოფლის მეურნეობა ავაღორძინოთო, მაგრამ სააკაშვილი თავისნაირ „გენიოსს" ბენდუქიძეს დაეკითხა, რა ვქნათო. „გენიოსი" ბენდუქიძემ არ ურჩია შემდეგი მოტივით, ეს ფაქტი კორუფციის გაძლიერებას შეუწყობს ხელსო.

სახელმწიფოებრივი აზროვნებაც ამას ჰქვია!

ერთი შეკითხვა მინდა დავსვა: პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი რა საკითხზე არ გინახავთ გამოსული (განსაკუთრებით მაშინ, როცა პრეზიდენტი ჰყავს დასაცავი ოპოზიციონერთა სამართლიანი კრიტიკისაგან), მაგრამ თუ გინახავთ ოდესმე იგი განათლებისა და მეცნიერების პრობლემურ საკითხზე გამოსულიყოს?

არადა, სხვა მრავალთან ერთად, ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა სწორედ განათლებისა და მეცნიერების სფეროშია!

ამ გზით ვერ ავშენდებით, ჩემო უბედურო ქართველებო! ამ გზით, მხოლოდ გადავშენდებით!

ვიყავით სიბნელეში და უიმედობა-უპერსპექტივობაში.!

ვართ სიბნელეში და უიმედობა-უპერსპექტივობაში!

და ამდენი ხნის მოუთმენელი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა ნათელი სხივი საქართველოს ღრუბლიან ცაზე, ბედკრული საქართველოს ჭეშმარიტი გულშემატკივარი, შეჭირვებულ და უიმედოდ დარჩენილ ქართველთა საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი ბიძინა ივანიშვილი და მიესივნენ ჭილ-ყვავებივით: საიდან იშოვა ამდენი რუსული ფული, საქართველოში რომ ჩამოაქვს და უსახსროდ დარჩენილ ცნობილ ქართველ მოღვაწეებს უანგაროდ ეხმარებაო, ნამდვილად რუსეთის პროექტიაო, პუტინის შემოგზავნილიაო, ქვეყნის დაქცევა უნდაო, რუსულ ფულს რა უნდა საქართველოშიო და ა.შ. და ა.შ.

ამ უბადრუკებს ჰგონიათ, ფული მარტო პარლამენტში უნდა იშოვონ პარლამენტარებმა, ხოლო უსაქმურმა და უნიათო მინისტრებმა ხაზინა ძარცვონ ვირთხებივით!

როგორ არ გაგიჩნდება კითხვა: ვის ჰგონია, რომ კახა ბენდუქიძემ და კობა ნაყოფიამ ფული საქართველოში იშოვეს და არა იმ საზიზღარ რუსეთში?

ზოგიერთები კი ფინიებივით აწკავწკავდნენ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკოსობა ვინ გაიგონაო.

მათი ჭკუით, ჩირქი რომ მოსცხონ, "ბიძინა" კი არა, "ბორისი" რქმევიაო, იჭაჭებიან ჭიაყელასავით., თითქოს სახელი "ბორისი" სამარცხვინო და დამამცირებელი იყოს.

როგორც „ბადრის" გამოუგონეს „არკადი", „ეროსის" — „ერასტი", თითქოს სამარცხვინო სახელი იყოს ან ერთი, ან მეორე... გაცვეთილი და სასაცილო ხერხი რომ არის, ამასაც ვერ ხვდებიან ეს უბედურები!

იქამდეც კი მივიდნენ, თვით უკანასკნელი პოლიტიკური ნაძირალა (აგრეთვე, მორალური) პადოშაც აჭრიჭინდა: მე, პოლიტიკოსი პადოშა თორთლაძე, ბიძინა ივანიშვილს, როგორც პოლიტიკოსს, არ ვიცნობო!

კიდევ კარგი, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს არ ვიცნობო, რომ არ თქვა!

არადა, თორთლაძისნაირი პოლიტიკოსებით რომ გადაივსო ჩვენი პარლამენტი, ზუსტად ამიტომ გვაქვს საქმე კარგად!

ახლა წარმოიდგინეთ, ეკა ხერხეულიძემ, ხათუნა ოჩიაურმა, ხათუნა გოგორიშვილმა, კობა ხაბაზმა, ვახტანგ ბალავაძემ, გიორგი კანდელაკმა (მოკრივემ კი არა, პარლამენტარმა), აკუკი მინაშვილმა და მისმა სიდედრმა ბიძინა ივანიშვილზე რომ თქვან, ასეთ პოლიტიკოსს არ ვიცნობთო.

არა და, რომ თქვან, ჭკუა დაუშლით თუ სწავლა-განათლება? ამ უბედურებს ჰგონიათ, პოლიტიკოსი მხოლოდ ის არის, ვინც პარლამენტში წამოსკუპდება და პრეზიდენტის წამოროშილს თუთიყუშივით წაღმა-უკუღმა იმეორებს, სხვებს კი, ვინც პარლამენტში არ ზის და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს, პოლიტიკის ანა-ბანა არ გაეგებათ.

ქართველებს კი ხელები გულზე დაგვიკრეფია, ფეხი ფეხზე გადაგვიდვია და თავს ისტორიით ვიწონებთ: ბევრი ერი და სახელმწიფო გადაშენებულა და პირისაგან მიწისა აღგვილა, მაგრამ საქართველო გადარჩენილა და ფეხზე დგასო.

დიდი პატრიოტი ბიძინა ივანიშვილი სწორედ რომ უფსკრულის პირას მდგარ საქართველოს მოევლინა უეჭველ მხსნელად და რომელი პატრიოტი ქართველი არ გაჰყვება ამ სატანებთან და ჭკუანაღრძობ ნაციონალებთან ბრძოლაში?

სიმაძღრით დამპალ ერთ მუჭა ნაციონალებს რა მუცლის გვრემა აქვთ ატეხილი, ყველამ კარგად ვიცით — მოვა ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი და ნაციონალებს მისხალ-მისხალ აუწონიან ხალხის წინაშე ჩადენილ ცოდვებს!

ეს დრო დადგება, ჩემო ქართველებო!..

**რევაზ ჩხარტიშვილი,**
მწერალი



# `ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~

# qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs

**ამჯერად „კონსილიუმში“ მონაწილეობენ „სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე და ფილოსოფოსი გოჩა მსხილძე:**

**მამუკა გიორგაძე:** უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა „საერთო გაზეთს“, რომელიც დაინტერესდა და პერიოდულად იმ საკითხებზე საუბრობს, რაც ყველაზე მეტად აწუხებს ქართულ საზოგადოებას. თავისთავად თემა „კონსილიუმი“ ძალიან მნიშვნელოვანია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ ერთი მიმართულებით გაჭირვება არ გვაქვს, არამედ უფრო კრებსითი პრობლემები გვაწუხებს, რასაც გამომწვევი მიზეზებიც აქვს, საფუძველიც და პერსპექტიული განვითარებაც. ყველა პრობლემა თავს იყრის ერთ უმთავრეს საკითხში — გვაქვს თუ არა ქართველებს პრობლემების ერთიანი მოსაზრება. როდესაც ვამბობთ სიტყვას — ჩვენ — ჯერ უნდა ჩამოვყალიბდეთ ვინ ვართ ეს „ჩვენ“ და რა კრიტერიუმებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ ის ადამიანები, ვინც სიტყვა ჩვენში იგულისხმება. შესაბამისად, გვაქვს თუ არა ამ ჩვენში პრობლემების ერთნაირი მოსაზრება, გვაქვს თუ არა ქართველებს ერთიანი ცნობიერება, ვუყურებთ თუ არა პრობლემებს ერთი ღირებულებათა სისტემიდან. თუ ასეა, მაშინ შეგვიძლია გამოსავალი მოვძებნოთ და თუ ასე არ არის, მაშინ ძალიან ძნელია ერთმანეთთან შეხების წერტილის პოვნა. თუ ერთ ღირებულებათა სისტემაში ვართ მაშინ თამაშის წესები ერთი გვაქვს. თუ ყველანი მივდივართ ქრისტესკენ, მაშინ უნდა ვუახლოვდებოდეთ ერთმანეთს. მაგრამ ბოლო პერიოდში ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს, მუნჯთა და ყრუთა დიალოგს უფრო ჰგავს ჩვენი საუბარი, ვიდრე იმ ადამიანების საუბარს, რომელთაც უნდათ ერთმანეთს გააგებინონ. აქვე იკვეთება ერთი შეკითხვა — რად მინდა, რისთვის მჭირდება ქართული სახელმწიფო? თუ შევთანხმდებით იმაში, რომ ერმა სახლმწიფო სისტემა სწორედ იმიტომ შექმნა, რომ ეს საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ღირებულებების დაცვა-განვითარებისთვის საჭირო ინსტრუმენტია, მაშინ ჯერ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა პრობლემები მოვაგვაროთ. ვისთვისაც სახელმწიფო უბრალო თვითდამკვიდრების, ფულის შოვნის ადგილია, ბუნებრივია, ამ ადამიანებთან ერთად საუბარს აზრი არ აქვს. ამ პრობლემებზე საუბარი იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც საკუთარი ერის მარადიული ყოფისკენ მიისწრაფვიან. სწორედ ამიტომ არის საჭირო შეკრება, კონსილიუმი, რათა განვსაზღვროთ ვინ უნდა დაჯდეს ამ თემებზე სასაუბროდ. მეორე მხრივ, ჩვენ, პრაქტიკულად სახანძრო მანქანის რეჟიმში ვმუშაობთ — სადღაც წარმოიშვება ხანძრის კერა, გავვარდებით ყველანი იქ, ცოტათი მივანავლებთ ხანძარს, ამ დროს გავიგებთ, რომ მეორე ადგილას არის ხანძარი — ახლა იქით, გავიქცევით მერე მესამე, მეოთხე ადგილას გავრბივართ, ამ დროს პირველი ისევ აალდება გამოვარდებით და საბოლოო ჯამში მივალთ იქამდე, რომ ყველაფერი დაიწვება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ ხანძრის გამომწვევი მიზეზები. ცნობილია, რომ სულელი ძაღლი ნასროლ ჯოხს მისდევს, ჭკვიანი კი მსროლელ ხელს. უნდა დავიდეთ პრობლემების ძირისძირამდე საიდანაც შემდეგ, სწორედ ამ ძირითადად იღებს საფუძველს ყველა დარგში არსებული პრობლემა. მაგალითად, შეუძლებელია პოლიტიკური სივრცის მონოპოლიზება ხდებოდეს და ეს ბიზნესზე არ აისახოს. როდესაც მართვადი პოლიტიკური სივრცეა, საქართველოში, როგორ შეიძლება თავისუფალი ბიზნესი, ჯანსაღი საარჩევნო გარემო არსებობდეს. ასე შეუძლებელია განვითარება. შეიძლება შემთხვევით გაგვივარდეს და ფეხბურთი ხორვატიას მოვუგოთ, კარგი სიმღერა დაიწეროს, მაგრამ ეს შემთხვევითობებია. მთავარი არსი ის გახლავთ, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ იმ ძირისძირი პრობლემის მოგვარებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენშია. დღეს მთავარი პრობლემა, ავადობის ერთ-ერთი ნიშანი ასევე არის, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნებების დეფიციტი ქვეყანაში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საუკუნეების მანძილზე წარმატებით ახორციელებდა ძლიერი პიროვნებების ექსპორტს საზღვარგარეთ, რეგიონში და მსოფლიოში ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი ვიყავით დღეს პრობლემაა ღირსების მატარებელი პიროვნებების არსებობა. ერი რომელიც არასდროს განიცდიდა ამ დეფიციტს, დღეს დიდი დეფიციტის წინაშე აღმოვჩნდით, დღეს ასეთი ვითარებაა უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ. ამ ვითარებაში პროცესები ძალიან სავალალოდ მიდის. თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში არცერთ სფეროში არ არის კონკურენცია, ეს იმის მაჩვენებელიცაა, თუ როგორ ეშინიათ პროცესების წარმმართველებს კონკურნციის. ძალიან კარგად იცის სააკაშვილმა, რომ თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში ვერასოდეს გახდება ქვეყნის მმართველი, დღეს ეს ხალხი შეგნებულად დაასვეს ქართულ საზოგადოებას თავზე იმიტომ, რომ როგორც წმინდა მამა ეფრემ ასური ამბობს — ეს ადამიანები თავად გახდნენ საკუთარი თავის ეშმაკნი და მისი მზრუნველობა აღარ სჭირდებათ.



**გოჩა მსხილაძე, ფილოსოფოსი:** როცა ვამბობთ — რა გვჭირს ერს უნდა დავსვათ საკითხი თუ რას ვგულისხმობთ ერის ცნებაში. თუ ეთნიკურობის თვალსაზრისით გარკვეული გვაქვს რომ ქართველები ვართ, ეროვნულობის თვალსაზრისით ძალიან დიდ პრობლემებს ვაწყდებით. კერძოდ, ერის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას, ენიჭება. რა დამოკიდებულება აქვთ ელიტებს და ხალხს სახელმწიფოს მიმართ? — ამ კუთხით თავს იჩენს პრობლემები, რასაც შეიძლება სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კრიზისი ვუწოდოთ. ხელისუფლებამ ვერა და ვერ გააზრა, რომ სათავეში ყოფნა არ ნიშნავს საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილების ადგილს. სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით ჩვენ ვცდილობთ დასავლურ ღირებულებებს დავეფუძნოთ, სადაც სახელმწიფოს ფუნქციონირებისას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუტებს და არა ხელისუფლების ნება-სურვილს. ეს რომ განხორციელდეს ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭრო არადა, ახლა, სწორედ ამის საპირისპირო ხდება. ხელისუფლებას დეკლარირებული კი აქვს დასავლური ღირებულებები, მაგრამ რეალურად ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ ირჯება, რაც დასავლური ღირებულებელბისა და მისი ინსტიტუტებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს და ეს ერთიანი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს. მეორე პრობლემა — დასავლური ორიენტაცია, ძირითადად პიროვნების პრიმატს გულისხმობს, არადა ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს საპირისპიროდ აკეთებს. ამიტომ ხალხი ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილების არენადაა ქცეული. რაც შეეხება ოპოზიციურ ელიტას, მან ვერა და ვერ ჩამოაყალიბა კლასიკურად, კონსტრუირებული პოლიტიკური სისტემები. ელემენტარულად, კლასიკური გაგებით, პოლიტიკური პარტიები არც არსებობენ საქართველოში. პოლიტიკურ სპექტრს თუ გადავხედავთ, მეტწილად ერთი კაცის პარტიები გვაქვს, რომელთა წასვლაც პოლიტიკური არენიდან ამ პარტიების დაშლას იწვევს. ამის გამო ჩამოყალიბდა დამარცხებული პოლიტიკური პარტიების სინდრომი — ისინი ხელისუფლების წინააღმდეგ წამოწყებულ ყველა ბრძოლაში დამარცხდნენ. ამან მათში შიშის სინდრომი ჩამოაყალიბა, რაც ბოჭავს მათ კრეატიულ-შემოქმედებით უნარებს. ამას ემატება საფუძველს მოკლებული ამბიციურობა შედეგად ვიღებთ, ერთი მხრივ, სახელისუფლო ელიტების დეგრადირებულ დამოკიდებულებას იმ საზოგადოების მიმართ, ვისაც მართავენ და მეორე მხრივ, ოპოზიციურ ელიტას, რომელიც აბსოლუტურად უნიათოა. პოლიტიკურის გარდა, არსებობს ინტელექტუალური შემადგენელი, რამაც ერად ჩამოყალიბებაში ხელი უნდა შეგვიწყოს, თუმცა აქაც პრობლემებს ვაწყდებით. ერის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მწერლებს, პოეტებს, ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს და ა.შ. ენიჭებათ. მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ ამ სფეროებში ძვრები კი არის, მაგრამ არასაკმარისი, ვაწყდებით ინტელექტუალურ სიღარიბეს, ბუნებრივია, ერად ჩამოყალიბების პროცესი გართულებულია. ინტელექტუალური შრომა გარკვეულწილად ინტელქტუალურ სიმამაცესთან, ვაჟკაცობასთან, თავგანწირვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ილია ერის ჩამოყალიბებაზე იყო ორიენტირებული, მიუხედავად ამისა დაწერა „ბედნიერი ერი“, რომელიც ერთგვარი შხაპი იყო. ინტელექტუალურ სიმამაცეში სწორედ ამას ვგულისხმობ — ინტელექტუალს უნდა შეეძლოს სიმართლე უთხრას საზოგადოებას იმის შესახებ, რაც ერს გვჭირს. ჩვენ ინტელექტუალური მამაცები არ გვყავს და, ბუნებრივია, გამოსაფხიზლებელ შხაპსაც მოკლებული ვართ. ამიტომაც თვითორგანიზაციის უნარი საზოგადოებას უძნელდება. გარდა ამისა, ჩვენმა ხალხმა არ იცის რა არის ერი. შესაბამისად, არ იცის არ არის სახელმწიფო, რა ფუნქციები, დანიშნულება აქვს მას. და არ იცის ელემენტარული — თუ ერად იწოდები ყველაფერი უნდა გააკეთო, რათა პოლიტიკურმა ელიტამ შენი მოთხოვნები გაითვალისწინოს. ეს ჩვევა ქართულ საზოგადოებას არ აქვს. ვიმეორებ, არ ვიცით, რა არის სახელმწიფოში ცხოვრება, რა იგულისხმება სახელმწიფოებრიობის ქვეშ. ამიტომაც ქართველმა ერმა არ იცის, როგორ გამოხატოს პროტესტი სოციალური პრობლემატიკის წინაშე, რაც ამჟამად სახელმწიფოში ყველაზე მწვავედ დგას.

**თუ დააკვირდებით, საზოგადოებას არასოდეს არ გაუპროტესტებია ფასების მომატება მრავალათასიანი მიტინგით. დასავლეთში ხალხი გარეთ, ძირითადად, სოციალური მოთხოვნებით გამოდის. ჩვენ კი არ ვიცით, როგორ მოვახდინოთ თვითორგნიზება ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის.**




იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

— ჩვენთან დგას კიდევ ახალგაზრდობის პრობლემა — ახალგაზრდობა თავისი არსით საკმაოდ რადიკალური და აგრესიულია. აქ არის ყველაზე მახინჯი პრაქტიკა, რაც ხელისუფლებამ გამოიმუშავა — შიდა განხეთქილების შეტანა სტუდენტ-ახალგაზრდობაი. სტუდენტებში გაჩნდა კასტა, რომლებიც დაახლოებულნი არიან პარტიულ მუშაკებთან და თავისი არსით პარტიულ დანამატებად არიან ქცეულნი.

**მამუკა გიორგაძე**: სახელმწიფო არ ზრუნავს ძლიერი, განათლებული ადამიანების აღზრდაზე. არა, ბატონო, პირიქით, მიმდინარეობს საზოგადოების სრული დეგენერატიზაცია. ტელევიზიები თურმე არ შეიძლება უჩვენებდნენ სერიოზულ, ანალიტიკურ გადაცემებს. პირიქით, უნდა გადიოდეს მდარე გემოვნების შოუები, რათა ქართულ საზოგადოებას გემოვნება გაუფუჭდეს. ამ ტიპის ხელისუფლება და საზოგადოება როგორ შეიძლება ფიქრობდეს, რომ შეჯიბრობითობის სისტემა იყოს სასამართლოში. მათ სჭირდებათ სწორედ ასეთი ძალმომრეობა, რათა წარმატებული იერიში განახორციელონ ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ნელ-ნელა ეს ხორციელდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ მიმდინარეობს ერთიანი, რევოლუციური სქემით, არამედ მცირე მუხტების აფეთქების თეორიის მიხედვით. ხელისუფლებამ იცის, რომ იმდენად მყიფეა მისი მდგომარეობა, რომ რომელიღაც ძალიან პრინციპული საკითხის დადგომისას ის აუცილებლად წააგებს. თუ დადგა საკითხი ასე თუ ისე, ბუნებრივია ქართველობა დადგება იქ, სადაც უნდა იდგეს, რისიც მას ეშინია. ამიტომ ქართულ სახელმწიფოებრიობას მცირე მუხტების აფეთქებით ანგრევას. დღეს ერთ სეგმენტს ჩამოატეხავს ქართული სახელმწიფოებრიობას, ხვალ — მეორეს. თითოეული ამ ჩამოტეხვის დროს ვფიქრობთ ეს არ არის მთავარი, გადამწყვეტი, ბოლოს მივალთ იქამდე და აღმოვაჩენთ, რომ დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე ქართული საზოგადოება გაცილებით არაეროვნულად, გაცილებით ანტიეროვნულად, ანტიქრისტიანულად ცხოვრობს, ვიდრე ყბადაღებული კომუნისტების დროს. დღეს, რეალურად საქართველოს ფარგლებს გარედან ხდება მართვა. ეროვნული მოძრაობის პერიოდში წამოწეული ლოზუნგებიდნ პრაქტიკულად, არაფერი დარჩა. 20 წლის თავზე უფრო დეგრადირებულია ჩვენი სახელმწიფოებრიობა. სულ ცოტა ხანში გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველო ჰქვია, ნამდვილად იქნება სახელმწიფო, მაგრამ იქნება თუ არა ეს ქართული სახელმწიფო, იქნება თუ არა ქართველი ერი ცივილიზებული სამყაროს პარტნიორი, ეს დიდი ეჭვის ქვეშ დგას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელობა არის ერთი რგოლი იმ დიდი ჯაჭვისა, რომელიც ქართველი ერის მარადიული ყოფის გამომხატველია და მარტო დღევანდელობით არ უნდა შევხედოთ პრობლემებს. ჩვენ იმიტომ კი არ ვართ დიდი ერი, რომ მონსტრი სახელმწიფო შევქმენით, არამედ იმიტომ რომ განვითარების ყველა ეტაპზე კაცობრიობის წინაშე წარმდგარი ვიყავით, როგორც იმ პერიოდისთვის ყველაზე მაღალი სტანდარტებით მოაზროვნე და მაცხოვრებელი ერი. დიდი ერი იმიტომ კი არ ვიყავით, რომ ბევრნი ვიყავით ან ხმალს განსაკუთრებულად ვიქნევდით არამედ იმიტომ, რომ უმაღლესი, ზნეობრივი სტანდარტების დონეზე ვახდენდით ჩვენს იდენტიფიკაციას. ყველა მიმართულებით ჩვენ დიდი ერი ვართ, ბევრი არ მოიძებნება ისეთი ერი, რომელიც სხვასთან თანაფარდობითობაში კი არ აფასებს თავის თავს, არამედ აბსოლუტთან მიმართებაში. თუმცა დღევანდელობიდან გამომდინარე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ საამაყოდ გვაქვს საქმე.

**გოჩა მსხილაძე**: ბუნებრივია დიდი ერი ვართ, მაგრამ ბოლო დროს საერთოდ დავივიწყეთ სამშობლო და ის, რომ სამშობლო — ეს არის სოფელი. რა დამოკიდებულება აქვს სოფლის მიმართ სახელმწიფოს? — ეს არის აბსოლუტურად მივარდნილი, მიგდებული თემა, რომელიც ჰიბრიდული სიმინდის მოყვანა — არმოყვანაზე დაიყვანება. არადა სოფელია სწორედ ის ადგილი, სადაც ეროვნულობის განცდა ყველაზე ძლიერია. ასევე, ერთგვაროვანია ჩვენი დამოკიდებულება ისტორიის მიმართ — ქართულმა საზოგადოებამ საკუთარი ისტორია არ ვიცით როდესაც ვამბობთ ჩვენი სამშობლო განსაცდელშია, ქვეცნობიერად ვგულისხმობთ სახელმწიფოს. სახელმწიფოებრიობის დონეზე ჩვენ დამარცხებული ერი ვართ. — ერთი გამარჯვება არ გვქონია ომებიდან დაწყებული სოციალური სხეულის აგებით დამთავრებული. ამ ფონზე, ბუნებრივია, საზოგადოებამ არ იცის სამშობლოს — ერს — სახელმწიფოს რა სჭირს. მას ეშინია ერთიანი სახელმწიფოებრივი სხეულის დაკარგვის, რისი პრეცენდენტებიც უკვე გვაქვს. რაც შეეხება ენას, აქ დიდი პრობლემებია. ჩვენმა ხელისუფლებამ დაინახა, რომ გლობალურ სამყაროში ინგლისური ენა საჭიროა, მაგრამ ამ იდეას, ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლეს. დიახაც, გლობალურ სამყაროში ენა გვჭირდება, მაგრამ როდესაც ჩვენი ქმედებით ორ ენას სახელმწიფო ენად ვაქცევთ, ეს უზარმაზარ პრობლემებს ქმნის ავთენტურ ენასთან დკავშირებით. ხელისუფლება ხალხს ეუბნება — ქართული ენა არ გჭირდებათო გლობალურ სამყაროში, ინგლისური ენა რაც სახელმწიფოებრივი, ეროვნული სხეულის ნგრევას იწვევს. გარდა ამისა, ვინც ბავშვის ფსიქოლოგიის ავან-ჩავანი ოდნავ მაინც იცის, ის გეტყვის, რომ ძალიან ძნელია, როცა ბავშვი ორენოვან გარემოში იზრდება, მისი გონება გაორებულია, ბავშვი სიტყვების ძიებას იწყებს, რაც მის გონებაში სწორად ჩამოყალიბებული ქართული მეტყველებისა და პიროვნებისადმი პრობლემებს აჩენს. გარდა ამისა, როცა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, სომხებს სახელმწიფო ეუბნება, რომ მათ ქართულის ცოდნა არ სჭირდებათ, ეს გაუცხოებას იწვევს. როდესაც ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებას არ ახდენ ენის საშუალებით ეს სახელმწიფოებრივ სხეულს ანგრევს. სააკაშვილს უფრო მეტად აინტერესებს, რას იტყვის დასავლეთი მასზე, ვიდრე ის თუ რას იტყვის ამაზე ქართული საზოგადოება. იმიტომ, რომ მისი ლეგიტიმაციის მთავარი წყარო უცხოთიდან დადასტურებული არჩევნებია. ამ ფონზე სააკაშვილს ფეხებზე ჰკიდია რას იტყვის თბილისი, ქუთაისი და მთლიანად საქართველო. იგი ყველაფრს აკეთებს, რომ იკეკლუცოს მსოფლიოს და არა ქართული საზოგადოების წინაშე.



**მამუკა გიორგაძე**: ადრე ეროვნულ მოძრაობას უმთავრესი პოსტულატი ყოველთვის ჰქონდა, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, ქართული საქმე ეკეთებინა. ჩვენ დაგვავიწყდა ქართული საქმის კეთება და გადავყევით რეჟიმთან ბრძოლას. რომც მოვუგოთ და რეჟიმი დავამარცხოთ, მოგებული მაინც ვერ ვრჩებით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქართული საქმე გვერდზე გვრჩება. როცა საუბარია იმაზე, რომ ვერ შევთანხმდით ღირებულებათა სისტემაში, აქ იგულისხმება შემდეგიც ვერ შევთანხმდით ვერც იმაში, თუ რა არის გამარჯვება. დღეს, რა არის გამარჯვება სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლა? თუ ეს არის გამარჯვება, მაშინ რა გამოდის ქვა ქვაზე ნუ დარჩება, ოღონდ სააკაშვილი წავიდეს? აქ უკვე ის ხალხი ვინც თავს პოლიტიკოსებს, ექსპერტებს უწოდებს, სამწუხაროდ ღიად აცხადებენ ანტიეროვნულ, ანტიმამულიშვილურ შეხედულებებს. არა, ბატონებო, ჩვენ ქართულ სახელმწიფოს აშენება გვინდა და რადგან ტერიტორია ისეთ უგვანო ნაგებობას აქვს დაკავებული, როგორიც ნაც. მოძრაობაა, ამიტომ უნდა დაინგრეს და დაიშალოს ეს ნაგებობა და არა იმიტომ რომ ეს თვითმიზანია, ეს აუცილებლობაა. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შენობა დაანგრიო, შენ მინიმუმ უნდა გქონდეს ახალი შენობის მაკეტი მაინც გამზადებული, რათა კაცობრიობას უთხრა — მე, ნაც.მოძრაობა — სააკაშვილის რეჟიმის შენობას იმიტომ ვანგრევ, რომ უკეთესი მაქვს გამზადებული. თუ ამას არ აკეთებ, მაშინ იმავე სისტემის ნაწილი ხარ, რაც სააკაშვილია, ისევე მართული ხარ გარედან, როგორც იგი და ერთი ჯიშის, ფესვის, თესლის, გენის ხარ. სხვათაშორის, სწორედ იმიტომაც იყო ეს ხალხი ერთად თავის დროზე. დღევანდელი ოპოზიციის უმეტესი ნაწილი მოქ.კავშირის და ნაცმოძრაობის წიაღიდანაა. ამიტომ ძალიან გვჭირდება დღეს საზოგადოებამ გააცნობიეროს რა არის გამარჯვება და რა არის სწორი ბრძოლა, ვისაც მიაჩნია, რომ თვითმიზანია სააკაშვილი და ამას უნდა შესწიროს საქართველო — ჯანდაბას სააკაშვილი წავიდეს და ჩვენ აფაზეთი, ცხინვალი ვაღიაროთ, სააკაშვილის ჯინაზე ეკლესიას ვებრძოლოთ — ეს საააკაშვილის სამსახურია. უფრო ზუსტად სააკაშვილიც და ასეთი ადამიანებიც ერთი დოზით ემსახურებიან პატრონს, მტერს, საქართველოს დანგრევის მსურველს. ვინც ქართულ სახელმწიფოს არ აშენებს და ქართულ ღირებულებებისთვის არ იბრძვის, ავტომატურად მტერია და არ ებრძვის სააკაშვილს, არამედ მხრს უჭერს მას — სწორედ იმიტომაცაა, რომ 5 წლიანი ბრძოლის შედეგად ოპოზიციამ მიაღწია იმას, რომ სააკაშვილი უფრო მყარად ზის თავის ტახტზე, ვიდრე ეს იყო ვთქვათ 2006 წელს. ამის გაცნობიერებაა მთავარი. ოპოზიციის ძირითადი ნაწილი ისეთივე დამნაშავეა ქართული ხალხის წინაშე, როგორც სააკაშვილი და მისი რეჟიმი. უფრო მეტიც, მორალურად, სააკაშვილი უფრო ღირსეულად გამოიყურება ამ ნაძირალა ოპოზიციის ფონზე. იგი არ ეკეკულეცება არავის, ვანგრევო იძახის და ანგრევს კიდეც. ეს ფარისევლები, ვითომ გულწრფელები, იგივეს აკეთებენ, რასაც სააკაშვილი და რატომღაც აქვთ სურვილი და პრეტენზია ხალხს უყვარდეთ.



**გოჩა მსხილაძე**: ჩვენ ძალიან შორს ვართ დემოკრატიული ინტერესებისგან. საერთოდ არ ვიცით რა არის დემოკრატია. დანიელი მეგობრები მყავს, მათ მითხრეს რომ იქ არის სოფლის საბჭოები, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიზაციის განვითარებას და ჩამოყალიბებას. როდესაც ეს ინსტიტუტები არ მუშაობს, არ იცი ვისთან და როგორ მიხვიდე.

**ისეთი გზით მივდივართ, შეიძლება აღმოვჩნდით იმ რეალობაში, რომ მართლაც ვაშენოთ სინგაპური. არადა სინგაპური და დემოკრატია ისეა, როგორც ვირი და ხურმა. შეიძლება გვქონდეს გაზი, ხიდი, მაგრამ არ გვქონდეს დემოკრატია. ჩვენ ვართ დამარცხებული ერი, დამარცხებული ფსიქოლოგიით. ასე, რომ რთული პრობლემის წინაშე ვარ — უნდა ვისწავლოთ სახელმწიფოს მოვლა, რამაც ჩვენი ეთნიკური გადარჩენა უნდა გამოიწვიოს. მთავარი დაავადებაა — არ ვიცით როგორ მოვუაროთ ქვეყანას.**

**მამუკა გიორგაძე**: გვაქვს კიდევ ერთი დაავადება — ეს არის პოლიტიკური ისტორიის უცოდინარობის დაავადება. მეორე მხრივ ის, რომ ჩვენ დავკარგეთ ორიენტირები, რომელიც პიროვნებების პასუხისმგებლობას უკავშირდება. რატომ ვსაუბრობთ მასაზე? — მასა არასოდეს არ არის როგორ გადამწყვეტი, მასა იქცევა ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში და ყველგან. საქართველოში მასა, რომელიც 20 წლის წინ ტანკებს უვარდებოდა, დღეს კიკუსავით 5 ლარად იხდის სააკაშვილთან. მასა არ არის პრობლემა, მასა არ არის დაავადებული. იგი იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს. დაავადებულია პიროვნებები, რომელთაც პრეტენზია აქვთ, რომ მასაზე მეტი შეუძლიათ და მათზე უკეთესნი არიან. სწორედ ამ პიროვნებებშია პრობლემა. თუ ეს პიროვნებები მასას სათავეში ჩაუდგებიან და სიკეთისკენ წაიყვანენ, მასა ყველა ხდება გმირი. აქ არ დგას მასის პრობლემა. ჩვენთან ამ დეფინიციების აღრევა უნდათ. ამათ არ უყვართ ეს მასა, ყველაფერს მათ აბრალებენ — ხალხია ასეთი და ჩვენ რა ვქნათო. არა, ბატონებო ხალხი, ძალიან კარგია, ისეთი, როგორიც უნდა იყოს. წარმოიდგინეთ მერაბ კოსტავას რომ ეთქვა — ხალხია ასეთი და მე რას ვიკლავ თავს, რატომ უნდა წავიდე ციხეშიო. დოჩანაშვილს დავესესხები — დღეს მომრავლდნენ მეტისმეტად თავმომწონე და თავმოყვარე უთავოები. ადამიანები, რომელთაც აქვთ პრეტენზია იწოდებოდნენ ელიტად. ამ ადამიანებშია პრობლემა. საზოგადოებრივ პროცესებს წარმართავს ელიტა. ეროვნულმა მოძრაობამ სწორედ ეს მოახერხა — მასას სათავეში ჩაუდგა ელიტა, რომელიც მზად იყო თავი გაეწირა ქვეყნისთვის, მასის თითოეული წევრი გახდა გმირი, იმიტომ, რომ ელიტა მათ მაღალზნეობრივი სტანდარტებისკენ მოუწოდებდა.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Ria werili baton biZina ivaniSvils

1956 წლის აგვისტოდან სუკის რეპრესიების ქვეშ მოყოლილი პირველი ჯგუფის წევრი ვარ და მას შემდეგ ხან ღიად და ხანაც იატაკქვეშ, ერთი წუთით არ გამოვრთულვარ ბრძოლიდან; იყო გარკვეული წარმატებებიცა და წარუმატებლობებიც. სააკაშვილის გამოჩენიდანვე ნათლად დავინახეთ საფრთხე, რასაც ის წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ბოლო 10 წელს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა მისი არაქართული(ანტიქართული) სული. შევარდნაძესთან არაფერი გამოგვივიდა, ის საკმაოდ ორჭოფულად იქცეოდა, არ გვისმენდა და ჩვენგან არაფრის გაგება არ სურდა, ახსოვდა ის შავი დღე, რაც 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დავაყარეთ (მოძრაობა "სიცოცხლისათვის", მთავარი მრჩევლები აკაკი ბაქრაძე და ჯუმბერ პატიაშვილი).

როგორც იქნა, "მოახერხა" და ქვეყნის გასანადგურებლად თავისზე გაცილებით ნორჩი სააკაშვილი დაგვისვა. იქიდან მოყოლებული გვაქვს ომი ჩვენს გამოკვეთილ მტერთან და წელს დადგა გადამწყვეტი მომენტი! აქამდე ბევრი შესაძლებლობა გაჩნდა(მინიმუმ, 3-ჯერ!) ქვეყნის გათავისუფლების, მაგრამ სააკაშვილამდეც და ახლაც, ყოველთვის არსებობდა ყოველი მხრიდან დაფინანსებული "ოპოზიცია" და ვერ მოვერიეთ. იმ დონეზე ჰყავს მოწამლული ხალხი ამ "ოპოზიციასა" და "მასმედიას", რომ იძულებული გავხდით, სპეციალური "ანტიდოტ-ჯგუფი" შეგვექმნა, რათა დაგვენახებინა ქართველთათვის სინამდვილეში მტრის რეალური ძირითადი საყრდენები.

აი, ახლა უკვე დადგა დრო თქვენს ღია წერილთან შეხების! მისი ძირითადი პუნქტები სიტყვასიტყვით, თითქმის ემთხვევა ჩვენს ნამუშევრებს პრესაში, ტელევიზიებში და სოციალურ ქსელებში. ჩვენ ეს მოგვწონს და ძალიანაც გვიხარია, რადგანაც მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად სწორი ხედვა გქონიათ ქვეყნის სინამდვილეზე, შესაბამისად, ყველაფერში შეგიწყობთ ხელს.



ჯერჯერობით, თითქოს ყველაფერი რიგზეა. 95% სრული იდენტურობაა, რჩება ის წყეული 5%, რომელიც აუცილებლად უნდა დაზუსტდეს. საქმე ეხება ცოტა, მერაბიშვილისადმი შეთავაზებას და ბევრი, არჩევნების გადამწყვეტი უპირატესობით მოგებას. პირველი ნაწილი ძალიან მარტივია, ჩვენც არაერთხელ გვითქვამს, რომ მტრის მთავარსარდლის(სწორედაც, მერაბიშვილის!) შენს მხარეზე გადმოყვანა ბრძოლის გადაწყვეტის ტოლფასია, ამიტომ მერაბიშვილის ნაწილი ტაქტიკის ფორმად შეგვიძლია ჩავთვალოთ, მაგრამ არჩევნების მოგება? კი, ბატონო, იყოს ესეც ტაქტიკა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ეს ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლაა ჩვენთვის („საპარლამენტო"!) და მის დათმობას ვერანაირი ძალა ვერ გვაიძულებს!

ორი სიტყვა მასკარადზე, რომელსაც ქართველებს(ეგრეთწოდებულ დასავლეთსაც) არჩევნებად მიასაღებენ ხოლმე: მტერი არჩევნებს არ ატარებს, მტერს არ შეიძლება ჰყავდეს ოპოზიცია(თეორიულადაც კი!), მტერი არ მოგცემს მასმედიას! ეს ყველაფერი კეთდება მხოლოდ 21-ე საუკუნის ხათრით, შესანიღბავად და ხალხის მოსატყუებლად. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მუშაობს "ანტიდოტი", რომელიც დღეს გაძლიერებული რეჟიმის მდგომარეობაშია და მტერს "არჩევნებამდე"არ მივუშვებს!

"ოპოზიციისა" და "მასმედიის" მიერ მოწამლულ ხალხს შველა სჭირდება! მიშიკას ამ ორმა ძირითადმა საყრდენ-გადამრჩენმა ქართველობას თავს მოახვია დილემა: "არჩევნები თუ ქუჩის რევოლუცია", წინასწარ იცოდა რა, რომ მტრისაგან ოკუპაციის პირობებში არც ერთი შეიძლება და არც მეორე. ისინი დაჟინებით ეკითხებიან ყველას, თუ ვინ რომელს უჭერენ მხარს და თუკი სადმე ყური მოჰკრეს მესამე გზის შესახებ, გამწარებული, მეტისმეტი მონდომებით ცდილობენ მის მიფუჩეჩებას! ეს გზა კი ასეთია: ინდოეთში კბილებამდე შეიარაღებულ ბრიტანელებს მაჰათმა განდიმ "სატიაგრაჰა" დაუპირისპირა და გაიმარჯვა კიდეც. ჩვენ, ქართველებს, გვაქვს მსგავსი ყაიდის ბრწყინვალე იარაღი და მას მოკვეთა ჰქვია! მე არ მივიღებ არგუმენტად იმას, რომ ინდოეთი დიდია, საქართველო კი, ოო, რა პატარა, რადგან, არც საakაშვილი მყავს ბრიტანელთა დონეს შესადარი. ჩვენ შეგვიძლია, ამას ვაკეთებთ და ბოლომდე მივიყვანთ (თქვენი გამოჩენის შემდეგ ხომ განსაკუთრებით იოლად!), რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი მთლიანად მოვაბრუნოთ საქართველოსაკენ, მისი გათავისუფლების აუცილებლობისკენ! სულ მალე მიიღწევა კრიტიკული წერტილი ამ მობრუნების დინამიკაში და ისე სწრაფად მიაღწევს 80-90%-ს,



რომ ჩვენ, მე და თქვენაც კი, შესაძლოა, გაკვირვებული დავრჩეთ! ეს მიიღწევა, მინიმუმ, გაზაფხულისთვის და ერთად დამდგარი საქართველო, მგონი, შაჰ-აბასსაც კი აიძულებს საფლავში ატრიალდეს. ცხადდება მოკვეთა, მთავარი ხელისშემშლელნი, "ოპოზიცია" და "მასმედია" შევიწროებულ-ჩაჭყლეტილ-ჩამცირებული არიან და მტერს აღარ რჩება გამოსავალი, გარდა უომრად დანებებისა. ათმაგი უპირატესობა გარანტიას იძლევა, რომ ბრძოლა, როგორც ასეთი, აღარც შედგება, რადგან ყველასთვის ნათლად დასანახი იქნება მისი გარანტირებული შედეგი. უცხოეთსა ("დასავლეთი") და სხვა დანარჩენებზე ახლა ლაპარაკიც ზედმეტია. აი, ამ გზას ჩქმალავდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ სწორედ ისინი, რომლებიც ზემოთ სააკაშვილის საყრდენებად წარმოგიდგინეთ. ეს არის და ეს, რაც გვინდოდა თქვენთვის გვეთქვა!

ბატონო ბიძინა, ამგვარად, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ ყველგან ვუშვებთ თქვენის მხრიდან ტაქტიკის ელემენტებს(კარგად გვესმის!), მაგრამ, რა თქმა უნდა, გვირჩევნია, მეტი სიზუსტე, რომელიც სულაც არ მიგვაჩნია აუცილებელ საპასუხოდ!

სიკეთე თქვენს მოსვლას. პატივისცემით

**გიორგი ყორღანაშვილი**

---

უკვე კარგა ხანია 169-ე საჯარო სკოლაში მობილური კავშირის კომპანია „ბილაინის" ანტენა დგას. სკოლას კი ჰქვია საჯარო, მაგრამ როცა ანტენას დგამდნენ, საჯაროდ მშობლებისათვის არ განუცხადებიათ, თქვენი შვილების სასწავლებლის თავზე ბილაინის ანტენა იდგმება და საჯაროდ იცოდეთო...

საჯარო სკოლა კი ჰქვია, მაგრამ სკოლის დირექტორი ჟურნალისტებთან ამ თემაზე საუბარს არც კადრულობს, საზოგადოებას საჯაროდ უარს ეუბნება საჯაროდ განუმარტოს რაიმე... იქნებ ჩვენ არ ვიცით და სკოლა საჯარო აღარ არის? იქნებ მოხდა მისი პრივატიზაცია? ასეც რომ იყოს, თუ ქვეყანა დემოკრატიულია, ყველა ვალდებულია ჟურნალისტს უპასუხოს ნებისმიერ კითხვაზე, რომელიც ასზოგადოებას აინტერესებს - ჟურნალისტი გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს...

ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული კი ჰქვია და ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს თითქოს, მაგრამ ქართული ფულის შოვნაზე ორიენტირებული რუსული კომპანიის „ბილაინის" თანამშრომლებმა, არც კი იკადრეს ქართველი ჟურნალისტებისა და ქართული საზოგადოებისათვის კომენტარი გაეკეთებინათ ამ საკითხზე...

შარშან მშობლების ერთმა ნაწილმა პროტესტი გამოთქვა და მოითხოვა ანტენის მოხსნა, ხელმოწერებიც კი შეაგროვეს, მაგრამ... მაგრამ, როგორც ამბობენ, მოუწვევიათ სპეციალისტები, რომლებმაც განაცხადეს თურმე, ანტენა სრულიად უსაფრთხოაო...

მშობლებმაც შეცდომა დაუშვეს,



# 169-e skolis bavSvebs Svela sWirdebaT

არაფერი გამოგვივა და თავი დავანებოთ ამ საქმესო. თან სკოლის ყველა მოსწავლის მშობელსაც არ გააგებინეს, არც მედიას მიმართეს, არც პროტესტის იმ ფორმებს, რისი უფლებაც აქვს ადამიანს საქართველოში კონსტიტუციით მინიჭებული... ასე ჩაიფარცხა საქმე...

წელს იმ მშობლებმა, რომლებმაც ახლა გაიგეს, რომ სკოლის შენობაზე „ბილაინის" ანტენაა დადგმული, წამოიწყეს ანტენის მოხსნისა და სხვაგან მოთხოვნით ახალი კამპანია...

169-ე სკოლის მოსწავლეთა არა ერთი მშობელი ამბობს, რომ ბავშვები ხშირად თავს იტკივებენ, გაკვეთილებიდან დაბრუნებულნი...

მეცნიერების უმრავლესობა, მათ შორის ონკოლოგები, რადიოლოგები და სხვები, ამბობენ, რომ მობილური კავშირის გამოსხივება, ლაპარაკია უბრალო მობილურის აპარატზე, სახიფათოა ადამიანისთვის და განსაკუთრებით და გაცილებით სახიფათოა ბავშვებისათვის.

ხოლო, მობილური კავშირის სიგნალების დიდი კონცენტრაცია - ანტენა კი არაფრისდიდებით არ უნდა იყოს ისეთ ადგილას დამონტაჟებული, სადაც ბავშვების თავშეყრის ადგილია... მეტიც, ასეთი ანტენა სახიფათოა ზრდასრულებისათვისაც კი.

დიახ, ასე აცხადებს მეცნიერთა ერთი ჯგუფი, და არა მარტო ჩვენთან, ევროპაში, ამერიკაში, არაბულ ქვეყნებში... არსად, არც ერთ ცივილიზებულ თუ ნაკლებად ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც კი უფრთხილდებიან ბავშვების ჯანმრთელობას, სკოლის მახლობლად, მით უმეტეს, სკოლის სახურავზე, მობილური კავშირის ანტენას არ ამონტაჟებენ...

ნაწილობრივ მართალი რომ იყოს აღნიშნული მეცნიერების დასკვნა, განა შეიძლება ბავშვების ჯანმრთელობით გარისკვა?

ჯერ კაცობრიობა არ მისულა გადამწყვეტ დასკვნამდე, რომ მობილური კავშირის ანტენები სრულიად უსაფრთხოა მოზარდების ჯანმრთელობისათვის... ერთი პროცენტით მართალი რომ იყვნენ ისინი, ვინც განგაშს ტეხს, მერე ვინ აგებს პასუხს? დირექტორი, ბილაინი თუ ქართული სახელმწიფო. ანდა პასუხის გება განა უშველის საქმეს?!

ჩვენთან კი ჩინოვნიკები როგორც უნდათ ისე იქცევიან...

სხვათა შორის, ამბობენ, რომ ანტენის დამონტაჟებისათვის ფინანსური წახალისებაც კი ყოფილა, რამდენიმე ათასი დოლარი წელიწადში... იქნებ ფინანსურმა სამსახურებმა შეისწავლონ ეს საქმე გამოწვლილვით...

ასეა თუ ისე, 169-ე სკოლის ბავშვების ჯანმრთელობით ჩინოვნიკები რისკავენ... ეს ხდება XXI საუკუნეში, ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში... როგორც ჩანს, ყველა ჩინოვნიკი არ არის ცივილიზებული და არად დაგიდევს დემოკრატიას...

სახელმწიფო, ხელისუფლება დაინტერესებული უნდა იყოს ანტენა მოაშორონ სკოლას. სკოლის მოწაფეთა მშობლების დიდი ნაწილი გაღიზიანებულია არა მარტო დირექტორზე, არამედ განათლების სამინისტროზე და მთელ ხელისუფლებაზე...

როგორც ჩანს, „ბილაინი", განათლების სამინისტროს ჩინოვნიკები და სკოლის დირექტორი მარინა დარსაველიძე ჭრიან იმ ხის ტოტს, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული ხელისუფლების ბედი. თუმცა ჩინოვნიკებს ხელისუფლება იქნებ არც კი ენაღვლებათ...

**გიორგი თოდრია**

# `lekvi lomisa sworia, Zu iyos, Tunda xvadia~

„შორენავიზიად'' ქცეულ ''იმედსა'' და მონარქიის გამანადგურებელ ძალებს საქართველოში ბაგრატოვანთა ტახტის აღდგენა რომ არ აწყობდეს, რა გასაკვირია. აი, ზოგი ისტორიკოსისა და ''სათავადაზნაურო საკრებულოს'' ე.წ. ლიდერისთვის რატომაა ასე მიუღებელი მონარქიისთვის კანონიერი სახის მიცემა, გასაკვირი ესაა. ისტორიკოსს, უბრალოდ, მამულიშვილს, მორალურად ევალებოდა და ევალება საკუთარი ისტორიისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ყველაფერს ლოგიკური ახსნა აქვს. ''შორენავიზიის სპეცდეზინფორმაციაში'' გამოყვანილი ისტორიკოსები და ჟურნალისტები, ''ზახმაროს ნიავივით'' რომ იცვლიან პოზიციებს, ამაზე მათი ადრინდელი ინტერვიუებიც მეტყველებს. ბოლო ''სპეცრეპორტაჟიც'' ამის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო. დინასტიურ საქმეებში ''კარგად ჩახედულ'' პიროვნებებთან ერთად, მოდელირებული ქრონიკით'' დახელოვნებულმა ''შორენავიზიამ'' მორიგი ''მოდელირებული სპრეცდეზინფორმაცია'' ბაგრატიონებზე მომზადებული სიუჟეტით გაავრცელა. მომზადებას ''კარგად ეცადნენ'', მაგრამ არაპროფესიონალიზმსა და უვიცობას სად გაექცევი?! რამდენჯერ და რამდენი ''მოდელირებული დეზინფორმაცია'' გაავრცელეს გადაცემის მსვლელობისას ერთად ვნახოთ.

მონარქიის თემა მნიშვნელოვანი და ქვეყნისთვის სიკეთის მომტანია. ყველა მონარქიული სახელმწიფოც, ეკონომიკურ-სოციალური, დემოკრატიის ხარისხის თვალსაზრისით, მაღალ დონეზეა. ამ დონეს საქართველომაც რომ არ მიაღწიოს, საზოგადოების თვალში იდეის გაუფასურება და ''აგდებაა'' საჭირო. ბაგრატიონების ''ულირსებად გამოყვანაა'' მნიშვნელოვანი. მონარქიულ ქვეყნებში, ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობად შენარჩუნების მიზნით, ის არც კი გაუქმებულა. ამ ქვეყნებში, (დიდი ბრიტანეთი, დანია, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ესპანეთი) ეამაყებათ მეფის ყოლა. ჩვენით არ გაგვიუქმებია, მაგრამ როგორც კი 1300 წლოვანი სამეფო დინასტიის აღდგენის შანსი მოგვეცა, რამდენი მხრიდან, რამხელა თავდასხმა წამოვიდა, ხომ ხედავთ? ''მართვადი საპრეზიდენტო ინსტიტუციის'' მომხრე პოლიტიკოსთა და ''თავისუფლების ინსტიტუტის'' ინტერესში ეს რომ არ შედის, თემის ''სპეცრეპორტაჟში'' გამოტანითაც გამოჩნდა. დეზინფორმაციის გასავრცელებლად სწორედ ასეთი ტელევიზიები რომ გამოიყენება, ''მოდელირებული ქრონიკის'' მაგალითითაც ვიცით. ''სპეცსიცრუის'' ეს რუბრიკა ხალხის ''ნერვების დასაგლეჯად'' მოიფიქრეს. ''დავალება გაიცა'' და ''ტახიროვიჩმაც'' შეასრულა! როგორ და ''რა პროფესიონალიზმით''— ეს მაყურებლმა შეაფასოს?!



„ტელემაგნატ'' გიორგი არველაძის ''უბადლო ნიჭის მიგნებაა'' ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონ-გუზინსკის ''ნუგზარ I''- ად გამოცხადება. ეს ''ტელე-ტრიუკიც'', ''მავანთა I-ობის'' გადაფარვის ერთობ უხეირო პარალელი გამოვიდა. ყველა ნაცადი ხერხი გამოიყენეს: ''შორენა ბეგაშვილის'' შიშველი ტორსის ''გაელვებით''დაწყებული, ''სიმართლის დროიდან'' საგულდაგულოდ შემონახული კადრებით'' და '''გვირგვინების ხტუნაობით'' გაგრძელებული. დაშლილი საქართველოსა და ერეკლე II ცარიელ სავარძელში მოკალათებული გოდერძი შარაშიას ''ისტორიული წიაღსვლებით'' დამთავრებული. ერთ დროს ობიექტურ შარაშიას ადრე თავისვე მომზადებულ ''ჟურნალისტის დღიურში'' წარმოდგენილი თემა და ''სპეცრეპორტაჟის'' მასალია ''პირველი ჩვენების'' ასეთი საპირისპირო როგორ გამოუვიდა? ''დიდი მიგნება'' იყო თამთა სანიკიძის მიერ განსაკუთრებული დიქციით, ''ხელით ნაქარგ კორსეტსა და რძისფერ კაბაზე'' გაკეთებული აქცენტიც. ''გრუზინსკების'', ''იმერეტინსკებისა'' და ''მუხრანსკების'' ე.წ. ''რუსული დაბოლოებების'' ხაზგასმა და ''მონარქიის იდეაშიც'' რუსული კვალის გამოკვეთა.



ამდენი ''ვაი-ვაგლახით'', საზოგადოებისთვის ''სამეფო ტახისთვის მოჩხუბარი ბაგრატიონების უვარგისობის სპეცტენდენციაც'' და ბაგრატიონთა ყველა შტოს ერთმანეთზე გადაკიდების მცდელობაც გამოჩნდა. გაიოზ მამალაძისგან, სიძე-სიმამრს შორის ''ბავშვით ვაჭრობის'' ყურის მოსაკრავად ''სხვათაშორის'' ჩაგდებული ფრაზაც, არველაძის ''მიგნება'' უნდა იყოს. ბაგრატოვანთა სისხლით ნათესაობის ქორწინების საკითხიც ''სხვათა შორის'' შეაპარეს ყურს. დაინტერებული მხარის (სამეფო კლუბის სპიკერის) კომპეტენტური მოსაზრებებიც მოგვასმენინეს და ჟურნალისტ მანანა ხომერიკისაც, რომლებიც ''შორენავიზიის'' ჟურნალისტების მსგავსად ''პირველ და მეორე ჩვენებებში იჭრებიან'', ცნობილია, რომ, აწ ''სამეფო კლუბის'' სპიკერი გაიოზ მამალაძე, პერიოდულად ბაგრატიონთა ხან ერთ და ხან მეორე შტოს უჭერს მხარს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გაზეთ ''მეფე-მახვილი მესიისაში'' გამოქვეყნებულ მის ზოგიერთ ადრინდელ მოსაზრებას: ''ქართული ლეგიტიმიზმის პრინციპი-სამეფო გვარში გადადის მხოლოდ მამრობითი ხაზით (ასევეა სხვა გვარებშიც). **ქართულ ლეგიტიმიზმში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მამრობით სქესს და გენებს.**'' აქამდე ჩვენც ვეთანხმებით. შემდეგ ვკითხულობთ: ''ქართული ლეგიტიმიზმი ცნებას ''უკანონო შვილი'', ''უკანონო ბატონიშვილი'', ''უკანონო ბაგრატიონი'' არ ცნობს.''. . ''ყველა ბაგრატიონი მოდის ლაშა-გიორგის ძის ულუ დავითისგან, რომელიც ლაშას სხვისი ცოლისგან ჰყავდა, მაგრამ მისი ან მისი შთამომავლებისთვის უკანონო არავის უკადრებია''. თუ ისტორიკოს მამალაძის სიტყვებს დავეყრდნობით —'' სამეფო ხაზი გადადის მხოლოდ მამრობითი ხაზით'', ეს თამარის შვილების (იგივე ლაშა-გიორგის) არაკანონიერებამდეც მიგვიყვანს და მამალაძის მოსაზრებასაც, რომ ''**ყველა ბაგრატიონი მოდის ლაშა-გიორგის ძის ულუ დავითისგან**'' წინააღმდეგობაში აგდებს. ვინაიდან, ''ლაშა-გიორგიც და მისგან წამოსული ყველა მემკვიდრე ბაგრატიონებიც, ლაშა-გიორგის მსგავსად (ქალის ხაზის გამო) უკანონო გამოდიან. სამეფო კლუბის სპიკერი მამალაძეც, სანამ სარგის თმოგველის სიტყვებს მოგვიყვანდეს მაგალითად, იქნებ რუსთაველის **''ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია''** გაეხსენებინა?! ბბურბონებისა და უინძორების დინასტიებიც ქალის ხაზით ბევრჯერ გაგრძელებულა. ხომ არ ავიწყდება, ამ სამეფო სახლების ჩვენთან რელიგიური განსხვავება?! იქნებ საქართველოს დინასტიურ ქორწინებაში რელიგიურ მომენტს უარყოფს? იქ საუკუნეებია ბიძაშვილ-მამიდაშვილებზეც ქორწინდებიან ჩვენგან განსხვავებით.



გაიოზ მამალაძეც, ასე გულდასმით, ქალის ხაზით გაგრძელებული მემკვიდრეობის ''უკანონობას რატომ ეჭიდება'' და ''უკანონოდ გაჩენილი'' ტახტის მემკვიდრეების კანონიერებას'' ასეთი თავგამოდებით რატომ იცავს? იგივე სტატიაში: ''იმერეთის დიდებულებმა დაამხეს იმერეთის ტახტზე უკანონოდ ასული, **არაბაგრატიონი უზურპატორი,** გიორგი გურიელი, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ქართლში მძევლად იყო და თავი მეფედ გამოაცხადაო''. ანუ მამალაძე ''უზურპატორად'' ბაგრატოვანთა ტახტის-(ადგილის) უკანონოდ დამკავებელს თვლის. ვეთანხმებით. რას ფიქრობს ბატონი გაიოზი, ბაგრატიონთა გვარის უკანონოდ მითვისებაზე? მალანიებს არ ჰქონიათ სამეფო ტახტზე ასვლის უფლება, ბატონო გაიოზ და ''გლუშკოს'' ''სათავადაზნაურო საკრებულოს'' სახელით საუბრის აქვს? (დავით ნარინის (მამით სელჯუკი) შთამომავალთა მეფობა ექვს თაობაში, როგორც აღმოსავლეთ ასევე დასავლეთ საქართველოს ტახტზე მათი ლეგიტიმური მმართველობა (თითქმის 200 წლის განმავლობაში) გაგრძელდა. რა, ეს მეფეები ბაგრატიონი მეფეები არ იყვნენ? ქალბატონ იას, არანაირი უფლებამოსილება არასდროს ჰქონია მინიჭებული, არც სამეფო სახლისგან და არც საგვარეულოსგან. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: ონფორმაციის გამჟღერებლად წლების განმავლობაში, მაინცადამაინც ქალბატონი ია რატომ გვევლინება? მას არც სამეფო სახლთან და არც საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებთან არანაირი კონტაქტი აქვს. მას ჯერ კიდევ 1995 წელს პატრიარქის კურთხევით დაარსებული ''ბგრატოვანთა სახლი'', რომელიც საგვარეულოს ყველა წარმომადგენელს აერთიანებს პროსესტით დაუტოვებია და სანაცვლოდ მას, ე.წ.''სათავადაზნაურო საკრებულო'' შეუქმნია. მიუხედავად ამისა, ქალბატონი ია, დღემდე თავს უფლებას აძლევს მთელი საგვარეულოს სახელით ისაუბროს. სახლის მეთაურად ყველა შტოს მიერ, ბატონიშვილი ნუგზარ გარატიონია აღიარებული. იგივე მამალაძის ''გენეტიკური კუთვნილების თეორიის'' პრინციპით, ირანის შაჰის მიერ, (თეიმურაზისთვის ''უზურპაციით'' წართმეულ ტახტზე) ქართლის მეფედ დასმული (უშვილო) მუსლიმი როსტომ-ხანი და მისი შვილობილი ბახუტა მუხრან ბატონიც ''**ბაგრატიონთა გენის უზაურპატორად**'' უნდა განვიხილოთ თუ არა? ბახუტა მუხრან-ბატონის შთამომავლებს, როსტომ-ხანთან არაგენეტიკური კავშირის გამო, თუ ''**გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მამრობით სქესს და გენებს'',** ბაგრატოვანთა ტახტის მემკვიდრეობა ეკუთვნის თუ არა? (47 წლის განმავლობაში ასული მხოლოდ 7 მეფე, რომელთაგან არცერთი მირონცხებით ტახტზე არ ასულა, ამაზე რას იტყვის მამალაძე???) ქრისტიანული წესით როსტომ-ხანთან კავშირის გამო, თუ ''**გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მამრობით სქესს და გენებს'',** ბაგრატოვანთა ტახტის მემკვიდრეობა ეკუთვნის თუ არა? თანაც, როცა პარალელურად ამისა, შაჰის მიერ დევნის ქვეშ იმყოფება უკვე სვეტიცხოველში ქართლ-კახეთის მეფედ მირონცხებული მეფე თეიმურაზ I ???

რუსეთის მაგალითზე, ქალის გამეფების პრინციპის უარყოფაშიც გეთანხმებით, მაგრამ სწორედ რუსეთის საიმპერატორო კარის მეთაურად აღიარებულ მარია რომანოვას პროექტია ბაგრატიონ-მუხრანელების ქართლის მეფეებად გამოცხადება. დავით ბაგრატიონ-მუხრანელსაც თავისი ''არსებობის მანძილზე იმიტომ ესმოდა სამეფო სახლის მეთაური რომ იყო'', რომ რომანოვებს, თქვენისთანა ისტორიკოსებსა და ''სათავადაზნაურო საკრებულოს'' წარმომადგენლებს გაწყობდათ ასე. პირადი პოლიტიკური მოსაზრებით, შეცდომაში შეგყავდათ და უმყარებდით დავითს ამ პოზიციას. უკვე პარტიად ჩამოყალიბებული ''სამეფო გვირგვინიც'', ჩანს პოლიტიკური ქულებისთვის და ხელისუფლებაში ამ ფორმით მოსასვლელად გინდათ. **რატომ ითავა ბაგრატიონთა ქორწილის მოსაწვევების ნაწილის დარიგება ია მუხრანელმა და დარიგებულ მოსაწვევებთან ერთად, საჩუქრის 50 ლარის დადებას რატომ სთხოვდა სტუმრებს? ეს თანხებიც ''სამეფო გვირგვინის'' პარტიის საქმიანობისთვის წარიმართა?!** დინასტიის აღდგენა საქართველოსთვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვაა და არა პარტიული საქმიანობა. მეფე პარტული ვერ იქნება!!! 90-იან წლებში არსაიდან აღმოცენებული ''ცეკას კომბრიგადირი'', ბაგრატიონ-მუხრანელად წოდებული და ''თავდაზნაურთა საკრებულოს'' სათავეში მოქცეული, ქალბატონი არაერთი პირის მსგავსად, ვინ და რატომ შემოაგზავნა ეროვნულ მოძრაობაში იმ წლებში, დავინტერესებულვართ? ტენდენციურობით გამორჩეული ''შორენავიზიის სპეცრეპორტაჟში'' არც ქალბატონი იას ''სლავური დაბოლოვება'' და არც შაშკინის, არავის რომ გახსენებია, არ გაეჭვებთ? დავით მუხრანელი თავის თავის სამეფო სახლის მეთაურად მიჩნევით და შვილისთვის სამეფო გვარის არმიცემით, დინასტიურ სამართალზე დაუქვემდებარებლობით თავის ბაგრატიონულ წარმომავლობასაც ჩირქს რომ სცხებს არც ეს ესმის გაიოზ მამალაძესა და ქალბატონ გლუშკოს? ისევ თმოგველზე დიდი უფრო დიდზე თუ არა, არანაკლებზე, რუსთველისეულ ''მაღალი, უხვი, მდაბალის'' (თავმდაბლობის) მეფურ თვისებაზე შრგახსენებთ. თუ ქორწინების მიზანი ორი დაპირისპირებული დინასტიის გაერთიანება იყო, მაშინ ''სხვათა შორის'', ''განხეთქილების ვაშლს'', გაიოზ მამალაძე რაღატომღა აგდებს? მლიქვნელობაა, ჩვილ გიორგიზე საზოგადოებისთვის ''გულის ამაჩუყებელი'' ტექსტებით საუბარი. იქნებ ისიც თქვათ, რომ ნუგზარ ბატონიშვილზე მეტად თქვენ გსურთ ახალშობილის სამეფო მემკვიდრედ აღიარება? ქალბატონ იას (გლუშკოს) მიერ ბაგრატოვანთა სახელით განცხადებების კეთებას, წლების განმავლობაში ბატონიშვილისთვის უძეობის დაყვედრებას, მამალაძის მიერ სამეფო მემკვიდრეობაში ქალის ფაქტორის უხეშ დაკნინებას ერთადერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ის, რომ ბაგრატიონ-გრუზინსკების ლეგიტიმური შტო დასრულებულად იქნეს გამოცხადებული. რიგში კი, რაღაც გაურკვეველი ''ორდენებითა და ტამპლიერებით'', ბაგრატიონ-მუხრანელები დააყენონ. **(ამ ორდენებთან ურთიერთობაზე, საპატრიარქომაც და ბაგრატიონ-გრუზინსკების ოჯახმაც, კატეგორიული წინააღმდეგობა გამოთქვა.)** ბაგრატიონთა დინასტიის წევრები საგვარეულოს ყველა განშტოებას წარმოადგენენ და ერთსულოვანნი არიან ძირითად შიდადინასტიურ საკითხებთან მიმართებაში. მკაცრად იცავენ საგვარეულოში ლეგიტიმურ პრინციპებს, რომლებიც ემყარებიან ისტორიულ და გენეალოგიურ საფუძვლებს. ამ ''კოალიციის'' ქმედება, ბაგრატიონ-გრუზინსკების კანონიერებას და მუხრანელების მიერ სამეფო უფლებების უზურპირებაში ხელწყობას უნდა ემსახურებოდეს. იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში დარჩენილი ტახტის ბოლო მემკვიდრე, ბატონიშვილი პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი 1946 წელს დახვრეტის მუხლით დააპატიმრეს, გერმანიაში, ბერლინში, 1942 წელს ქართველ ტრადიციონალისტთა კრებაზე დაფუძნებულმა ''მონარქისტულმა კავ-

21 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ivaniSvili aJiotaJs qmnis



**ბიზნესმენ ივანიშვილის ღია წერილს ექსპერტთა შეფასებები და კომენტარები მოჰყვა. უმრავლესობისთვის ის უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა და იმის აშკარად მაჩვენებელიც. რომ ბიძინა ივანიშვილი უკომპრომისო ბრძოლისთვის ემზადება.**

„ერთი რამ მაღელვებს – მან მეტისმეტად „გადაუარა“ ჟურნალისტებს. შეუძლებელია, ჩვენს პირობებში იდეალური ჟურნალისტები არსებობდნენ. და ასეთ ვითარებაში, არ ვიცი, რატომ დაეთმო ამას ამდენი ყურადღება“, – აღნიშნავს პოლიტოლოგი გოგი ხუციშვილი.

ივანიშვილის განცხადებას შესაძლო და შეუძლებელ პარტნიორობაზე, პოლიტოლოგი ასეთნაირად აფასებს:

„ახლა, ამ ეტაპზე მას ყურადღების მიპყრობა სურს. იგი შოკისმომგვრელ განცხადებებს ყურადღების მისაპყრობად, მასობრივი მხარდაჭერისა და აჟიოტაჟისთვის აკეთებს. სხვანაირად ეს შეუძლებელი იქნებოდა და იგი პოლიტიკურადაც და პიარის თვალსაზრისითაც გამართლებულია. უცნობია უმთავრესი რამ – როცა პარტია შეიქმნება, რა პლატფორმით შევა ხალხი. ჯერჯერობით მხოლოდ ზოგადი ფრაზები მოვისმინეთ, მაგრამ უნდა დაგვანახვონ ალტერნატიული მიდგომა, ალტერნატიული სტრატეგია და იმის გეგმა, რომ ქვეყანა განვითარდეს, უფრო დემოკრატიული გახდეს, გამყარდეს ეკონომიკა... ყველაფერს მეცნიერული საფუძველი სჭირდება, რათა ხალხმა ამ პლატფორმის სერიოზულობა დაიჯეროს“.

შეკითხვაზე, რამდენად არის შესაძლებელი, რომ ივანიშვილმა ხორცი შეასხას „ქართულ ოცნებას“, პოლიტოლოგი პასუხობს:

„ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, დასკვნები ნაადრევია. ჯერჯერობით მისი განცხადებები თავდაპირველ შეფასებებად მივიღოთ“.

# biZina ivaniSvili: saqarTvelos SeuZlia saerTo interesebi monaxos ruseTTan

**საქართველოს შეუძლია თავისი ინტერესები რუსეთისას დაამთხვიოს, თუკი სწორ ნაბიჯებს გადავდგამთ – ეს განცხადება ბიძინა ივანიშვილმა ღეუთელშ-თან ინტერვიუში გააკეთა.**



ივანიშვილის განცხადებით, თუკი ის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებს, იგი მოსკოვთან დიალოგის განახლებას აპირებს.

„მე შევძლებდი მომეძებნა ისეთი კომპრომისი და მიმეღწია საქართველოს შეესრულებინა ისეთი როლი, რომელიც მისაღები იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ევროპისთვის და რუსეთისთვისაც“, – აღნიშნა ბიზნესმენმა.

მან შეგვახსენა, რომ უახლოეს წლებში მსოფლიოს ისევ მოუწევს ურთიერთობა ჰქონდეს პირველ რიგში პუტინთან. სწორედ მისგან მოელის რუსეთში კორუფციასთან უკვე მომწიფებული ბრძოლის წარმატებულ შედეგს.

„რუსეთის საზოგადოებას, რუს ხალხს მოსწონს ეს ადამიანი და ეს მათი საქმეა, მათი არჩევანია, თუმცაღა ევროპისთვისაც, ცივილიზებული სამყაროსთვისაც უფრო დემოკრატიული რუსეთი იქნებოდა საინტერესო“, – განაცხადა ივანიშვილმა.

თვითონ კი აპირებს ევროპა დემოკრატიის დონით „გააოცოს“. „შეიძლება მართლაც ევროპაც გავაოცო, ისეთი დემოკრატია შევქმნა საქართველოში... ისეთი ჭეშმარიტი დემოკრატია, რომ ევროპელებსაც კი გაუჩნდეთ სურვილი ინვესტიციების ჩადების საქართველოში“, – აღნიშნა ქართველმა მილიარდერმა REUTERS-თან ინტერვიუში.

# saqarTvelo aRadgens ruseTTan urTierTobas, Tu moskovi uars ityvis afxazeTisa da samxreT oseTis aRiarebaze

საქართველო რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას მას შემდეგ აღადგენს, რაც იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას გააუქმებს, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კვირის დასაწყისში გამართულ ბრიფინგზე. ასეთი კომენტარი გამოთქვა მან მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენას შეეხებოდა.

„რუსეთთან ურთიერთობა მას შემდეგ გავწყვიტეთ, რაც მოსკოვმა საქართველოს განუყოფელ ტერიტორიებზე დამოუკიდებლობა აღიარა.



ბიზნესმენი ივანიშვილი თავისი სამომავლო პოლიტიკური მოღვაწეობის პრიორიტეტად მოსკოვთან დიალოგის დაწყებას ასახელებს.

# saakaSvilis mowinaaRmdeges ruseTTan dialogi surs

მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა და ახლა საქართველოს პრეზიდენტის პარტიას 2012 წლის არჩევნებში პოლიტიკური ბრძოლის ველზე იწვევს, მოსკოვთან დიალოგის განახლებას დღის წესრიგის მთავარ ამოცანად მიიჩნევს.

რუსეთმა 2008 წლის ხუთდღიან ომში კი დაამარცხა საქართველო, მაგრამ ვერაფერს უხერხებს საქართველოს ურყევ ნებას (ამას ვერც მოსკოვის დასავლეთის მოკავშირეები ახერხებენ) და ვერ შედის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. კრემლს არაერთხელ მოუწოდებია პროდასავლური სააკაშვილის შეცვლის საკითხი, რუსეთის ლიდერები კი მოსკოვში დემონსტრაციულად მასპინძლობენ ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებს.

„ჩვენ შევძლებთ და საქართველოს და რუსეთის ინტერესებს ერთმანეთს დავამთხვევთ“, – განუცხადა ღეუთელშ ივანიშვილმა.

55 წლის მილიარდერი აქამდე საჯაროობას გაურბოდა, ამჯერად კი უცხოური სააგენტოს ჟურნალისტი ინტერვიუზე მიიპატიჟა თავის თბილისურ ბიზნეს-ცენტრში, რომელიც იაპონელი არქიტექტორის შინ ტაკამაცუს პროექტით აშენდა და მისი მშენებლობა 50 მილიონი დოლარი დაჯდა.

პლანეტის უმდიდრეს ადამიანებს შორის 185-ე ადგილზე მყოფმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი პოლიტიკური ამბიციების შესახებ წინა კვირას ამცნო საზოგადოებას, რომელსაც სააკაშვილის გადაგომისკენ მოუწოდა.

იუსტიციის სამინისტრომაც არ დააყოვნა და მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა. შესაბამისად, ივანიშვილს აღარ აქვს უფლება შექმნას პოლიტიკური პარტია და არც არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია.

„ისინი ცდილობენ ჩამომაშორონ პოლიტიკურ პროცესებს, მაგრამ მე არ ვაპირებ გაჩერებას“, – განაცხადა ივანიშვილმა. „არჩევნებს, რომლებსაც ესენი აპირებენ ამ გზით – ჩემი გათიშვის გზით ჩაატარონ, ასეთი არჩევნები ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება...“ – დასძენს იგი.

ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა პირადად მიხეილ სააკაშვილმა მიანიჭა მას შემდეგ, რაც ბიზნესმენი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა. ეს იყო 2004 წელს.

# saqarTvelo unda Camoyalibdes qveynad, romelTanac molaparakebebi SesaZlebelia

საქართველომ უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან – განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ სააგენტო ღეუთელშ-ისთვის ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს კომენტირებისას.

მისი თქმით, ამ თემას ის განიხილავდა ივანიშვილთან პირველი შეხვედრისას და მხარეების მოსაზრებები იმის შესახებ, რომ რუსეთი საქართველოს მთავარი გამოწვევაა, დაემთხვა.

„საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს ისეთ ქვეყნად, რომელთანაც შესაძლებელი იქნება მოლაპარაკებების გამართვა და ჩვენ ამ გზას არ გადავუხვევთ“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

# ivaniSvilma Tavisi bankis xelmZRvanelad erovnuli bankis eqs-prezidenti daniSna



**საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა (იგი ბანკს 1993-1998 წლებში ხელმძღვანელობდა) დატოვა ოპოზიციური „ეროვნული ფორუმი“ და მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მფლობელობაში არსებულ „ქართუ ჯგუფს“ ჩაუდგა სათავეში. ჯავახიშვილმა ამის შესახებ თავად განუცხადა ჟურნალისტებს თბილისში ბიზნესმენ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ.**

„ეს გადაწყვეტილება მიღებულია „ეროვნული ფორუმის“ ლიდერებთან გამართული კონსულტაციების შემდეგ. ლიდერებმა მოიწონეს ეს იდეა“, – განაცხადა ჯავახიშვილმა, რომელიც „ქართუ ჯგუფში“ მუშაობას ორშაბათიდანვე შეუდგა (ეს არის ჰოლდინგური კომპანია, რომელიც ძირითადად საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებს და ბანკი „ქართუც“ მის შემადგენლობაში შედის).

„ეროვნული ფორუმი“ და ბიძინა ივანიშვილი შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ. ამის შესახებ განცხადება ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ მილიარდერთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

რაც შეეხება ერთიანი პოლიტიკური ბლოკის შექმნას, სანიკიძის თქმით, ამ საკითხზე მსჯელობა არ გამართულა.

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გულბაათ ჭავჭავაძემ.**

თეა კანდელაკი

# ixTios - NIKA!!!

დღეიდან ვიწყებ ახალ ცხოვრებას სულიერ გზაზე, რადგან დაღლილი ვარ საკუთარ სულის ჭიდილით. სად არის ნათლის, სიკეთის და გზა სათნოების?! მხოლოდ ტაძარში, სადაც მეფობს ჭეშმარიტება!

... ამავდროულად, მე „ტაძრიდან" გამოვიქეცი. ტაძარი, უფრო დამონებულ სულებს რომ ეპყრათ ოცდაათ ვერცხლის მოლოდინით ხმა გაკმენდილებს, თეთრის მაგივრად ნაცრისფერი მანტია ეცვათ... და არც ემოსათ ტანს ნათელი ჭეშმარიტების, მათ შიშისფერი გადაჰკრავდათ შემკრთალ სახეზე. კვლავ რომ ვიხილე, განრისხებულს მომილბა გული და სიბრალულის ნიაღვარმა ხეთქა თვალებზე...

... და მე გავშორდი მათ, ისევე ჩუმად და უხმოდ, ან, კი, ამ წუთას კაცის ენით რა უნდა მეთქვა?! უფლის სამოსში გარეგნულად შებურდნილიყვნენ, სულის სიღრმეებს კვლავ მონობის კერპები ფლეთდა.




... და დამიმწუხრდა გული, თითქოს ამ საწუთროში, მხოლოდ ორპირთა და სულმხდალთა ჩრდილები მერტყა. აჩრდილებს მახსოვს ბავშვობიდან ვერიდებოდი, დიად ნათელთან კი, საკმაოდ გრძელი გზა მეკლდა...

და მე სულ მარტო, მტვრის სულ ციდა ნამცეცის დარად, ამაოების უსასრულო სივრცეში დავფრენ

და ველოდები ჩემი ღმერთის ბუკს და ნაღარას,ზეცის მხედრიონს, უსპეტაკეს თეთრ ფრთათა აფრებს...

... მივდივარ, ვხედავ ხელგაშლილი გზად ჩემი ჩრდილი - ცად აღმართული ჯვრის სახით რომ ნაბიჯით მისწრებს და ვხედავ სავალს, იმ ტაძრისკენ ღმერთმა რომ მომცა და ვხედავ ნავალს, რომელ გზაზეც უფალი მიცვეს.

ოხ, ეს გზა უფრო ფართე არის და გაკვალული. ოცდაათ ვერცხლის ჩხრიალი ხომ კვლავ სწვდება სმენას!.. ისევ გოლგოთა?! ისევ ულვთოდ წამება ღმერთის?! კმარა!!! შეჩერდი შე ცოდვილო კაცთა გონებავ!!!

ეკალ-ბარდები ერთხელ შენც ხომ უნდა იგემო, თუ ამ საწუთროს გვირგვინი შუბლს რა მწარედ კენწლავს...

ის გზა კი, სადაც ჩემი ჩრდილი ნაბიჯით მისწრებს, ხელებგაშლილი ჯვრის სახით რომ მომავალს ხეთქავს - გზა არის ღვთისკენ შეუმცდარი, თუნდ ძნელ სავალი, ჭეშმარიტების ბილიკით რომ მიაღწევს მწვერვალს!!!

... წინ-წინ მივიწევ, ვუმკლავდები შემხვდურ ქარიშხალს და ამაოთა-ამაოებას ვსრეს ფეხშიშველი. მკაწრავი ეკლით მესერება გულები ფეხის და უფრო მეტად შევიმეცნებ ვარ ფრთებ-შიშველი.

ამ უკუღმართი რბოლის გამო არ მესხმის თავბრუ და ვარ ისეთი რეალური როგორც არასდროს და მებრალება ხალხი ჩემს წინ მობორიალე ყალბმა ქებამ და ტაშისცემამ როგორ დაათრო...

და არეული ჭკვა-გონებით თავს სწევენ მაღლა, ჟირაფებს გვანან დაწვრილებულ ყელ-კისრის ძვლებით... მაგრამ საყრდენი?! - საყრდენი ხომ ვერ იტევს ამდენს. თავს ვერ იმაგრებს აშოლტილი ლერწამის დარად ... და წაგრძელებულ კისრებს ზემოთ მჩატეზე მჩატე, ქანაობს თავი - როგორც თეთრი ბაბუაწვერა...

და თან გყვერდრიან: - შენ არა ხარ ამ წრის და რჯულის, ვერ ეთვისები მათ კანონებს წესსა და ყოფას და ვინც შეგიცნო, მაინც არ გცნობს, დასძლია შიშმა, მხარს ვერ აუქცევს მასების და ძალების ფლობას...

მაგრამ სიმართლე კვლავ შორია, ო, რარიგ შორი - ამაოების ამაოთა ილუზიისგან. ერთი „ვაი-რა" სიგელს აძლევს მეორე „ ვაის", მესამემ - უხვად დაარიგა ქებათა-ქება, მეოთხე აგერ გაბღენძილი სცენაზე დადის... რა თავმდაბლობა?! რა სინდისი?! რა უფლის ვნება?!!

მოკლე არისო ეს საწუთრო, გაიგო ხალხმა, წინ-წინ გაქუსლეს, ერთმანეთი ტკეპნეს და თელეს, დუჟმორეულზე ზოგი უფალს შეეხო ურცხვად... ვეღარ გაიგეს კაცი იდგა მათ წინ თუ ღმერთი...

და ვდგევარ ტაძრის ჩამონგრეულ, დალეწილ კართან. კრძალვით შევდექი, დავიჩოქე ხავსიან ზღურბლთან... და ისე, როგორც არასდროს უწინ, ძლიერ მომინდა ჩურჩული ღმერთთან.

დღეიდან ვიწყებ ახალ ცხოვრებას სულიერ გზაზე, რადგან დაღლილი ვარ საკუთარ სულის ჭიდილით. სად არის ნათლის, სიკეთის და გზა სათნოების?! მხოლოდ ტაძარში, სადაც მეფობს ჭეშმარიტება!

07/31/2011

აშშ, ნიუ-იორკი

19 gv.

შირმა" სამეფო ტახტზე ორ კანდიდატი წარადგინა. (კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი გახლდათ) არჩევნებზე წარდგენილ გენეალოგიურ ტაბულაში თავადი ირაკლი სამეფო ტახტზე თავის პრეტენზიის განსაცხადებელ საბაბად იყენებდა მის, როგორც ერეკლე II-ის მე-9 ქალიშვილის ბატონიშვილ ქათევანის გენეტიკურ ჩამომავლობას. ქეთევან ბატონიშვილის მეუღლემ,(იოანე ბაგრატიონ-მუხრანელმა) **როგორც ერეკლეს სიძემ და პირადმა რწმუნებულმა**, ბეჭდითა და ხელმოწერით დაამოწმა "გეორგიევსკის ტრაქტატის" მუხლი, **სადაც აღნიშნული იყო, რომ ერეკლე ტახტის მფლობელად, მისი შთამომავლები კი ტახტის მემკვიდრეებადაა აღიარებული**. ამ ***ხელმოწერითა და ბეჭდით, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის წინაპარმა, ხაზი გაუსვა საკუთარ და თავის შთამომავალთა ერეკლე მეფისადმი და მისი მემკვიდრეებისადმი კანონიერებას და უპირატესობას ბაგრატიონთა სხვა შტოებთან მიმართებაში***. (აქაც ქალის ხაზის გამო, ბატონო გაიოზ.) ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელმა, რომელიც, ფაქტობრივად, ერეკლეს "ქალიშვილის ხაზს ჩაეჭიდა", გამოდის, რომ თავისივე წინაპრის ხელმოწერა უარყო? მეორე კანდიდატი ერეკლეს მე-5 ქალიშვილ, ბატონიშვილ მარიამზე დაქორწინებული დავით ციციშვილის მემკვიდრე, თავადი სიმონ ციციშვილი იყო. (აქაც ქალის ხაზი) მან კანდიდატურა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის სასარგებლოდ მოხსნა. ერთპიროვნული კანდიდატი ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი დარჩა. ამ ამბავში, ყველაზე საინტერესო ის კი არ არის, რომ ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელმა ფაქტობრივად თავი "აირჩია მეფედ". არამედ ის, რომ როგორც სჩანს, ამ "უზურპაციის" უკან მდგომ ბაგრატიონ-მუხრანელთა შტოს, ემიგრანტ რომანოვებთან ერთად, საქართველოსთან მიმართებაში, "სხვა გეგმები ჰქონდათ". **ამ "უზურპაციის" მესვეურთ, ვისგან, თუ არა მხოლოდ ბოლშევიკი ჩეკისტებისგან უნდა**



მუხრანული შტოს სამეფო შტოდ ხელოვნურად წარმოჩენა. რუსეთის იმპერია ყოველთვის, (ბოლშევიკების დროსაც) საქართველოს დაქუცმაცებას, განსაკუთრებით საქართველოსთვის ქართლის ჩამოცილებას ცდილობდა. **"თავადაზნაურთა საკრებულოს" წარმომადგენლისგან დინასტიური ქორწინებისთვის შერჩეული კანდიდატიც (არა იმერეთის, ბაბადიშების, დავითიშვილების, არამედ მაინცადამაინც მუხრანელების შტო) "ერთი დიდი თამაშის" ნაწილი უნდა იყოს.** სამეფო სახლის კანცელარიის №13 დანართშიც, (რომელიც 2010 წელს გაკეთებული განცხადების დანართია და რომელსაც პრესამ და მედიამ რატომღაც განცხადების სახე მისცა, ვერც სამეფო კლუბის ე.წ. სპიკერი ხვდება განსხვავებას) "პრიმაკოვის პროექტიც" ნახსენები ამიტომ იქნა. ცალ-ცალკე ნახსენები "ქართლისა" და "კახეთის" მეფეთა შტოების დინასტიური ქორწინებით შექმნილი ბაგრატიონ-ბაგრატიონის დინასტია, შესაძლოა, "დიდი მსოფლიო პოლიტიკის" თამაშშიც შედიოდეს. წინა ნომერში, ჩემს წერილში დაბეჭდილ, 1790 წლის "იბერიელთა ტრაქტატის" მიხედვით, საქართველოს კუთხის დიდებულებმა ერეკლე II-ს საქართველოს სუვერენობა მიიღეს. (ამით საქართველო ფაქტობრივად გაერთიანდა) ამერიკის იდეოლოგი ბზიგნევ ბზეჟინსკიც აღიარებს, რომ "ვინც ფლობს კავკასიას, ის ფლობს მსოფლიოს". შესაბამისად, ორ სუპერსახელმწიფოს შორის (საქართველოზე გავლით) კავკასიაზე ბატონობისთვის ბრძოლა გარდაუვალს წარმოადგენს. ჩვენ არ ვიცით, ჩვენს მიმართ ვის რა მზაკვრობა აქვს ჩაფიქ-

# `lekvi lomisa sworia, Zu iyos, Tunda xvadia~

**მიეღოთ დასტური შეეტყოთ, რომ ტახტის ნამდვილ მემკვიდრეს, ბატონიშვილ პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის წესით, ციხიდან ცოცხალს არავინ გამოუშვებდა!** ბაგრატოვანთა დინასტიის გამგრძელებელიც საქართველოში ცოცხალი ამიტომ აღარ ეგულებოდათ. მათ ვერ გათვალეს, რომ ახლობლების ძალისხმევით, ციხის ბადრაგმა ბატონიშვილ პეტრე პეტრეს ძეს წერილი შეუგზავნა. სადაც ეწერა, როგორ უნდა მოქცეულიყო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოსახვედრად. ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ იხსნა სამეფო ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი პეტრე სიკვდილისგან. პეტრე ბატონიშვილი 1984 წელს გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა ვაჟი ნუგზარი. ეს კი, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ მაშინ ბერლინში 1942 წელს დაწყებულ "სპეცოპერაციის" გეგმებში არ ჯდება. კირილ რომანოვისგან ბაგრატიონ-მუხრანელებისთვის ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო უფლებების "უზურპაციიაში" ხელშეწყობა მხოლოდ რუსეთის იმპერიიის (გინდაც ბოლშევიკურის) ინტერესს ითვალისწინებდა. მარია რომანოვას ლეგიტიმაციასაც, რომანოვთა სხვა შტოებიც, მხოლოდ ბებიის, ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანელის სამეფო ტახტის არალეგიტიმურობის გამო რომ არ სცნობენ. ჩემი თუ არ გჯერათ, აქ ნახეთ www. Newsland.ru/Detail/, ასევე Àí àñòàñèé Âî í ñÿòñêèé "Í åñî ñòî ÿâø àÿñÿ Êî ðî í àöèÿ", "Í î âàÿ Çàðÿ" þ Ñàí -Ôðàí öèñêî , ø òàò Êàëè-ôî ðí èÿ, ñåí òÿáðü ¹ 23 30. ბოლშევიკებისგან ასე გაყალაბებული ისტორიით ვკარგავდით ჩვენ საქართველოს მიწებს და გაიოზ მამალაძის განცხადებების მიზანიც, სჩანს, "ამ კვალს" მისდევს. თუ "სათავადაზნაურო საკრებულოს" წარმომადგენელი და მათი ისტორიკოსები აქ რაღაც "ზღაპრებს გვიყვებიან", ემიგრაციაში მცხოვრებმა რომანოვებმა იციან სიმართლე. მარია რომანოვას, როგორც რუსეთის იმპერიის წარმომადგენლის პირად ინტერესში შედის

რებული. რუსეთში რომანოვთა დინასტიის სავარაუდო აღდგენის საუბრებიდან გამომდინარე, შესაძლოა, "ქართულ მონარქიაზე" დაყრდნობით, სწორედ "მარია რომანოვას პროექტი" — ქართლისა და კახეთის სამეფოებად დაშლა გამოიყენონ და საქართველო გაინაწილონ. არც "სამეფო კლუბის" სპიკერი და არც "სათავადაზნაურო საკრებულოს" წარმომადგენელი, არ საუბრობენ ერთ ფაქტზე, რომ ქართველ მეფეთა სურვილის საწინააღმდეგოდ, მათ საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის გამო, საერთაშორისო ზეწოლით ( ევროპის ქვეყნების ინიციატივით და ქართველობის მიერ ზემოაღნიშნული საკითხის დაყენებით, 1899 წელს ჰააგაში სამშვიდობო კონფერენცია ჩატარდა) ნიკოლოზ II იძულებული გახდა 1907 წლის 19 დეკემბერს გამოეცა აქტი, რომლის საფუძველზე აღსდგა "გეორგიევსკის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება". საქართველოს სამეფოს მეფედ გამოცხადდა ერეკლე II-ის შვილიშვილისა და გიორგი XII-ის უმცროსი შვილის ილია ბატონიშვილის ჩამომავალის, ილია გრიგოლის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე ელისაბედ გრუზინსკაია. რუსეთის იმპერატორი ეშმაკურად მოიქცა. გიორგი XII-ის უფროსი შვილის, ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილის- პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ნაცვლად, მემკვიდრედ გიორგი XII-ის გარდაცვლილი შვილის ეროვნებით რუსი მეუღლე— ელისაბედი გამოაცხადა. როგორც ვნახეთ, **ტრაქტატი 1907 წლის აქტით აღმსდგარა**. მასში ცვლილებების შეტანა კი მხოლოდ **"ორთავ კერძოთა თანხმობით"** შეიძლებოდა. **"ორთავ კერძოთა" შეთანხმება არ მომხდარა.** შესაბამისად, აღდგენილი ტრაქტატის მიხედვით, სამეფო ტახტის მემკვიდრეებად ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შთამომავლები რჩებიან. რამდენადაც, აღდგენილი ტრაქტატი არარავის გაუუქმებია, ის დღესაც ძალაშია.

**ბაია ამაშუკელი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# adamianisTvis samSobloa da sulierebaa mTavari da ara misi aRmatebuleba _ fuli...

**გვესაუბრება ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მოძრაობა „სამშობლოს მაძიებლების“ ერთ-ერთი ლიდერი ვახუშტი ფარცვანია.**

**— ბატონო ვახუშტი, თითქმის ყველას ვეკითხები, ყველას აზრი მაინტერესებს, თქვენც გკითხავთ, როგორ შეაფასებთ ივანიშვილის გამოჩენას პოლიტიკურ არენაზე?**

— როდესაც გავეცანი ივანიშვილის მიმართვას, ერთი ფრაზა ჩამრჩა გონებაში, როგორც მეცნიერს, ანთროპოლოგს, მოძრაობა „სამშობლოს მაძიებლების“ ერთ-ერთ დამფუძნებელს. მან თქვა: მე მეკარგება სამშობლოო და როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს დეს, რომ სამშობლო, ერი, ადამიანი, სულიერება არის მთავარი და არა მისი აღმატებულება ფული, საშუალება, რომელიც დღეს მხოლოდ მიზნადაა ქცეული და ადამიანი კი მხოლოდ მის მონა-მორჩილად! მე კარგა ხანია პოლიტიკაში ვტრიალებ, ვიცნობ ყველა ე.წ. ოპოზიციური პარტიების სამზარეულოს, მაგრამ მათი პოლიტიკური ზრახვების შესახებ მე, ვახუშტი ფარცვანიას, არაფერი მსმენია, არც თვალით არ მინახავს მათი პროექტები, არასოდეს ყოფილა მათი პროგრამები საზოგადოებისთვის გამჭვირვალე. ყველამ კეთილი ინებოს და წარმოგვიდგინონ, თუ ასეთი რამ გააჩნიათ, ვინაიდან უკვე დამთავრდა ყელყელაობისა და პოლიტიკური დახლიდარობის დრო!



ბიძინა ივანიშვილმა სასწორზე შემოდო თავისი თავი, ოჯახი, შვილები, ბიზნესი. მეორე მხარეს მამულიშვილობა, სამშობლო და ა.შ. ამიტომ სწორადაც მიმართავს პარტიებს კითხვებით და, რაც მთავარია, გამჭვირვალე გახადონ თავიანთი დაფინანსების წყარო.

რაც შეეხება რესპუბლიკურ პარტიას ამ პარტიაში ბევრს ვიცნობ, ბევრ საპატივცემულო ადამიანს მათ შორის, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ მათ 0,8 მაქსიმუმ, 1 პროცენტიანი რეიტინგი აქვთ საქართველოში. თუ რატომ ამოირჩია ეს პარტია ივანიშვილმა ამაზე სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ, მაგრამ იმედია ყველაფერი იდეის უკვდავება მაინტერესებს, სხვა არაფერი.

მოგახსენებთ, რომ ყოველივე ახალს სკეპტიკურად ვუყურებ და ხბოს აღტაცებით არასდროს შევხვედრივარ რაიმე ახალ წამოწყებას. მაგრამ ამ შემთხვევაში დადებითი განწყობა დამეუფლა, მჯერა ბატონი ბიძინასი. მიმაჩნია, ეს ადამიანი არ ეკუთვნის იმ კატეგორიას, რაც უხვად არის წარმოდგენილი ქართულ სინამდვილეში.

იმედია, რომ ის პოლიტიკურად გაცვეთილ სახეებს, პოლიტიკურად გახრწნილ სუბიექტებს, საქართველოს დამღუპველი ინტელიგენციის ნაწილს არ დაიყენებს გვერდით პირველ ეტაპზე, მაგრამ ასეთი ნაბიჯი არ უნდა ნიშნავდეს სამუდამოდ წყალგამყოფი პოლიტიკის გატარებას. არამედ საქართველოში თითოეულ მოქალაქეს, მართალსაც და მტყუანსაც, საბოლოოდ საშუალება უნდა მიეცეს მონანიების, ბოდიშის მოხდისა და თვითრეალიზაციისთვის. ერთხელ და სამუდამოდ, საქართველოში უნდა დამთავრდეს თაობათა და საზოგადოების ფენებს შორის დაპირისპირება, უნდა აღდგეს ყველა ჩატეხილი ხიდი, უნდა გამთლიანდეს საზოგადოების გახლეჩილი ცნობიერება.

ერთ ფრიად საგულისხმო გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი: ბატონმა ბიძინამ რეგიონალურ პოლიტიკას განსაკუთრებული ყურადღება თუ არ მიაქცია და როგორც რეგიონებში, ისე სრულიად საქართველოს მასშტაბით ახალი, ღირსეული სახეები, ინტელექტუალური პერსონები არ წარმოაჩინა და გვერდში არ დაიყენა, მაშინ მხოლოდ ზოგიერთი ცოცხალ-მკვდარი ოპოციზიური ძალის მხარდაჭერით, მისდაუნებლიედ, იმედს გაუცრუებს საზოგადოებას და ქართველი ერისთვის ამ ახალ, უმნიშვნელოვანეს წამოწყებას, შეიძლება, სერიოზული პრობლემები შეექმნას.

**— დღეს ინტერნეტსივრცე გადავსებულია კომპრომატებით ივანიშვილის „გასაშავებლად“სხვადასხვა ბრალდებებით. ეს ნაცნობი ხელწერაა, დამეთანხმებით, ვის სურს მისი დამარცხება?**

— მისი დამარცხება სურს, პირველ რიგში, საქართველოს მტრებს, მაგრამ თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, ეს იქნება დიდი დანაშაული და ბრალი დაედება მთელ ქართველ ერს, თუნდაც პირადად მეც...

ბრალდებებს რაც შეეხება, ამ ხელისუფლებას რა ბრალიც მიუძღვის ქვეყნის წინაშე, მას ვერ გადასწონის ვერავითარი უსუსური კომპრომატი.

არა აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც მდგომარეობას. ეს მნიშვნელოვანი გზავნილია საზოგადოებისთვის, ხალხისთვის. მომწონს და სავსებით ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილს, რადგან დღეს მოაზროვნე ქართველი ადამიანისთვის არავითარი აზრი არა აქვს ასეთ ცხოვრებას და არსებობას. არარაობად ვართ ქცეული ამ მანქურთი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ალოგიკური, ამორალური და ქართული ცნობიერების ამომშანთველი სოციალური პოლიტიკის შედეგად.

ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ბატონი ბიძინას მხრიდან მართლმადიდებლური, მორალური სიმაღლიდან შეფასებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და ადამიანის ადგილი დღევანდელი საქართველოს მოცემულობაში. ის ამ განცხადებით დიდად გასცდა კლასიკური ბიზნესმენის სტატუსს და წარმოჩნდა სულიერი თვალსაწიერიდან, როგორც პატრიოტი ძირძველი ქართველი. სხვა ბიზნესმენებისგან მსგავსი შინაარსის მინიშნებაც კი არ მომისმენია სიცოცხლეში არასოდალაგდება და დრო ყველაფერს გამოაჩენს. ერთი რამ დანამდვილებით უნდა აღვნიშნო, რომ ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან, ძალიან ბევრმა პოლიტიკურმა სუბიექტმა (ოპოზიციაშიც და პოზიციაშიც) უნდა აგოს პასუხი საქართველოს მოსახლეობის ოცწლიან შეურაცხყოფაზე, ქართული ღირებულებებისა და ფასეულობების დევალვაციაზე, ტერიტორიების დაკარგვაზე, მოსახლეობის ტოტალურად გაღატაკებაზე, ამ უზნეო მთავრობის მოყვანაზე, მათთან ვაჭრობაზე, მილიონზე მეტ ემიგრანტ ქართველზე, ათეულ ათასობით დაღუპულ და დაპატიმრებულ უდანაშაულო მამულიშვილზე, ეკონომიკის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების მოშლაზე და ა.შ.

**— ბოლოს და ბოლოს თქვენ, ვინც არაერთხელ ამხილეთ ოპოზიცია უმოქმედობაში, არაკეთილსინდისიერებაში, დღეს რა განწყობა გაქვთ. რას მოელით ამ ახალი პოლიტიკური ინიციატივისგან?**

— მე ჩემი სამშობლოს, ერის, ჩვენი მომავალი თაობის კეთილდღეობა, ქართული

**ანა ვადაჭკორია**

# qalaqis meria axali gadasaxadis SemosaRebad emzadeba?!





თბილისელებზე მზრუნველმა მერიამ სოციალურად გაუსაძლის პირობებში გაზრდილი გადასახადები ქარბორბალასავით დაგვატეხა თავს. 80 თეთრამდე გაძვირებულ სამარშრუტო ტაქსებში მერიის მიერ გაპიარებული შეღავათებით ღატაკი მოსახლეობა დღემდე ვერ სარგებლობს, ელექტროენერგიაზე მიბმულ ნაგვის გადასახადს კი ხალხი გასამმაგებულად იხდის. სხვათა შორის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ჩემმა რესპონდენტმა ამ „წარმატებულ“ პროექტს — ელექტრონერგიისა და ნაგვის გადასახადის ჯამს არცთუ უსაფუძვლოდ ნაციონალური მოძრაობა უწოდა. ახლახან ერთი ნაცნობი შემხვდა და მკითხა — ყველაფერზე მრიცხველები დაგვიყენეს — დენზე, ნაგავზე, წყალზე და თუ იცი ცხვირზეც ხომ არ გვიპირებენ მრიცხველების დაყენებასო? მერიაში გარკვეული ჯგუფი არსებობს, რომლებიც ახალ-ახალ გადასახადებს და მოსაკრებლბს იგონებენ, რომლებიც მსგავს ნოვაციებში ჯილდოდ პრემიას იღებენ. ჩემი ინფორმაციით, გადარეული თბილისის მერია ახალა ინოვაციისთვის ემზადება და თბილისში დარჩენილი ერთადერთი დაუბეგრავი სეგმენტის ჰაერის დაბეგვრას აპირებს. მერიაში თურმე ინტენსიური მუშაობა მიდის, მერიის „გონიერი ნაწილი“ დღე და ღამეს ასწორებს იმის ფიქრში, თუ როგორ დაუბეგრონ მოხმარებული ჰაერი თბილისელებს და შემოსულ სტუმრებს. თურმე ყველა მოქალაქეს და შემოსულ სტუმარს ცხვირს გაუზომავენ და ცხვირის სიდიდის მიხედვით კოეფიციენტს შეუთავსებენ. ამ ნოვაციას შეიძლება რამდენიმე სირთულე ახლდეს — ერთ ერთი, რომ დიდი ცხვირის პატრონებს გადასახადიც მეტი მოუწევთ და მეორე — შემოსული სტუმრებისთვის ცხვირის გაზომვა ალბათ გარკვეულ უხერხულობებს შექმნის. თუმცა შესაძლოა ეს საქმე საბაჟოს სამსახურებს დაეკისროთ — სტუმრების ცხვირები იქვე გაიზომოს და შედეგი პასპორტში აღირიცხოს. აკი წარატებით აღრიცხა ხელისუფლებამ საქართველოს შემოსული 10 მილიონი ტურისტი და ცხვირის გაზომვა მითუმეტეს არ გაუჭირდებათ. მოსახლეობაში ყველაზე დიდი შეშფოთების მიზეზი ალბათ, მაინც საცხოვრებელი უბნების მიხედვით მოხმარებული ჰაერის კოეფიციენტის დაწესება გახდება. ამის პრეცენდენტი უკვე არსებობს, ბაგა-ბაღებში ფასები სწორედ უბნების მიხედვითაა გაზრდილი. გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ცხვირების სიდიდიდან გამოყოფილ თანხებს გოგა ხაჩიძე დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოახმარს. არ არის გამორიცხული მერიის ამ ნოვაციით კოლხური ცხვირის ექიმების ბიზნესი გაიფურჩქნოს კიდეც. რა თქმა უნდა, ისე, როგორც სამარშრუტო ტაქსების შემთხვევაში, აქაც შეღავათებით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ფენები. გიგი უგულავა თურმე 2012 წელს ამ ინოვაციის ნობელის პრემიაზე წარდგენასაც აპირებს. შესაძლოა, არც ტყუის — კოსმონავტი ჯერ არ გვყავს და ამ სფეროში პრემიის მიღების რეალური შანსი გვაქვს.

**თამარ შველიძე**

# samoqalaqo ZalTa erTobis gancxadeba

რამდენიმე დღის წინ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას — საქართველოში პოლიტიკური აქტიურობის დაწყებისა და პარტიის შექმნის თაობაზე, სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმისგან მყისიერი პოლიტიკური დევნა მოჰყვა.

ბიზნესმენსა და მეცენატს, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისთვის, არაერთი მოქალაქისთვის, კულტურის და განათლების სფეროს გადარჩენისთვის უდიდესი საქმეები აქვს გაკეთებული, ხელისუფლებამ კონსტიტუციით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეობის უფლება ჩამოართვა. მაშინ როდესაც, ხელისუფლებაში მოკალათებულ და რეჟიმთან დაახლოებულ არაერთ პირს, სწორედ ორმაგი ან სამმაგი მოქალაქეობა აქვს მიღებული. საგარეო საქმეთა მინისტრი- გრიგოლ ვაშაძე, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კახაბერ ბენდუქიძე, ამჟამად აშშ-ში საქართველოს ელჩი — თემურ იაკობაშვილი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ რექტორი- ალექსანდრე კვიტაშვილი, ყოფილი პრემიერ მინისტრი, ამჟამად „ლიბერთი ბანკის“ პრეზიდენტი ლადო გურგენიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი ეკატერინე შარაშიძე და ასე შემდეგ.

სამოქალაქო საზოგადეობა აღშფოთებით შეხვდა ბიძინა ივანიშვილზე სახელისუფლებო ტელევიზიების მიერ განხორციელებულ გააფთრებულ შეტევას და ახალ პოლიტიკურ ოპონენტზე ნაციონალური მოძრაობის დევნის ჩვეულ მეთოდს.

ჩვენ მივესალმებით ბიძინა ივანიშვილის ჩართვას აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში, მის მოღვაწეობასა და მეცენატობას საქართველოს გადარჩენის საქმეში.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა უმრავლესობა მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას ხმა აიმაღლოს სააკაშვილის ტირანული და დიქტატორული რეჟიმის მორიგ უკანონო ქმედებაზე, დააფიქსიროს პროტესტი და სამოქალაქო პოზიცია, რათა დიდ მეცენატს, მამულიშვილს, დიდ ქართველს, დაუბრკოლებლად მიეცეს თავის სამშობლოში დამოუკიდებელი მოღვაწეობის შესაძლებლობა და დაუყოვნებლივ აღუდგეს კონსტიტუციით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქის კანონიერი უფლება.

1. **სამოქალაქო მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლე“**
2. **ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონი“**
3. **საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**
4. **საქართველო პედაგოგთა ასოციაცია**
5. **„კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით“**
6. **საქართველოს მედიკოსთა დაცვის ლიგა**
7. **არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტეგრაცია და პროგრესი“**
8. **არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი ეკონომიკური გარემოსთვის“**
9. **არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი საქართველო“**
10. **არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი არჩევანი“**
11. **ეკომიგრანტთა საერთაშორისო ასოციაცია „ხიხანი აშშ“**
12. **შერვაშიძეების საგვარეულო სახლი**
13. **დადიანების საგვარეულო სახლი**
14. **მოძრაობა „ქალთა ლაშქარი“**
15. **უსამართლოდ დათხოვნილ სახელმწიფო მოხელეთა კავშირი**
16. **არასამთავრობო ორგანიზაცია „თირკმელი სიცოცხლეა“**
17. **საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული სახელმწიფოსათვის”**
18. **ვეტერან სპორტსმენთა კავშირი**
19. **ვეტერან მებრძოლთა კავშირი**
20. **სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრი**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— რა ვადაში უნდა მოახდინოს განქორწინება სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ?**

— განქორწინება ხდება განცხადების შეტანის დღიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოება — ერთ-ერთი მხარის სიცოცხლის რეალური საფრთხე, ბავშვის დაბადება და ა.შ. განქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესვე.

* * *

**— მუშაობას ვიწყებ ერთ-ერთ კერძო საწარმოში. ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ მიმიღებს გამოსაცდელი ვადის პირობით. ამასთან დაკავშირებით, რას გვეტყვით?**

— იმისათვის, რომ დადგინდეს კანდიდატის შესაბამისობა სამუშაოსთან, დამსაქმებელს შეუძლია დადოს მასთან შრომის ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით — არა უმეტეს 6 თვისა. ასეთი ხელშეკრულება მხოლოდ წერილობით შეიძლება დაიდოს. სხვა შემთხვევაში, იგი ჩვეულებრივ შრომით ხელშეკრულებად ჩაითვლება. გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს ან, პირიქით, კანდიდატთან შეიძლება შრომითი ხელშეკრულება დაიდოს გამოსაცდელი ვადის გასვლამდეც.

გამოსაცდელი ვადა ჩაითვლება შრომის სტაჟში.

* * *

**— რამდენი ხნის შემდეგ მექნება უფლება ვისარგებლო შვებულებით?**

— შვებულების მოთხოვნის უფლება დასაქმებულ პირს წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ, თუმცა, შეთანხმებით, შვებულება პირს შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც, ხოლო მუშაობის მეორე წლიდან, მხარეთა შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს. ასევე, შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება მთელი წლის განმავლობაში.

* * *

**— შემიძლია თუ არა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ შევიტანო ნებისმიერ სანოტარო ბიუროში?**

— კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ, განცხადება შეიტანოთ არა მხოლოდ გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ სანოტარო ბიუროში.

* * *

**— „X სამინისტროს „X“ ხელმძღვანელად ინიშნება სუბიექტი, რომელიც აგრეთვე ინიშნება „Y“ სამსახურის უფროსად, რომელიც სტრუქტურულად ექვემდებარება „X“ სამსახურს.**

**ორივე თანამდებობაზე მისი სახელფასო ანაზღაურება არის 100 პროცენტი.**

**— არის თუ არა ამ შემთხვევაში დარღვეული შრომის კანონთა კოდექსი?**

**— თუ არის, რაში გამოიხატება?**

**დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულია თუ არა სუბიექტი დატოვოს თანამდებობა ან ორივე ერთად, როგორც დამრღვევმა?**

**უნდა დააბრუნოს თუ არა დარღვევით მიღებული შრომითი ანაზღაურება, ანუ ხელფასი?**



— თქვენს შეკითხვაზე გაგცემთ სამართლებრივ პასუხს. კერძოდ:

ვინაიდან საუბარია „X“ სამინისტროს თანამშრომელზე, იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს საჯარო მოხელესთან. საჯარო სამსახურის საქმიანობას აწესრიგებს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომლის 64-ე მუხლი (სამსახურებრივი შეუთავსებლობა) ადგენს: „სახელმწიფო მოსამსახურეს არა აქვს უფლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს შეთავსებით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობით ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი.

იმ დარღვევის შედეგებს, რომელსაც უთითებთ შეკითხვაში (ხელფასის დაბრუნება და ა.შ.) ხსენებული კანონი არ არეგულირებს და, შესაბამისად, მეც ვერაფერს მოგახსენებთ.

* * *

**— მამამ არ აღიარა ქორწინების გარეშე დაბადებული ჩემი შვილიშვილი. მამა ცხოვრობს ბათუმში, შვილიშვილი — თბილისში. გვსურს შევიტანოთ სარჩელი მამობის აღიარების შესახებ. სად უნდა იქნას შეტანილი სარჩელი?**

— აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნას სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ვინაიდან, თქვენი შვილიშვილი ცხოვრობს ქ. თბილისში, სარჩელს მამობის დადგენის შესახებ შეიტანთ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

* * *

**— ორი წლის წინ პოლიტიკური ნიშნით გადამიღებეს ავტომანქანა დაუდგენელმა პირებმა. მივაღწიე იმას, რომ ორი წლის წინ საქმე აღიძრა დანაშაულის ფაქტზე, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. სად შემიძლია გავასაჩივრო გამომძიებლის მოქმედების შესახებ?**

— ზემდგომ პროკურორთან.

* * *

**— სად უნდა შევიტანო სარჩელი შვილად აყვანის შესახებ?**

— შვილად აყვანის საკითხს აწესრიგებს შესაბამისი რაიონული სააგენტო, რომელიც, გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ მოამზადებს დასკვნას მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის შესახებ და განცხადებას შეიტანს სასამართლოში მშვილებლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით.

* * *

**— მე ვცხოვრობ თბილისში, ყოფილი მეუღლე ქუთაისში. გვყავს არასრულწლოვანი შვილი. სად უნდა შევიტანო განცხადება ალიმენტის გადახდის შესახებ?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნას სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აქედან გამომდინარე, თქვენ სარჩელს ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიტანთ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

* * *

**— მეუღლესთან, რომელთანაც უკვე 12 წელია აღარ ვცხოვრობ, მსურს ოფიციალურად განვქორწინდე. მას საქართველოში საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია, წასულია რუსეთში, მისამართი არ ვიცი. მსურს შევიტანო განცხადება სასამართლოში, მაგრამ არ ვიცი, მის გარეშე მოხდება თუ არა განქორწინება. რა მოხდება სამართლებრივად?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მხარე უფლებამოსილია სასამართლო განჩინების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

„ვიკილიკსმა“ არათუ მარტო დედამიწაზე მიმდინარე მოვლენები გაშიფრა და დაფარული ინტრიგები გამოააშკარავა, კოსმოსისკენაც მიმართა მზერა და მოგვახსენა, რომ დედამიწისკენ უცხოპლანეტელთა სამი ხომალდი მოფრინავს და ორ თვეში აქ იქნებიანო. ამ ცნობით, მოიარა ვიკილიკსმა მოახდინა სენსაცია სენსაციათა შორის ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. „ციდან მომავალ სტუმრებზე“ ყველგან მიდის სჯა-ბაასი, ჩვენთან თუ საზღვარგარეთ, საზოგადოების ყველა დონეზე, ქუჩაში, ტრანსპორტში...

ამგვარი ინფორმაცია ჯერ კიდევ 2010 წლის 29 ნოემბერს გამოაქვეყნა საიტმა beforeitsnews.com (სანამ სიახლედ იქცევა). საიტმა მიუთითა ცის ინ-

ერთი სიტყვით, მას მერე, რაც პირველად გამოჩნდა მფრინავი თეფში, ზოგი სად ხედავდა, ზოგი — სად. პრესის ფურცლები გადაიჭედა თვითმხილველთა მონაყოლით, იქმნებოდა და იქმნება ე.წ. „კონტაქტორთა კლუბები“. მასალები უცნობ მფრინავ ობიექტებზე საბჭოთა პრესის ფურცლებზეც კი განიხილებოდა ხოლმე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ძალიან აქტუალური გახდა. ამაში არც საქართველო ჩამორჩენილა. ხშირად ხედავდნენ ცალკეული პიროვნებები თუ ჯგუფები. განსაკუთრებით 90-იან წლებში ატყდა ამაზე აჟიოტაჟი, როცა ფუნიკულიორის თავზე გამოჩენილი ობიექტი ბევრმა დააფიქსირა. ახლაც იხსენებენ და საუბრობენ ამაზე.

# ucxoplanetelTa sami xomaldi dedamiwisken moemarTeba! stumari RvTisaa!

ტერაქტიურ რუკაზე. ხომალდებად შერაცხული ორი თუ სამი ობიექტი ცისფერის მიმართ მგრძნობირე ფირფიტაზე გამოჩნდა, წითელსა და შავ-თეთრზე არ ჩანან. ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება სულაც ცისფერი ფოტოფირის ხარვეზია ან ობიექტივი მასზე წასმული სინათლისადმი მგრძნობიარე ემულსიაში მოხვდა. ასტრონომები ცის იგივე მონაკვეთის სხვა ფოტოებს იკვლევენ, რათა გაიგონ, მართლა მფრინავი ობიექტებია თუ ოპტიკური ხარვეზი.

ტერმინი „მფრინავი თეფში“ 1947 წლიდან წარმოიშვა, მაგრამ მანამდე იყო ლეგენდები და მოსიარულე ხმები „ზეციდან მოსულებზე“, „სტუმრებზე სხვა სამყაროდან“, მას მერე, რაც მექსიკაში ექსკავატორმა მიწიდან მრგვალი, მოჩუქურთმებული ქვა ამოაგდო, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მოხმობის, კვლევა-გაშიფვრის შემდეგ გაირკვა, რომ ეს ქვა არის მაიას ტომის ასტრონომიული კალენდარი. ეს გახლდათ რთული, ზუსტი ასტრონომიული კალენდარი. საერთოდ, მაიას ტომებს მაღალ დონეზე ჰქონდათ განვითარებული მედიცინა, რთულ ოპერაციებსაც აკეთებდნენ, მათ შორის, თავის ქალის ტრეპანაციასაც და ამავე დროს არ იცოდნენ რა არის ბორბალი, გუთანი, არ იცოდნენ ლითონის გამოყენება. ბევრი ცოდნა მათ თითქოს ვიღაცისგან ჰქონდათ გადმოცემული. მაიას ქურუმებს ჰქონდათ ასტრონომიული ცოდნა, ეს მაშინ, როცა არანაირი ასტრონომიული ხელსაწყო არ გააჩნდათ. მათ ტაძრებში გამოხატული ფრესკები დღევანდელ რაკეტებს ჰგავს. ჰყავდათ თეთრი, წვეროსანი ღმერთი კეცალკოტალი, მასზე ამბობდნენ, რომ აღმოსავლეთიდან მოფრინდა... ამ ყველაფერმა ზოგ მეცნიერს გაუჩინა ეჭვი, რომ მაიას ტომს ესტუმრნენ უცხოპლანეტელები თავიანთი ხომალდებით და ასტრონომიულ და სამეცნიერო საიდუმლოებებს აზიარეს. მეცნიერებისთვის ეს ერთ-ერთი ჰიპოთეზაა, უფოლოგები ამაში დარწმუნებულები არიან. ასევე აღსანიშნავია აფრიკული ტომები დოგონები. ამ ნახევრად ველურმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი არქაული ჩვეულებები და მითები. დიგონებმა იცოდნენ, რომ ვარსკვლავი სირიუსი ორმაგია, ასტრონომიისთვის ეს ფაქტი 1962 წელს გახდა ცნობილი. ასევე ამბობდნენ, რომ სირიუსის თანამგზავრი აფეთქდა და უხილავი გახდაო. მეოცე საუკუნეში დაადგინეს, რომ ეს თანამგზავრი მართლაც უნდა აფეთქებულიყო, როგორც ზეახალი ვარსკვლავი. ეს და კიდევ სხვა მეოცე საუკუნეში აღმოჩენილი ცნებები კარგად იყო ცნობილი მათთვის. ასევე გადმოგვცემენ, რომ ვარსკვლავები მზეზე ბევრად შორს იმყოფებიანო. კიდევ სხვა უამრავი არქაული ლეგენდა თუ ფაქტი არსებობს, რომლის მიხედვითაც ამტკიცებდნენ, რომ უცხოპლანეტელები დედამიწას სტუმრობდნენ.

„თავისუფლების მოედანზე ვიყავი, ყოფილი მერიის ზემოთ ჩანდა მფრინავი ობიექტი, დიდი იყო და მრგვალი, ზედ აქა-იქ სინათლეები ციმციმებდნენ. ჩემს გარდა სხვებიც ხედავდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ აიჭრა ცისკენ და გაუჩინარდა“. — ლევანი.

დავუბრუნდეთ დღევანდელობას და „ვიკილიკსის“ ინფორმაციას. მსოფლიოში არეულობაა, აღმოსავლეთიდან დაძრულმა სახალხო საპროტესტო ტალღამ ნიუიორკამდე მიაღწია, მასები წინააღმდეგობის მოძრაობაშია ჩართული და ამ დროს სენსაციების წყაროდ ცნობილი „ვიკილიკსის“ გვერდებზე ჩნდება თავზარდამცემი ინფორმაცია: „სამი მფრინავი ობიექტი მოემართება დედამიწისკენ...“ „მშვიდობიან განზრახვით არ მოდიან...“ „მათი მზვერავი ობიექტები უკვე დედამიწაზეა...“ როცა ორ თვეში ის სამი მთავარი მოგვიახლოვდება, პირდაპირ თავდასხმას ექნება ადგილი...“ რა არის ეს, ფანტასტიკური რეალობა თუ მოჭორილი „ნიუსი“, რომელიც ისევ და ისევ მსოფლიო საზოგადოებისა და მასებს შოკში ჩაგდებას და სულ სხვა რამისკენ ყურადღების მიპყრობას ემსახურება? ყოველ შემთხვევაში, მიზანს ასე თუ ისე, მიაღწიეს. ბევრი ელის, უფრო ბევრს ეშინია, ბევრს სასაცილოდ არ ყოფნის, ზოგი ამბობს, რაც იქნება, იქნებაო, უამრვი შეკითხვა გაჩნდა...

ჯერ ერთი, თუ მართლა მოდიან, ცივილიზაცია კი არა, ზეცივილიზაცია ყოფილა იმ რომელიღაც სხვა პლანეტაზე, ადამიანმა მეოცე საუკუნეში მთვარემდე ძლივს მიაღწია და ესენი თუ სხვა გალაქტიკის სისტემიდან მოდიან, ბარაქალა მაგათ! მეორეც, იქნებ სულაც არ არიან აგრესიულები და იმიტომ განვითარდა ასე მათი ცივილიზაცია. შეიძლება ადამიანებზე გაცილებით უფრო ჰუმანურები არიან და იმედი ვიქონიოთ, დედამიწელები ერთ-ერთი ამერიკული ფანტასტიკური ფილმის გმირების ბედს არ გაიზიარებენ, უცხოპლანეტელთა ხომალდი ცეცხლის ნიაღვარს რომ დაატეხს თავზე მისასალმებლად გამოსულ ადამიანებს.



„იქნება იმათგან დაგვადგეს ხეირი“ — ხუმრობით იტყვის ხოლმე ზოგიერთი. გმო-ს ელიან... ქალებიც, რომელთა შორის, სამწუხაროდ ბევრი მარტოხელაა და მამაკაცების არაჯენტლმენობით, უყურადღებობით, გულგრილობით და ცინიზმით გადაღლილები „ზეციდან“ ელიან შველას...

მეოცე საუკუნის ბულგარელი ბრმა ნათელმხილველი ვანგა ამბობდა, რომ მას ჰქონდა კონტაქტი „კომოსიდან მოსულებთან“. აი, როგორ გადმოგვცემს იგი მათ ნათქვამს: „სამყარო უამრავ ცვლილებებს გადაიტანს. ბევრჯერ აღზევდება და დამდაბლდება. წონასწორობა დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ დაველაპარაკებით ადამიანებს!“.

**თამუნა ქადაგიძე**

# მსოფლიოს უმდიდრესი ქალები

## სავიტრი ჯინდალი



იგი 13,2 მლრდ-ს მფლობელია.

არის 60 წლის. მისი სიმდიდრის წყაროა მეტალურგია. ქონება სავიტრიმაც მემკვიდრეობით მიიღო. იგი ინდოეთის მოქალაქეა. არის ქვრივი და ჰყავს 9 შვილი.

სავიტრი ჯინდანის კომპანიის წლიური შემოსავალი 12 მლრდ-ია. ბიზნესი შექმნილია მეტალურგიული და ენერგეტიკული კომპანიების სინთეზით ქმრის ომომ პრაკაშემ ჯინდალის მიერ, რომელიც თვითმფრინავის ჩამოვარდნისას დაიღუპა. მისი შვილები: პრიტხვირაჯი, სადჯანი და ნავინი კომპანიას ხელმძღვანელობენ. ნავინი ინდოეთის პარლამენტის დეპუტატია. კომპანის კონფლიქტი ჰქონდა გარემოს დაცვის სამინისტროსთან, რადგან ადანაშაულებდნენ ქვეყანაში ეკოლოგიური კანონების დალევაში თავისი ენერგეტიკული გეგმების განსახორციელებლად აღმოსავლეთ ინდოეთში.

## აირის ფონტბონი და მისი ოჯახი

აირისის ქონება 19,2 მლრდ-ია. მისი სიმდიდრის წყარო სამთამადნო მრეწველობაა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო. ის ჩილეს მოქალაქეა და ქვრივი გახლავთ. ჰყავს სამი შვილი.

აირისი ჩილელი მილიარდერის ანდრონიკო ლაკსიკოს მეორე ცოლია. ანდრონიკო კიბოთი გარდაიცვალა 2005 წელს. ლაკსიკოების ოჯახი მთელი მსოფლიოს მსხვილ სამთამადნო მრეწველობას აკონტროლებს. აირის ფონტბონის ვაჟი ხუან პაული კომპანიის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელია.

## აბიგაელ ჯონსონი



11,3 მლნ.-ის მფლობელია. იგი 49 წლისაა. ქონება მანაც მემკვიდრეობით მიიღო. აბიგაელ ჯონსონი აშშ-ის მოქალაქეა. გათხოვილია, ჰყავს ორი შვილი. იგი მამასთან ერთად მართავს კომპანიას. მამამ ედვარდ (ნედ) ჯონსონმა 1957 წელს ფირმაში კონსულტანტად დაიწყო მუშაობა, სადაც თვით ედვარდის მამა იყო ხელმძღვანელი. 15 წლის შემდეგ კი თვითონ გახდა პრეზიდენტი. ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა აბიგაელმა(მას აბისაც ეძახიან) თავისი პირველი ფონდი 1993 წელს დააფუძნა. 1995 წელს ნედ ჯონსონმა თავისი კომპანიის ლიკვიდაცია მოახდინა ქალიშვილის სასარგებლოდ. დღეს აბი მთელ კომპანიას ხელმძღვანელობს.

## ჟაკლინ მარსი

10 მილიარდის მფლობელია. იგი 71 წლისაა. სიმდიდრე ჟაკლინ მარსმა მემკვიდრეობით მიიღო. იგი აშშ-ის მოქალაქეა. ქმარს გაყრილია. ჟაკლინ მარსი მესამე თაობის შოკოლადის პრინცესაა. კომპანიის წლიური ბრუნვა 28 მლრდ. დოლარია. 2008 წელს კომპანიამ დააფუძნა საღეჭი რეზინის მწარმოებელი ფირმა „ვრიგლი“, მისი აქციების პაკეტი 32 მლრდ-ს შეიცავს, უორენ ბაფეტის საკუთარი წილი „ვრიგლის“ კომპანიაში 19 პროცენტია. ყველაზე კარგად ამ კომპანიის პროდუქტებიდან „სნიკერსი“ მოსწონთ. ყოველდღე ამერიკაში 400 მლნ დრაჟე იყიდება. ბაბუა ჟაკლინ



ფრანკ მარსმა 1911 წელს თავის სამზარეულოში დაიწყო შოკოლადის ხარშვა. ისინი მაშინ პატარა ქალაქ ტაჰომაში ცხოვრობდნენ ვაშინგტონის შტატში.

მამამ სერ ფორესტ მარსმა პირველი რბილი ნუგას წარმოება დაიწყო. ჟაკლინი ფილანტროპია, იგი ვაშინგტონის ნაციონალური ოპერის საბჭოს წევრია და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს უწევს ფინანსურ მხარდაჭერას, ეხმარება ნაციონალურ სიმფონიურ ორკესტრსაც აშშ-ში. მუშაობს ცხოველთა საკვების წარმოების გასაფართოებლად. იგი ცხენების მოყვარულია და აშშ-ის ნაციონალური სპორტული ბიბლიოთეკის სათათბირო საბჭოს წევრი.

## უ იაცზიუნი და ოჯახი

5,5 მლრდ. ქონების მფლობელია.

არის 47 წლის

უძრავი ქონების მაგნატი.

უ იაცზიუნი ჩინეთის მოქალაქეა.

გათხოვილია.

მილიარდერი ქალბატონი ყოფილი ჟურნალისტია.

მისი ბოლო დეველოპერული კომპანია ოთხ წელიწადში უმსხვილესი კომპანია გახდა ჩინეთში.

უ იაცზიუნი კომპანიას ქმართან ერთად მართავს.

## მეცნიერებმა ადამიანის ზომის მორიელი აღმოაჩინეს



მეცნიერებმა გიგანტური მორიელის ნაკვალევი აღმოაჩინეს. მორიელი 330 წლის წინათ არსებულა და ადამიანის ერთ-ერთი საშიში მტერი ყოფილა. გიგანტური მორიელის სიგრძე ორი მეტრი, ხოლო სიგანე ერთი მეტრი ყოფილა. მისი ნაკვალევი მეცნიერებმა გრუნტისგან გაქვავებულ სილაში იპოვეს შოტლანდიაში, ფაიფის რეგიონში. იტყობინებიან, რომ დღემდე აღმოჩენილთაგან ის ყველაზე დიდია და მეცნიერთათვის მნიშვნელოვანი, რადგან ასეთი უზარმაზარი მორიელი თუ არსებობდა, დღემდე არავინ იცოდა.

ახლახან მეცნიერთა სხვა ჯგუფმა ასევე არაჩვეულებრივი ზომის ობობები აღმოაჩინეს. როგორც ცნობილია, ისინი მორიელების ახლო ნათესავები არიან. თუმცა მათი ზომები გიგანტურ მორიელთან შედარებით მოკრძალებულია. ამ ამ ობობების საცეცების სიგრძე 15-20 სანტიმეტრს აღწევს.

## ახალშობილი ვაჟი ეგონათ და გოგონა აღმოჩნდა



არაჩვეულებრივი შემთხვევა მოხდა ქალაქ ვერევნიგინგში. სამხრეთ აფრიკელმა 29 წლის მადელეშია ხისკოკმა როცა გაიგო, რომ ორსულად იყო და ვაჟს ელოდებოდა, სიხარულით ცას ეწია. ახალშობილი დროულ ვადაში დაიბადა ექიმებმა მიულოცეს დედას ვაჟის დაბადება. რომლისთვისაც, ამის პატივსაცემად კენეტი უნდა დაერქმიათ, მაგრამ რამდენიმე დღეში დედამ ახალშობილს უცნაურობა შეამჩნია. ექიმების კვლევის შემდეგ „ბიჭი“ გოგონა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ახალშობილი იშვიათი დაავადებით ადრენალური ჰიპერპლაზიით იყო დაავადებული. ასეთი პათოლოგიები 1500-ში ერთხელ გვხვდება. მშობლებს დაბადების მოწმობის შეცვლა მოუხდათ და ახლა გოგონას კენი ჰქვია. მისი სასქესო ორგანო გარეგნულად თითქოს ვაჟისას ჰგავს, მაგრამ ორგანიზმი ქალური ჰორმონებით არის სავსე. მალე მას ოპერაციას გაუკეთებენ და ჰორმონალური პრეპარატებით დაუწყებენ მკურნალობას. ექიმები ამშვიდებენ დედას, რომელიც აქამდე ვერ გამოსულა შოკიდან. მას არ სჯერა თუ გოგონა სრულყოფილ ქალად გაიზრდება.

**მოამზადა**
**ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – შემოსავლის ზრდა დაკავშირებული იქნება თქვენს საშუამავლო და საორგანიზატორო საქმიანობასთან. მომგებიანი აღმოჩნდება ყველა ის კავშირები, რომლებსაც უცხოეთში მოგზაურობისას დაამყარებთ.

**კურო** – შესაძლოა, უცაბედ სასიყვარულო კავშირში აღმოჩნდეთ, ის შესაძლოა, გაიცნოლთ სამსახურში, ტრანსპორტში ან კლუბში. საკუთარი გრძნობების დაფარვას ვერ შეძლებთ, რის გამოც თქვენი სასიყვარულო ურთიერთობები საჯარო გახდება.

**ტყუპები** – ორიგინალური იდეებისა და ინტუიციის წყალობით: თანამოაზრეთა წინამძღოლად იქცევით. განახლების სურვილი შეგიპყრობთ და არ არის გამორიცხული, თქვენი სახელი სამსახურში ბევრს უსიამოვნოდ მოხვდეს ყურში.

**კირჩხიბი** – წარმატების მისაღწევად სითამამე გაკლიათ. მუსიკა დაგამშვიდებთ და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

**ლომი** – ზემდგომი პირების მფარველობის განმავლობაში განმწვავდება თქვენი ურთიერთობები თანამშრომლებთან. ეცადეთ მოთმინება გამოიჩინოთ.

**ქალწული** – თქვენი პარტენიორებისთვის ახალი იდეების წყაროდ იქცევით. ბევრს იშრომებთ სამსახურში. პასცუხისმგებლობის გრძნობა დადებითად აისახება თქვენს ხელფასზე.

**სასწორი** – ეცადეთ, დაივიწყოთ წყენა და მოაგვაროთ ურთიერთობები კოლეგებთან. თავი შეიკავეთ სარისკო საფინანსო ოპერაციებისგან, აზარტული თამაშებისგან, ფულის სესხებისგან.

**მორიელი** – ეკონომიკური პრობლემები შემოსავლის წყარო ძიებისკენ გიბიძგებთ. სასიამოვნო მოულოდნელობად იქცევა ნაცნობის სტუმრობა, რომელიც დახმარებას აღმოგიჩენთ.

**მშვილდოსანი** – სერიოზული კონფლიქტი გელით, რომელიც ღალატით იქნება გამოწვეული. ამდენად, ეს პერიოდი უმჯობესია, გამაჯანსაღებელ პროცედურებს და საკუთარი წარსულის გააზრებას დაუთმოთ.

**თხის რქა** – დროის ამ მონაკვეთში არაერთი საინტერესო შეხვედრა გელით. არ არის გამორიცხული, ამავე პერიოდში სამუშაო ადგილიც შეიცვალოთ, რაც გარკვეულ ფინანსურ გართულებებთან იქნება დაკავშირებული.

**მერწყული** – სამსახურში გაგიჩნდებათ წინსვლისა და წარმატებით შემოსავლის წყაროს პოვნის პერსპექტივა.

**თევზები** – ეცადეთ, თავი ზედმეტად არ გადაიტვირთოთ. მთავარია, გჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების და ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვას მოახერხებთ.